

ლიტერატურული გაზეთი

№20 (132) 31 ოქტომბერი -13 ნოემბერი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ზაზა თვარაძის გამოუქვეყნებელი ჩანაწერები

ხშირად ეტყვის ერთი მეორეს: „რა მაგარი ხარ!“ ეს ან ირონიულად იტყმება, ან ქებით, ან აღფრთოვანებით.

მაგრამ ამას რომ გეუბნებიან, შენ რა უნდა ქნა?

თუ დაიჯერე, რომ მაგარი ხარ, ესე იგი სულელი და ამპარტავანი ყოფილხარ — რადგან არავინ არის ისეთი მაგარი, რომ თავის თავში თქვას: „მე მაგარი ვარ“.

ვინც მართლა მაგარია, ის თავმდაბალიც არის და ზუსტად იცის სიმაგრის ავანჩავანი: რამდენი ივარჯიშა, როდის უშველა განგებამ, რამდენჯერ შეშინდა, რამდენჯერ უკან დაიხია, რამდენჯერ მოიტყუა თავი. ის არ იტყვის თავის თავში: „მე მაგარი ვარ“. არამედ იტყვის: „ეს საქმე მაგრად გავაკეთე“. და თუ მორწმუნეა, ღმერთს შეწირავს მადლობას.

ამიტომ სიტყვები: „ვა, რა მაგარი ხარ“ თუ პირდაპირ მიიღე და დაიჯერე, ესე იგი, სულაც არა ხარ მაგარი: თავმოთენე ყოფილხარ და ბრყვი.

თუ არ დაიჯერე ნათქვამი — „ვა, რა მაგარი ხარ“, მაგრამ მაინც გესიამოვნა (არც ისე ადვილია, არ გესიამოვნოს, მით უმეტეს, თუ შენთვის პატივცემული და მისაბაძი კაცი შეგაქვს) — ესე იგი, ჩმორი ყოფილხარ: ანუ, ძალიან გინდა, რომ მაგარი იყო, მაგრამ ვერა ხარ მაგარი, და თავსაც იტყუებ, რომ აი, მაქვებენ და, ესე იგი, მაგარი ვარო. შენთვის სიმართლე კი აღარ არის მთავარი, არამედ სხვისი — ადამიანის შეფასება. თუ ასეა, სიმართლეს როგორღა გაუსწორებ თვალს? და რადგან ვერ გაუსწორებ, მაგარიც ხომ ვერასოდეს იქნები? გამოდის, რომ სიამოვნებას იღებ იმისგან, რაც არ არსებობს. ანუ, ჩმორი ხარ, ალკოჰოლიკი, ნარკომანი და ანანისტი.

ესე იგი, როცა გეტყვიან: „ვა, რა მაგარი ხარ“, ამისი არც დაჯერება შეიძლება და არც არდაჯერება. ერთ შემთხვევაში სულელი ყოფილხარ, მეორეში — ჩმორი. და არც ერთ შემთხვევაში — მართლა მაგარი.

აბა, როგორ უნდა მოიქცე? შეიფერო ნათქვამი? ესე იგი, ბრყვი ყოფილხარ. უარყოფა დაიწყო? არა, რას ამბობ, სულაც არა ვარ მაგარი... ეჰ, მე რა მაგარი მნახე... მაგარი, აი, ის არის... სულ არ მგონია ჩემი თავი მაგარი... ამითი ან ფარისევლობა, ან მართლა არა ხარ მაგარი, და შემქმბელის სიტყვებს სიცრუედ აცხადებ, რაღაც ისეთად, რასაც სრულიად არა აქვს აზრი და მნიშვნელობა.

ამიტომ ვერაფერსაც ვერ უპასუხებ. და შენც არ უნდა უთხრა სხვას: „რა მაგარი ხარ“ (გარნა მხოლოდ გასამხნეველად, ისეთ ვინმეს, ვისაც ძალიან ერხევა). ეს უტაქტო, უხერხული და ყალბი სიტყვებია. იმ მდგომარეობაში ჩაადგებ ადამიანს, რაც ცხადად გამოხატავს თავისი პარადოქსულობით, რომ „ვა, რა მაგარი ხარ“, სიტყვასიტყვით ამას ნიშნავს: „შეუძლებელია, იყო მაგარი“.

ამიტომ ეს სიტყვები თავისი არსებით ირონიულია და, თუნდაც გულწრფელად ნათქვამი, ყოველთვის შეიცავს თავისთავში ირონიის მომენტს.

შესაბამისად, როცა გეუბნებიან: „ვა, რა მაგარი ხარ“, არც უნდა დაიჯერო და არც — არ დაიჯერო. ცალ ყურში უნდა გაატარო და უპასუხო: მაშაყირებ, ადამიანო?

ასე შეძლებ ავი პარადოქსის გაქარწყლებას.

და ამ დროს — თუ მართლა გულწრფელად იტყვი ამას — შეიძლება, ვინმეს მართლა მაგარი მოეჩვენო.

ხოლო თუ გინდა, რომ კაცი გულწრფელად შეაქო, გულწრფელადვე უნდა უთხრა არა „რა მაგარი ხარ“, არამედ ის, რომ მისი გაკეთებული ესა თუ ის საქმე ძალიან მოგეწონა.

II-III

გივი ალხაზიშვილი

სხივები — ჟღალი ღრუბლის ფესვები,
უხილავ ციდან შენთან ეშვება
და გრძნობ, ვერასდროს ვერ შეეშვები
შენ სიყვარულში შეთარეშებას.
შენ სვამ ამ დღეებს, მზით ილეშები,
ჩქეფს შემოდგომა ფერად თქეშებად,
გიხმობს ის ბალი და იგეშები
და ბალსაც უნდა შენი შეშვება...
ეტყვის დო-რე-მი — კლავის კლავისში
და ფრთხილი კოცნა ღვინის შხეფია,
რომ შემომიძღვა ღამის მკლავებში
და ბინდი სხივით შემასხეპია.

IV-V

თეონა დოლენჯაშვილი

სურობატი

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

სიზმარი, რომელიც მარიკას რამდენჯერმე ესიზმრა, მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან და გარდამტეხ პერიოდებს დაემთხვა და განსაკუთრებულ მინიშნებად და ინტერმეცოდ იქცა. მარიკა ამას მოგვიანებით გააცნობიერებს. თავდაპირველად კი მხოლოდ სიზმრისეული სურათები და ის უცნაური განწყობა უკვირს, რომელიც კარგა ხნის მანძილზე მიჰყვება და ძილის ბურანსა და დღის რეალობას შორის დაკიდებულ საქანელაზე რამდენიმე კვირის მანძილზე არწევს.

სიზმრის პირველად ნახვისას მარიკა გათხოვილი და ჯერ ისევ იმედებით სავსე ქალია. ის ირაკლისთან ერთად ზის მანქანაში და მცხეთისკენ მიიჩქარის. შობის წინა დღეებია, ანუ ის დროა, როდესაც დედა პარასკევასაც ესიზმრა სიზმარი, სადაც წმინდანი გამოეცხადა და შობამდე მის საფლავზე მიმსვლელთ სამი სანუკვარი სურვილის ასრულება აღუთქვა. მოკლედ, ყველაფერი აქაც სიზმრით იწყება. უფრო სწორედ, ხილვით, რომელმაც თითქმის მთელი ქვეყანა ააფორიაქა, მცხეთისკენ დაძრა და დედაქალაქიდან ძველ სატახტო ქალაქამდე გაჭიმული მცირე გზა მორწმუნეთა და მეოცნებეთა ავტომობილებით გაჭედა.

VI-VII

ჯარჯი ფხოველი

აჰა: სიტყვით სრული თრობა;
ღამე ტოტნის ქარით მინებს...
დაითმინე ურითობა,
კოჭლი რითმაც დაითმინე!..

სკვიტის სიტყვა: სუმატოხა
გეუბნება: სულ მარტო ხარ!..

არ გაგივა ძმობა ხართან,
ვერ გადაჭრი დანით მინებს...
მონა იყავ, მონა ხარ და
ეს მონობაც დაითმინე!..

პრნანისი

კრნანისის ცას რომ ავხედე
გულის შავი შუალამიდან,
ვიგრძენი: კენესა, დაუვინყარი,
და ტკივილები,
და ჭრილობები,
მეფე ერეკლეს დროინდლები...

ალბათ,
ეხლა მტრებსაც ეხსნებათ
ნახმლევები გულისფიცრებზე...
და ვერაფრით გაიხსენებენ,
აქ რა უნდოდათ ღვთითდანყვევლებს...

ჩემი ხმლის კენესა
ხომ ატარეს ცხელ უდაბნოში:
დღემდე რომ მოაქვთ
დაკეჭნილი თავისქალებით!

IX

ინა არჩუაშვილი

ორ პატარა ოთახში

პიესა

ზამთარია. ჩანს სოფლური, მოწესრიგებული ოთახი. ოთახში ანთია ღუმელი. დედა (60 წლამდე ქალია, თალხი ფერის ტანსაცმელზე კუბოკრული თბილი ჟილეტი აცვია და სათვალე უკეთია) მუშამბაგადაფარებულ მაგიდასთან ზის. მაგიდაზე დევს ტელევიზორის პულტი და თეფშით ორცხობილა. ქალიშვილი (38-40 წლის ჩვეულებრივი გარეგნობის, ქალაქურ ყაიდაზე ჩაცმული ახალგაზრდა ქალია) ფანჯარასთან მიდგმულ ტახტზე ზის — დედისკენ ზურგით. გადაჯვარედინებული მკლავები რაფაზე ჩამოუნყვია, თავი მკლავებზე უდევს და განიერ, ფარდაგადანულ ფანჯარაში იყურება. ოთახის ბოლოში დაბალ ხმაზე ტელევიზორია ჩართული.

X

მალაზიაში

დამე მალაზიაში შევედი, პური მინდოდა. ეს არის სადღეღამისო სუპერმარკეტი „პოპული“, კიროვის ქუჩაზე, მოედნის მახლობლად. მარისგან მივდიოდი შინ. ხელში პარკი მეჭირა.

— პური გავქვთ?
სალაროსთან ერთი უნიფორმიანი გოგო იჯდა, მეორე შორიახლოს დაიარებოდა. მარჯვნივ დაცვის თანამშრომელი იდგა თაროებთან, სადაც შემსვლელი ხელჩანთებს და პარკებს ალაგებენ — რომ შიგნით შესულმა რამე არ მოიპარონ.

— ბოლოშია, — მოლარე გოგომ ნიკაპით მანიშნა.

დავიძარი ბოლოსკენ. ამას სამხმინი შეძახილი მოყვა:

— პარკი დატოვეთ.

ძალიან მეზარებოდა თაროებთან მისვლა და პარკის იქ დატოვება. ამიტომ პირდაპირ სალაროს დახლზე დაუდებ და ისევ დავიძარი — ბოლოსდაბოლოს ერთი პური მინდოდა, სხვა ხომ არაფერი.

— აქ არა, თაროზე დადეთ, — შეჰყვირა მოლარე გოგომ და დაცვის თანამშრომელიც ადგილზე აწივდა.

ზედაც არ შევხედე და გზა განვაგრძე რიგებს შორის. საბედნიეროდ, მეორე გოგო უფრო წესიერი აღმოჩნდა — ჩემი პარკი აიღო და თაროზე შემოღო.

პური რომ ავიღე, ისე ვიკითხე, ვითომც არ ვიცოდი:

— ჩემი პარკი სად არის?

და მოლარეც უფრო ცივად მექცეოდა, ვიდრე მოიქცეოდა, ვთქვათ, იმ შემთხვევაში, საერთოდ რომ არ მქონოდა პარკი ან, ვთქვათ, მისი ბიძაშვილის მახლობელი ყვოფილიყავი და ვაზისუბნის დროით შუაღლის პირველის ნახევარი ყოფილიყო.

ეს ინციდენტი ამით ამოიწურა. მხოლოდ მერე ვიფიქრე:

არ არსებობს კანონი, რომელიც მალაზიაში შესულ მოქალაქეს აიძულებდა პარკის ამა თუ იმ ადგილზე დადებას და საერთოდ პარკის დადებას. თუ ყველა მოქალაქეს პოტენციურ ქურდად გამოვაცხადებთ, ამით დავარღვევთ უდანაშაულობის პრეზუმფციას და კონსტიტუციის მუხლს ღირსების შესახებ (რასაც სინამდვილეში ჩვენი მთავრობა ყოველდღე არღვევს). მით უმეტეს, მალაზიის დირექციას არა აქვს უფლება, დაანესოს რაიმე კანონი.

შესაბამისად, მოქალაქემ პარკი შეიძლება დადოს მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში: მალაზიის დირექციის თხოვნის საფუძველზე. ეს თხოვნა უთქმელი და დაუნერვლია, მაგრამ თუ ვიტყვი ან დავცერთ, დაახლოებით ასე იქნება: „ძვირფასო მყიდველო, უმორჩილესად გთხოვთ, საქონლის ასარჩევად რომ შეხვალთ, თან ნუ შეიტანთ ჩანთას ან პარკს. ჩანთები და პარკები დაანევივთ საგანგებოდ ამისთვის გამზადებულ თაროზე, ან გადაეცით ჩვენს თანამშრომელს. გარანტიას გაძლევთ, რომ გამოსვლისას თქვენი ჩანთა თუ პარკი ხელუხლებლად დაგვხვდება ადგილზე. ამ თხოვნით იმიტომ მოგმართავთ, რომ სამწუხაროდ ხშირად შემოდიან ქურდბაცკები, ჩანთებით და პარკებით რაღაც-რაღაცები გააქვთ. ცხადია, პირადად თქვენზე ოდნავი ეჭვიც კი არა გვაქვს, მაგრამ რა ვქნათ — ასეთია ჩვენი სამსახური, და ამ ღონისძიებას მხოლოდ იმისთვის ჩავდივართ, რომ კიდევ უფრო უკეთ მოგემსახუროთ თქვენ და თქვენისთანა სხვა მყიდველებს. წინასწარ გმადლობთ კეთილი ნების გამოხატვისთვის“.

სწორედ ეს არის სინამდვილეში ის, რის საფუძველზეც მყიდველმა შეიძლება კეთილი ინებოს და თავისი ჩანთა თუ პარკი (რას გადავაცვივდი ამ ჩანთას თუ პარკს) თაროზე შემოღოს.

მაგრამ მალაზიაში მომუშავე გოგონები თუ სხვა თანამშრომლები აზრზეც არ არიან ამის შესახებ. მათ, ალბათ, გონიათ, რომ არსებობს წესი და ეს წესი სავალდებულოა ყველა შემოსულისთვის. არადა, არავითარი წესების დანესების უფლება მათთვის არავის მიუცია.

მამ, რა ხდება ამ ხალხის ცნობიერებაში? მათ ჰგონიათ, რომ არსებობს რაღაც ზემდგომი ინსტანცია — ამ შემთხვევაში, მალაზიის დირექცია და ასე შემდეგ, უფრო ზემოთ, ვისაც დირექტორი ფულს უხდის. იმ წარმოსახვით ინსტანციებში დგინდება ყველა წესი და ნორმა. არ არსებობს ადამიანის უფლება, ხელშეუხებლობა, მომხ-

ზაზა თვარაძის გამოუქვეყნებელი ჩანაწერები

გამომცემლობა „ინტელექტი“ უახლოეს დღეებში გამოსცემს ზაზა თვარაძის ესეების, ინტერვიუების, სიზმრებისა და ჩანაწერების კრებულს „ჩადექი მანდი!“
გთავაზობთ რამდენიმე ჩანაწერს წიგნიდან.

მარბლის უფლება, არ არსებობს ქვეყნის პარლამენტი, რომელიც რეალურად ადგენს კანონებს. არსებობს მხოლოდ რაღაც ზემდგომი ინსტანცია და ყველა მოქალაქე ვალდებულია, ბრმად დაემორჩილოს ამ ვირტუალური ინსტანციისგან დადგენილ ნორმებს. ეს გოგონები თუმცა არ გაზრდილან საბჭოთა კავშირში, მაგრამ მათი ფსიქიკა საბჭოურ კანონებზეა აწყობილი. გონებით ისინი ისევ საბჭოთა კავშირში ცხოვრობენ — სადაც არცერთ ადამიანს არა აქვს რაიმეს უფლება, სადაც ყველა მოქალაქე პირუტყვია და მეტი არაფერი.

მათ გონებაში კომუნისტური იმპერია ჯერ არ დაქცეულა, ჯერ არ დამდგარა „პერესტროიკა“, ჯერ არ მომკვდარა ბრეჟნევი, ჯერაც ცოცხალია სტალინი, ჯერ კიდევ მომავალშია კოლექტივიზაცია, ხუთწლიანი გეგმები და მომავალშია სისხლიანი რეპრესიები.

ოდნავ იქით რომ წავყვით — მათ ცნობიერებაში ჯერ არ გადაუგდიათ ნიკოლოზი, ჯერ არ შეუერთებია საქართველო რუსეთს, არ შემოჭრილა ალა მაჰმად ხანი, არ დაბადებულა აღმაშენებელი, ქორი ჯერ არ უტყვივია გორგასალს (ამიტომ თბილისიც არ არსებობს), ჯერ არ მოსულა ჯვრით წმინდა ნინო და ჯერ არ შობილა ქრისტე.

პატრული

ყოველდღე დაქრინ პატრულის მანქანები და მეგაფონში მთელი ხმით ღრიალებენ: უღრიალებენ ხალხს, მოქალაქეს, ადამიანს. მიაჩნიათ, რომ ეს ნახირია, რაღაც ჯოგი. მოქალაქეც უდრტვინველად იტანს იმათ ღრიალს, რადგან ასეა შეჩვეული — ის, თვითონ, პირუტყვი უნდა იყოს და ჰყავდეს მენახირე, მეჯოგე, რომელიც სახრეს გადაუტყვებს. მისთვის ეს სრულიად ბუნებრივია. თავისი ცნობიერებით ის საბჭოეთის მოქალაქეა და წარმოდგენაც არა აქვს თავისუფლებაზე, ღირსებაზე, სახელმწიფოზე — გულში იგივება და ელის ჟამს, როცა თვითონ მოვა ხელისუფლებაში და სხვა მოქალაქეებს გაირეკავს პირუტყვებით ჯოჯოხეთისკენ, რასაც საქართველოს ცხოვრება ძალიან ჰგავს.

ამ დროს კი საქართველოს კანონებში ჩანერილია, რომ არავისა აქვს უფლება, დაარღვიოს ადამიანის მყუდროება, შელახოს მისი ღირსება, თუნდაც — უღრიალოს გარკვეული რაოდენობის დეციბალზე მეტი ხმით. პარადოქსია, რომ კანონის დამცველი პირველი არღვევს კანონს: პატრული ღრიალებს წარმოუდგენლად დიდი ხმით და ეჭვადაც არ მოსდის თავში, რომ ამის უფლება მას არა აქვს.

კანონის დამცველი პირველი არღვევს კანონს, ხოლო კანონმემორქმელი პირველი დასცინის კანონს. იმ დღეს ტელევიზორში პარლამენტარები გამოიყვანეს და დაახლოებით ასე მსჯელობდნენ: „თურმე ნუ იტყვი და კანონში ყოფილა მუხლი ხმაურის შესახებ... ჰი-ჰი-ჰი... თურმე რაღაც გარკვეული რაოდენობის დეციბალს თუ გადაამეტე... ჰე-ჰე-ჰე...“

როდესაც პარლამენტის ხელმძღვანელობაში ძველი კომკავშირლები ფიგურირებენ, რა უნდა ითქვას საერთოდ რამეზე. ასეთი ადამიანები ვერასოდეს მიიღებენ კანონს, როგორც კანონს — რადგან კანონი პიროვნების ღირსების საქმეა და ძველ კომკავშირლებს არც ღირსება გააჩნიათ და არც პიროვნულობა. ისინი მუდამ რაღაც უსახური და დიდი ძალის პატარა ჭანჭიკებად განიცდიან თავს. ამიტომ, მათთვის წინასწარ შეუძლებელია კანონმემორქმელება: ყველაფერი, ყოველნაირი ქმედება მათგან სადღაც ზევით და უმათოდ, რაღაც უპიროვნო სივრცეში ხდება. კანონი უნდა არსებობდეს მხოლოდ იმისთვის, რომ მონებივით დავემორჩილოთ და ვთქვათ: ეს რა დღეში გვამყოფებენ, კაცოო, ჰი-ჰი-ჰი... და არსად არსებობდეს ის, ვინც ამა თუ იმ დღეში გვამყოფებს: კომკავშირული გონებისთვის ყველაფერი უპიროვნო



დაწინასწარგადაწყვეტილია. ეს საბჭოური გონებაა — მარქსისტული და სატანისტური. ის უარყოფს ერთს, პიროვნებას, ყოველნაირ შემოქმედებას, და თვით შემოქმედს.

რომ მოინდომო და ამისთანა კანონ-შემოქმედს აუხსნა, რომ ის თვითონ არის ქვეყნის განვითარების შემაფერხებელი, ვერაფერს გაიგებს. მას გონება არ ეყოფა ამის გასაგებად. იტყვის, ეგ როგორ, მე ხომ წესიერი ვარ, გულწრფელად მონდომებული და ბევრსაც ვმუშაობო. იძულებული ხდები, უთხრა: ეე, ჩემო მიშა (ან გრიშა, ვალერი... ან რამე ასეთი — სახელებიც ხომ საბჭოური ჰქვიათ), უბედურებაც ისაა, რომ რამდენიც უნდა გელაპარაკო, მაინც ვერ გაიგებ — რადგან ასეა შენი გონება აწყობილი — ხოლო კოკაში რაც ასხია, იგივე გადმოიღვრება.

ამ დროს წესიერი კაცი უნდა დაფიქრდეს, ღრმადაც დაფიქრდეს და ეცადოს, ამოიცნოს, თუ რა ჭირს, რა პიროვნული თვისება არ ყოფნის, რომ ნამდვილად ქვეყნის პატრონი და კანონმემორქმედი იყოს, ღირსეული კაცი, რომელიც სხვებსაც შემამტებს ღირსებას. მაგრამ ეს ჩვენი პარლამენტარები იმდენად ჭკუათხელია, და თან — ნამდვილი ქართული, რომ დაფიქრება არ შეუძლია. შენიშნა მას მხოლოდ აღიზიანებს. დაფიქრების მაგივრად ის ხელს ჩაიქნევს და გაბოროტებული შეეცდება, სამაგიერო გადაუხადოს არამკითხველ ჭკუის მასწავლებელს.

ეს სამწუხარო და საბედისწერო ქართული თვისებაა: ქართველი კი არ ცდილობს, რამე ისწავლოს, შეიმეცნოს, გონებრივად გაიზარდოს და პიროვნულად — სიძნელის გადალახვით — გაუმჯობესდეს. არა, მას ამისი ენერგია არ გააჩნია. ის პირდაპირ ხელს ჩაიქნევს და მტრად მოეკიდება ყოველ მოპასუხეს — იმას, ვინც მას მისივე ნაკლოვანებაზე მიანიშნებს.

უცნაური ის არის, რომ ამ გაბოროტებას მეტი ენერგია ჭირდება, ვიდრე კაცს თავისი ნაკლის დასანახად და გამოსასწორებლად დაჭირდებოდა. კიდევ უფრო უცნაური ის არის, რომ გაბოროტების ამ ენერგიით ეს ფიქსტულა კაცი (დროებით მაინც) იძენს ძალას, მიზანს, დანიშნულებას; სიმართლეს — უპირისპირდება, ანგრევს და კმაყოფილია.

ასეთი უკუგდებით, დაუფიქრებლობით, გაღიზიანებით და გაბოროტებით ქართველი კაცი ემიჯნება და უპირისპირდება თვით ღმერთს — რადგან ჩვენი ნაკლოვანებების დასანახად ცხოვრებაში მოგვეცა სხვა ადამიანი, სხვისმიერი კრიტიკა — უნდა მოვუსმინოთ და ღრმად დაუფიქრდეთ: იქნებ მართალს გვიჩივის? მით ვისწავლებით.

ღმერთო, მიჰვალე და ამპარტაჰნება

ღმერთს მივმართავ მხოლოდ მაშინ, როცა მეტი გზა აღარა მაქვს. მაგრამ არ

მინდა, რომ ღმერთს მივმართო მხოლოდ მაშინ, როცა მეტი გზა აღარა მაქვს, რადგან ამ შემთხვევაში ეჭვის ქვეშ დგება თვითონ ღმერთის არსებობა, რადგან მივმართე მხოლოდ იმიტომ, რომ მეტი გზა არ მქონდა და თუ მეტი გზა არ მქონდა, რა ვიცი, რომ ეს გზა — ღმერთისთვის მიმართვა — რაღაც ჭეშმარიტია და არა მოჩვენებითი. ამიტომ, არ მინდა, რომ ღმერთს მივმართავდე მხოლოდ ამ შემთხვევაში. ამიტომ, თუ მინდა, რომ ჭეშმარიტად დავინახო, ვინ არის, რა არის და საერთოდ არის თუ არა ღმერთი, უნდა მივმართო მაშინ, როცა სხვა გზაც მაქვს და სხვა რამეც შემიძლია. ანუ — ისედაც კარგად ვარ. მაგრამ ეს გამაღიზიანებელია ჩემი ფსიქიკისთვის — თითქოს ის კარგად ყოფნაში ხელს მიშლის. თუმცა თანდათან, როცა ისევ ცუდად ხდები და გამოსავალს ვერ ხედავ, რწმუნდები, რომ ისევ ღმერთი თუ იქნება მშველელი და იმასაც ხვდები, რომ თუ ის მშველელია, საჭიროა არსებობდეს, ხოლო ამისთვის, რომ ის არსებობდეს, უნდა მიმართო მაშინ, როცა კარგად ხარ. სხვანაირად მუდამ ეჭვის ქვეშ დააყენებ მის არსებობას. მარხვის ერთერთი აზრი ეს არის — შეგიძლია კარგად იყო, რამე მიერთვა, მაგრამ არ მიერთმეც და ლოცულობ — მიმართავ ღმერთს მაშინ, როცა კარგად ხარ. ერთერთი მიზეზი ესეცაა, რომ ავადმყოფს არ სჭირდება მარხვა — ის ისედაც ცუდად არის და მეტი გზა არა აქვს, თუ არა ღმერთისადმი მიმართვა. ცუდად რომ ვხდები, მაშინ ვსწავლობ, რომ სხვა გზა არა მაქვს, კარგად რომ ვხდები, მაშინ ეს მავინყდება — რადგან ბევრი გზა მოჩანს, მაგრამ მერე ისევ ცუდად ვხდები და ამით ვსწავლობ, რომ საჭიროა ღმერთი, რომელიც მისხსნის ამ განწირული წრებრუნვიდან. ხოლო ამისთვის უნდა მივმართო მას მაშინ, როცა სხვა გზაც მაქვს. მაგრამ როცა კარგად ვარ, თავმომწონეობა თუ ამპარტაჰნება მეუფლება და მიჭირს თავის დამდაბლება და ღმერთისთვის თხოვნა: მისხენი, შემიწყალე. ეს სიტყვები თითქოს დამამცირებელია, მამცირებს ვილაციის თვალში. არადა, ვინ შეიძლება იყოს ეს ვილაცა თუ არა თვითონ ღმერთი? ეს მე არ ვიცი. იქნებ სხვა ადამიანები, იქნებ სხვა სულელები — მაგრამ, პირველ რიგში, ეს თვით ღმერთია. ესე იგი, არ მინდა, დავმცირდე საკუთარ თვალში თუ ღმერთის წინაშე. არადა, ცუდად რომ ვარ, სულ ამას ვიძახი: მისხენი, შემიწყალე. ადამიანი ასეთი გულმავინყე და გონებასუსტია? ალბათ, ასეა. მაგრამ ეს ამპარტაჰნება საიდან? ხომ შეუძლებელია, სრულიად უსაფუძვლო იყოს. საიდან მოდის, რა ასაზრდოებს? ის, რომ კარგად ვარ და რაღაც შემიძლია, მე ეს მომწონს და მეამაყება. მაგრამ თუ ეს კარგად ყოფნა, შეძლება მხოლოდ ღმერთმა მომცა და სხვა არავინ, მაშინ ხომ კარგი იქნება ღირსეულად მადლობა ვუთხრა — არა მათხოვარვით მივიღო და დავიმალე, არამედ კაცურად მადლობა ვუთხრა და მეც ვეცადო, რამე მივცე სანაცვლოდ. რას ითხოვს ჩემგან ღმერთი? ეს ერთი საკითხია. მას შეიძლება, მხოლოდ ის უნდოდეს, რომ როგორც უშურველად მომცა კარგად ყოფნა, ისე მე მის შეილებს — სხვა ადამიანებს მივცე სიკეთე, რაც შემიძლია, და ამით დავეზრუნო ვალი. ანდა შეიძლება, სხვა რამესაც ითხოვდეს — პირადად მისთვის მსახურებას. მაგრამ თუ ის მსახურებას და მონობას ითხოვს, მაშინ მიპყრობს სწორედ ანტაგონიზმი, ამპარტაჰნება: მე შენთვის არაფერი მითხოვია, შენ მაინც მომეცი და ეხლა სანაცვლოს მითხოვ? ადამიანის თვალში ასეთი ღმერთი უსამართლოს ჰგავს. ადამიანს არაფრით სურს, დაიჯეროს, რომ მიგან მსახურებას ითხოვენ. ამიტომ ქრისტე თვითონ მოვიდა, როგორც მსახური, თავი დაიმცირა და ადამიანს მისცა საშუალება, კი არ დაემონოს მას, როგორც ყოველს შემძლე მეფეს, არამედ გვერდზე დაუდგეს და კაცურად თვითონ გადაეყვიროს თავისი ამბავი. თუ იმან, ვინც მთელი სიცოცხლე მომცა, თავი დაიმდაბლა და კიდევ აქვთ მემსახურა, მაშინ ის ვილაც საშიში და შორეული, ვილაც უცნობი და საეჭვო, ვილაც არასანდო და სახიფათო კი არ ყოფილა, არამედ ტკბილი და მოწყალე მამა, და მამაზე კიდევ უფრო ახლობელი, რადგან ამას თითქმის არცერთი მამა არ გაგიკეთებს — რაღაცას მაინც დაიტოვებს თავისთვის. მამაზე ახლობელი

კი თვითონ შენი თავია. ესე იგი, ღმერთი მოსულა ადამიანთან, როგორც ადამიანი, მეტიც, მოსულა ადამიანის სულში, როგორც თვითონ ის ადამიანი — რაც ამას ეტყინა, იმასაც ეტყინა, რაც ამისია, იმისიც არის. ამ შემთხვევაში ამპარტავნებას ეცლება საფუძველი — რადგან გიჟის მეტი არავინ დაინყებს თავის თავთან ამპარტავნებას და ანტაგონიზმს. გიჟიც არ დაინყებს. ასე რომ, როცა მე კარგად ვარ, ჩემთან ერთად ქრისტეც კარგად არის, მაგრამ ქრისტე მარტო ჩემი ხომ არ ყოფილა — ის ყველა ადამიანის ცხოვრებაშია, და რადგან ჩემი კარგად ყოფნისას სხვა ვინმე შეიძლება, ცუდად იყოს და, რა თქმა უნდა, არის კიდევ ცუდად, ქრისტე იმასთან ერთად ცუდად არის. ამიტომ, როცა მე ცუდად ვიყავი და ქრისტე ჩემი გულისთვის მოვიდა, ახლა, როცა მე ვარ კარგად და ის ცუდად — რომელიმე ცუდადმყოფთან ერთად — მე უნდა მივმართო მას და ეს იქნება ვალის დაბრუნება. ანუ: უნდა მივმართო იმ ადამიანს, რომელიც ცუდად არის და ეს იქნება ქრისტესადმი მიმართვა. აქ ამპარტავნებას და დამცირებას ადგილი არა აქვს. და თუ იმ ადამიანმა, ვისაც მივმართე, თავის უბედურებაში და ცუდად ყოფნაში მეც ნიხილი მკრა, დიდად არც ამან უნდა შემიღობოს თავმოყვარეობა, რადგან კაცი რომ ცუდად არის, იმისგან ყველაფერს ითმენენ.

„მონუმენტური რომანი“

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ვერეთ ნოდებულ „მონუმენტურ“ პროზაზე. არ ვიცი, პირველად ვინ დაიწყო ასე წერა, ანდა რა არის მისი საფუძველი — ტექნიკა თუ რამე სათქმელი. ამგვარი პროზის ნიშანწყალიც არ იგრძნობა, მაგალითად, გენიოს სერვანტესთან, არც სვიფთან, არც სტერნთან (სტერნი ამის ანტიპოდი). პირველი ჩანასახები, ალბათ, გვხვდება მეთიურინის „მელმოდოლი“. ისიც — ძალზე შეუმჩნეველი. ბალზაკთან ეს ოდნავ იგრძნობა (მონუმენტურში არ ვგულისხმობ მოცულობას). შემდეგ ამის გარეთ დგანან XIX საუკუნის კლასიკოსები, გარდა დიკენსისა. დიკენსთან უკვე შესამჩნევია ამგვარი ტექნიკა. საერთოდ, დიკენსთან ძალიან ბევრი რამეა შესამჩნევია — რომანტიზმი, გოთიკა, სიზმარული პროზა, ეგრეთ ნოდებული მაგიური რეალიზმი და სხვა. თვით დიკენსის უკანასკნელი დაუმთავრებელი რომანი — დეტექტივი „ედვინ დრუდის საიდუმლო“ — წერის რაღაც ფანტასტიურ ტექნიკას ავლენს.

დიკენსისა და მეთიურინის კვლადკვალ ამგვარი პროზის (ვიმეორებ — ეს არც რეალიზმი და არც რომანტიზმი, არც — ეგრეთ ნოდებული მაგიური რეალიზმი. ეს არის უზარმაზარი ცივი ლოდები, როგორც ეგვიპტური პირამიდა, ან ყინულის სასახლეები — ცივი და თან მანათობელი!) შემოქმედია, ნაწილობრივ, დოსტოვესკი და ჯოზეფ კონრადი (შედარებისთვის — მსგავსიც არაფერია გოგოლთან. ტოლსტოისთან — მხოლოდ ორ ნოველაში — „მამა სერგი“ და „ღვთის კაცი“), შემდეგ — ცოტათი ფლობერი, ცოტა უფრო ადრე — შეუდარებელი ნიჭის წყალობით — ედგარ პო.

პირველი, ვინც ეს ტექნიკა სისტემად აქცია, მგონი, არის ჰენრი ჯეიმსი, ისიც, გვიანი პერიოდისა. ასეთია მისი მოთხრობა „ხრახნის ბრუნი“. სხვათა შორის, ჰენრი ჯეიმსი ამბობს, რომ ფლობერი გაჩერდა სწორედ იქ, საიდანაც ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა დაეწყო, რაღაც კარი აღარ შეაღო. თვითონ ჯეიმსი უკვე ალებს ამ კარს. მასთან ერთად — ჯოზეფ კონრადი. სტივენსონი ამ ორთან შედარებით გაცილებით ადამიანურია, თუმცა, არანაკლებ, შეიძლება მეტადაც, მონუმენ-

ტური (ეს მონუმენტურობა, რაღაც გაგებით, ადამიანურობას გამოიცხავს).

პირველი მწერალი, ვისთანაც გაკეთებულია სრული მონუმენტი, არის ჰერბერტ უელსი. მისი რომანები — „დროის მანქანა“, „სამყაროთა ბრძოლა“, „უჩინარი კაცი“ და „დოქტორ მოროს კუნძული“ — ნამდვილად მონუმენტურია. მისი მსგავსია, გარკვეულწილად, კონან დოლილიც. უნდა ითქვას — ამათ თანამედროვე და არანაკლებ დიდ მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს, რედიად კიპლინგს, ამ მონუმენტურობის უმცირესი კვალიც არ ემჩნევა. ეს არც ნაკლია და არც ღირსება. ვლადპარაკობ მხოლოდ ერთერთ თვისებაზე.

ჰერბერტ უელსმა შექმნა რაღაც ახალი ეპოქა — არაადამიანური. არ ვიცი, რითი აღწევს თვით უელსი ამ გრძობას — მსმენია, რომ თვითონ იგი (სტივენსონისგან განსხვავებით) სრულიად არ ზრუნავდა სტილზე. „აი, აფრიანი ნავი მიცურავს ზღვაში. რამდენაირად შეიძლება ეს გამოხატო?“ — ჰკითხა ერთხელ კონრადმა უელსს და ნაზე მიუთითა. „მე ვიტყვი: ზღვაში ნავი მიცურავს. ანდა, თუ ეს მოთხრობისთვის საჭირო არ იქნებოდა, სულაც არაფერს ვიტყოდი“ — მიუგო უელსმა.

უელსის პირდაპირი გამგრძელებელი ამ მხრივ არის კაფკა. ასეთი მონუმენტურობით ხასიათდება აგრეთვე თომას მანის და ბრედბერის (და არა ჰესესა და მუზილის) ნოველები. ამას წინათ ნავიკითხე ალექსეი ტოლსტოის „ინჟინერ გარინის ჰიპერბოლიდი“. ამ რომანის რაღაც ნაწილიც ზუსტად ასეთია. მაგრამ ალექსეი ტოლსტოის რაღაც არ ჰყოფის ამის ბოლომდე მისაყვანად (შედარებისთვის — მონუმენტურობის ნიშანწყალიც არ არის ბულგაკოვის „ოსტატ და მარგარიტაში“).

ამბობენ, რომ ჯოისის „ულისე“, მიუხედავად ფსიქოლოგიური ნატურალიზმისა, ზუსტად ასეთია. არ ვიცი, „ულისე“ არ ნამიკითხავს. და არც მგონია, რომ ვინმეს ნაეკითხოს, გარდა მისი მთარგმნელებისა. თვით თარგმანი ბევრს არაფერს გვეუბნება.

არ არიან ასეთი მწერლები აგრეთვე ვულფი, ანდერსონი (ესენი ბევრად დავალებულნი არიან ჯოისისა და უელსისაგან), უორენი და სხვა მრავალი. მონუმენტურობის რაღაც ნიშნები შეიმჩნევა ფოლკნერთან, ჰემინგუისთან — ოღონდ ამ უკანასკნელთან შექმნილია არა ყინულის ლოდები, არამედ პატარა ნატეხები — მისი ნოველები.

ყველაზე მნიშვნელოვანი და „მონუმენტური“, რაც ამ გაგებით XX საუკუნეში შექმნილია, არის ოლდას ჰაქსლისა და ჯორჯ ორუელის რომანები — „ო, ეს მშვენიერი ახალი ქვეყანა“, „მაიმუნი და არსი“ და — „84“.

ჯორჯ ორუელის ეს რომანი — „84“, ჩემი აზრით, პროზაული ხელოვნების ნიმუშია. ეს არის რაღაც უცნაური ნაგებობა, სადაც, მიუხედავად დამინებისა და დამაჯერებლობისა, ბოლომდე ვერ გარკვევ, შენს ამბავს ყველა ეს კაცი, თავისას, თუ რაღაც გამოგონილს. ეს არის დამინებული ფანტასტიკა. ეს არის სიზმრისა და რეალობის არანორმალურად ნამდვილი შერწყმა. აქ არის სრული მონუმენტურობა და, ამავე დროს, რომანი გამსჭვალულია უცნაურად თბილი და ადამიანური ინტონაციებით.

აქ არის ერთი ადგილი, სადაც უინსტონს ანამებენ — და ამ ნამებებს შორის ერთხელ (მხოლოდ ერთხელ) ნახავს სიზმარს. სიზმარი არის ძლიერ მოკლე. წერია მხოლოდ, რომ თვით უინსტონი, მისი მნამებელი და თავისი შეყვარებული ქალი (რომელსაც სხვა კამერაში ანამებენ), სხედან სადაც დიდ მინდორზე და



მსჯელობენ რაღაც უცნაურ და გადაუწყვეტელ საკითხზე. მეტი არაფერია ნათქვამი. იდეებებს და რეალობას ისევე იქ არის. ეს არის რომანი არაადამიანობაზე. მაგრამ ეს არის ადამიანის მიერ დაწერილი.

მონუმენტურობის ნიშანწყალი არ არის ბორხესთან, მუზილთან, შინცლერთან, ცვაიგთან, მოემთან; თუ რანგით მაღლა ავინაცვლებთ — დოდერერთან, ჰესესთან. მონუმენტურნი არიან, როგორც ნესი, სკანდინავიელები. მაგალითად ლაგერკვისტი, სტრინდბერგი, ნაწილობრივ — ჰამსუნი. და ბელგიელები. კერძოდ — მეტერლინი (ვიმეორებ — მონუმენტურობა თვისებაა და არა ხარისხი).

ფრანგებს ეს მონუმენტურობა ხან გადაჰკრავთ ხოლმე ჩრდილოეთი, და ხან ისევე იკარგება. რაც შეეხებათ იტალიელებს, ამ მხრივ მათ პროზაზე ლაპარაკიც არ ღირს.

ჩვენში გავრცელებული აზრით არსებობს რუსული „ჟანგაზი“ პროზა (ანდრო ბუაჩიძე). მაგრამ არცერთი დიდი რუსი მწერალი არ არის ისე „ჟანგაზი“, როგორც ინგლისელი, ამერიკელი და სკანდინავიელი მწერლები. ესენი პირდაპირ ლოდებს გესვრიან თავში. დიდი რუსი მწერლები — ტოლსტოიც, ნაბოკოვიც, გოგოლიც — განსაკუთრებით ევროპელები არიან. თუმცა დოსტოვესკი, სხვებისგან განსხვავებით, ამ მხრივაც გამოჩნეულია. ისიც პირდაპირ ლოდებს ისვრის. ეს არის უკიდურესობამდე ეგოცენტრიკი, კეთილი, გულწრფელი და მიამიტი მწერალი. ამავე დროს — უკიდურესობამდე რთული, ტანჯული და გადარეული. მაგრამ მასაც აქვს, სხვა რუსი მწერლებივით, ერთი სისუსტე — როგორც კი სცენაზე გამოჩნდება ვინმე უბრალო ადამიანი, მაგალითად — გლეხის ქალი — მწერალი წამსვე უარს ამბობს თავის მონოდებაზე და ხდება ქადაგი (როგორც ყაზბეგი ვაჟაყვის გამოჩენისას). საერთოდ, რუსულ პროზაში „ჟანგაზე“ გაცილებით მეტად მოიპოვება ცრემლი — დაკავშირებული უბრალო გლეხის ქალთან.

ეს თვისება ოდნავ, იმავე რუსული პროზის გავლენით, ჯორჯ ორუელსაც გადაჰყვა, თუმცა ასატანი დოზით.


ყველამ იცის, თომას მანი რაღაცით გულისამრევია. შეიძლება ეს გულისრევა სწორედ იმას უკავშირდება, რომ მწერალი ოსტატურად ცდილობს, დამალოს თავისი ცრემლნარევი დამოკიდებულებები რაღაც-რაღაცების მიმართ. მაგალითად, გამოჰყავს გადაგვარებული, დაფეხვილი კაცი და მის ნინაღმდეგ — მედგარი ბურჟუა. იგი დასცინის პირველს, დასცინის მეორეს, მაგრამ ჩანს — აქ ყველა ხრახნი ვერ არის ადგილზე. ორუელი უფრო გულბრყვილოა (როგორც დოსტოვესკი), მაგრამ გულბრყვილო მხოლოდ გულწრფელობით, სხვა მხრივ თომას მანზე უფრო ღრმა და ჩაღრმავებული. უფრო ღრმა არის, ფსიქოლოგიზმის მხრივ, აგრეთვე ჰაქსლიც — მაგრამ სულაც არაა გულბრყვილო. იგია ყველაზე უფრო სკეპტიკოსი, ვინც კი ნამიკითხავს. თავისი მონუმენტურობითაც ჰაქსლი და ორუელი (კავკასია და ჯოისთან ერთად), მე მგონი, XX საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი რომანისტები არიან.

ახლა, როცა ამდენი ვილაპარაკე „მონუმენტურობაზე“, მაინც ვერ გავიგე — ვთქვი თუ არა ის, რისი თქმაც მინდოდა. მაინც რას ნიშნავს ეს ტერმინი? არ ვიცი. ეს არ არის მწერლის ხარისხი, სიდიდე, ნიჭი, სტილი, უნარი. ეს არის რაღაც თვისება — გაქვავებული. როგორც პირამიდა, როგორც ცინულის სასახლე, როგორც ლოდები, რომელსაც გესვრიან ვიღაც უცნობი ადამიანები. ეს ნასროლი ლოდები სამუდამოდ რჩება. მე არ ვგულისხმობ შთაბეჭდილების სიმძაფრეს — ამ მხრივ ყველაზე მონუმენტურები იქნებოდა „ნიქარა“, „ვინი პუპი“ და „პინოქიო“. ეს არის რაღაც სხვა თვისება — თვისება არა შთაბეჭდილებისა, არამედ თვით ნაწარმოებისა. ეს ნაწარმოებები დგანან, როგორც ნარმართული კერპები. და ყოველი ჩვენი ადამიანური გრძობის გაეღვევისას ბრინჯაოს მახვილიან ხელს სიამოვნებისაგან აიქნევენ.

„სიმართლე ტყუილია“ — ჯორჯ ორუელი.

ამ ნაწარმოებთა ავტორები ამ ქვეყანაზე აღარ არიან.

ვინ იცის, რა ლოდებად ადევთ გულზე...





გივი ალხაზიშვილი

და ჩემად გითხრა, რომ ხანდახან ადგილებს ცვლიან დასაბამი და დასასრული, გულალმა წვანან და ჩვენთვის უცნობ ცას შეჰყურებენ...

შობენის მეოთხე პრელუდია... ორიოდ წუთი ჭას ჩაჰყურებ საკუთარ თავში, ღრუბლის ქულას და მზეს რომ ირეკლავს და იქ შეიგრძნობ იმ დროს – ოდესმე შენ რად იქცევი, რომ დაინახავ ალმაცერ სხივით წყლის ჭავლი როგორ ბაძავს შენს მზერას...

მთელი ცხოვრება ეს მდინარე ამ ქვას ლოკავდა და ერთხელაც დამანახა და მომანოდა, ხელი ფრთხილად გადავუსვი, ხელისგულში ისე გავათე — რომ წასვლისას შინ წამყვა და არ მიმატოვა... მერამდენე წელიწადია, ჩემი დუმის ნაწილად იქცა და ყველაფერი უკეთ ესმის, ვიდრე ამ კედლებს.

ვაშლის ლოყაზე სამი წინწკალი, ისე წითელი, ისე ღუდღუდა, ისე ლამაზად ჩამწკრივებულან, რომ ნატურმოტი ჩასაკებეად ვერ გავიმეტე, თან გავიფიქრე: ვაშლი ხომ ევას არ მოუცია?

ვინც მინა დაკარგა...

თუ არ დაუბრუნდი, ვერ დაიბრუნებ!

ემიგრანტებს კი არ მივმართავ, არამედ მათ, შინ რომ ცხოვრობენ ემიგრანტებით, სამშობლო რომ გაიუცხოვეს. სახნავ-სათესი შეატოვეს ჩინელს და სპარსელს, ინდუსს, ოსმალოს, თვითონ ლოთობენ ან ზეზეურად ყვინთაობენ დაბოლილები.

ახლა გინდ ზარი დაარისხე, გინდ იყბედე, პატრიოტულად შეუძახე, ყურსაც აღარ იბერტყავენ, აქ ელიან უცხოეთში გახიზნულ ქალებს!

ვინც მინას არ დაუბრუნდა, მინა დაკარგა, ვინც მინა დაკარგა, მან თავი დაკარგა...

თუ არ დაუბრუნდი, ისე ვერ დაიბრუნებ...

რას შეცვლის ეს რიტორიკული ჩალა, ან ფსევდო-პატრიოტული ლულული?

ადრე შეყვარებული თუ გაგითხოვდებოდა, სამჯერ მაჰკებენი მინას, ახლა კი სიმწრისგან მოსაკებეჩი მინაც არ დაიტოვე.

ვერც კი ვამჩნევთ, ერთმანეთს როგორ ვასაფლავებთ და ჩვენთან ერთად საფლავის მინაც ქრება თანდათან!

თუ არ დაუბრუნდი, ისე ვერ დაიბრუნებ!

ცოტანი დავრჩით.. ყველანი რომ მინად ვიქცეთ, რაც დავკარგეთ, იმდენს მაინც ვერ დავიბრუნებთ!!!

თუ არ დაუბრუნდი, ვერ დაიბრუნებ!!!

მაინც მიყვარს, დროდადრო შენზე გაფიქრება და ვიცი, დიხანს არ უნდა შევაყოვნო წარსულის კადრები, ყოველივე რომ თავიდან არ დაიწყოს და, რაც მთავარია, სისხლს არ შეერიოს სახადივით საშიში განცდა, როცა კიდურები კარგავენ წონას და თვლები საკუთარ სიღრმეში იხედებიან და ხსოვნაში ეძებენ წუთებს, დღემდე რომ სინანულს ასხივებენ.

დროდადრო მიყვარს შენზე გაფიქრება, ასე უნებლიეთ თუ გამახსენდება,

მიტოვებული წუთი

რომ მიჩუმდები და აყურადებ როგორ ხტის პულსი, თანდათანობით შიში გიპყრობს და ეძებ ნაპირს, სადაც გაგრიყავს ღამის დინება, სულ მარტოდმარტო აღმოჩნდები საკუთარ გულში და სამყოფელი შენი არვის ეცოდინება.

მერე სიჩუმე ისე ღრმავდება, იპოვი სუნთქვას, უსხეულო ღამეს რომ ერთვის... სხვისი დუმილი შეერწყმის შენსას და შენს ძარღვებში ჩურჩულებს დენით.

შენ აღარ იცი, სად იწყება და სად მთავრდება — შენი და სხვისი დუმილი გიმძიმს, რომელიც გინოვს, პულსის კარნახით და ღამის გულში განაგრძობს ციმციმს...

ვის აეხილა შენი თვალი და აღარ იცი, სად იხედება — წინ თუ უკან თუ ისე არსად, თუ სული შენი წვდება იმ წუთს, წელან რომ განყდა..

განვეთებს ნაღველს სიმარტოვე მბჟუტავ ნათურის, მიხურავ ღამეს, ცდი შეკრიბო ამ დუმილში ჩაკარგულები, ხმებს მოუსმინო, დაალაგო და ილოტბარო, რომ აამღერო მოხუცი გუნდი მიტოვებული წუთის ღამეში, შემკრთალ იმედში შეყუყულო და გამომთბარო... ა ლ ი ლ უ ი ა... ა ლ ი ლ უ ი ა... ა ლ ი ლ უ ი ა...

ა, მითი...

ამინთე, ამინ, თე-ამინდი, ამ მითის ამინთე ამინდი იმითი, ამითი დამითბე... ვიხარე დამით მე, ისევე რომ დამითმე და ჩემი სურვილი იქვე მოგართმე.

შენ მადლიანი ხარ, სხვაში ნოქარი თვლემს, დღემდე ენატრები სიზმრის ლოგარითმებს. უკვე მერამდენედ ისევე მოგართმე, ნულარ მალოდინებ, უკვე დრო არ ითმენს...

ხანდახან სულით აღწევ აქამდე, მაცოცხლებს შენი თვალის შევლება, რომ ვიცი ისევე უნდა დაღამდეს და აქვე დავრჩეთ ღამის მძევლებად. აქ მოდის იგი, რომ მახსენდება, შეკრებილები ახლაც აქ რომ ვართ. სულ უნებლიეთ, როცა თენდება, შეს სიყვარულში ვნატრობ გაქრობას...

იქედან ხსოვნას!

ვინ გაიხსენებს წუთს უკანასკნელს, როცა სიცოცხლე ყულფში განასკვე... ახლა ვმკითხაობ, რომელ დღეს იყო: ხუთშაბათს? არა. მგონი, პარასკევს!

რომელ საათზე? ალბათ თერთმეტზე, მზე რომ წავიდა ღრუბლის ფარასკენ! შენ გაიპარე ასე უჩუმრად, იმ შინმოუსვლელ გაიპარასკენ!

შენ სანახავად ყველგან რიგი დგას და გიხარია, რომ გაქვს რიგი შინ, სადაც მომთხოვე, ყველგან მიგიშვი, მოინდომე და უკან შებრუნდი და ხელმეორედ ისევე იქ იშვი.

გამოგიტყდები, ჩემო ძვირფასო, დაზაფრული ვარ თქვენი სიგიჟით.

წამოდი, ვენახის წითელო ფოთოლო, ქარი რომ გაშფოთებს, ღამაზო ფოთოლო, ნაგიყვან, გაცხოვრებ ჩემ სიმყუდროვეში, ზოგჯერ ხელისგული უნდა მოგატოლო, ჩვენი ხაზები ხომ ერთმანეთს წააგავს, მე არ შემიძლია, აქ რომ მიგატოვო, იყურე, ნუ შფოთავ, წითელო შ-ფოთოლო... სულ მალე ამინდი რომ გაისუსება გუმანით მივხვდებით, რომ უნდა მოთოვოს... წამო, შინ წავიდეთ, წითელო ფოთოლო...

TRISTESSE

აქ არის ჩემში, უსახურ გროვად ყოველდღიურად რასაც ვკარგავდი... ის დრო ჰგავდა ბავშვს, ზღვამ რომ მოგვტაცა და არცოდნაში დავვიმალა და არც კი ვიცი, სად დავიტიროთ...

მხოლოდ ჩვენში შეიძლება მისი მოძებნა, აქ კონტურები მხედება თვალში და მყისიერად ცვალებად ფორმებს ვხედავ შემკრთალი, უნებლიე მოძრაობა ცვლის ყველა ფორმას, ფერს და განწყობას და ნაპირისკენ მიგვაქანებს, სადაც უნდა დავჯდე ჩემთვის, თავი ჩავრგო ხელისგულში, ჩავიხედო სულის ჭაში და ვუყურო დროს, მთასავით რომ გაიზარდა ჩემი სიცოცხლის უწყვეტელ შთანთქმით და თავზე ისე წამომადგა, რომ შემეშინდა და შემკრთალმა გავიფიქრე: ნუთუ ეს დრო ჩვენით იცნობა?!

ახლანდელი ფერად ფანქრებს საზეიმოდ გამონკეპილ ბავშვებს ვადარებ, და მათ უხმოდ ვეფერები, დახშულ ტემბრის გაუფიქრებლად.

რადგან, ჯერ კიდევ გული მერჩის და სიტყვებით იმას ვპოულობ, რასაც აქამდე ვერც კი ვხედავდი და მაინც ვეძებ აუჩქარებლად...

კიდევ რა უნდა გამოვტყუო მანანალა დროს?

მძულს კითხვისნიშნის ჩრდილში დგომა და ვნატრობ — იქნებ გაიხსნას გული,

რომ სადღაც, ჩემში, ჯერ კიდევ არსებობ, ისეთი, როგორც დღეს უკვე არ ხარ.

ლილი ჩხუბინაშვილის სსოვნას!

მოქარგული ჯვარი დამრჩა სახსოვრად,
შემოდგომის ფოთოლივით ჩუმად მონყდი კენწეროს,
ეს აგვისტოს ნათელია, სხივი რომ ჩააქსოვა
შენს ნაჩუქარ თამარის ჯვარს,
იქაც ჯვარი გენწეროს!

„სათრეველად“...

მე ახლა მიკლუხო-მაკლაი მაკლია,
მაკლერს ასე ჰქვია, ჩვენებურ აბორიგენს,
ვისაც ვაჭრობაში სჩვევია აბორგენა,
ამიტომ ალტერ ეგოს ამორიგეებს.

მე მიყვარს ესენი და ორი გენია,
არც ორიგენა, არც ერიუგენე,
ორივე თურმე აბორიგენია,
საქმეში ერთმანეთს უსიტყვოდ უგებენ
და როგორც ირკვევა, ეს ორი გენია
მორიგეობით ორი რეგენია.

**მედიტაცია —
ნაბულისნაბი მუსიკის თანხლებით**

თქვენ ვინც ხართ, ეგ ხართ, მაისტერ ეკჰარტ...

ზოგჯერ თავისთავს ვესტუმრები,
წარმოსახვაში ამოზრდილ ტიპებს ვახმოვანებ;
ასე იქცა „მე“ ამ საუბრის ავტორად და თანაავტორად.

ეს მდუმარე დიალოგი
მეხმარება მარტოობის გაქარწყლებაში.
ასეთმა ყოფამ გადამაჩვია ყოველდღიურ ურთიერთობას
და როგორც მივხვდი,
გამოგონილ პერსონაჟებით ჩავანაცვლე
რეალური სუბიექტები,

მერე დავეჭვდი რეალობის რეალობაში
და თავი ჩავრგე პირობით დროში,
რომ არის და არსად არის და არსად მიდის,
რაც არ მოსულა, ის როგორ ნავა,
წინათ ყოფილა, მაგრამ ახლა არსად არის!

ამ უჩვეულო არსებობას მინდა თავის სახელი ერქვას,
მაგრამ არ კმარა ერთი სახელი!

ტიპები, ჩემში რომ გროვდებიან, ხშირად დაობენ
და დადუმება მათი მხოლოდ მაშინ ხერხდება,
როცა დაქანცულს ძილქუში შთანთქამს,
როცა გინების ტყ-კოპლექსი
უკონტროლო სიზმრებშიც ისმის..

თვითმკვლელობაზე ველარ ვფიქრობ,
რადგან ამდენი ადამიანის სიცოცხლე მანდეს...
ისინი ხომ ჩემში ცხოვრობენ
და ეს სიცოცხლე ჩემში ებოძათ?!

დავიკიდე მისი კარნახი,
რომ სიკვდილი გააყუჩებდა ჩემს ყველა ტკივილს
და სამუდამოდ დავისვენებდი.
ჩემი ტანჯვა გაგრძელდა მანამ,
ვიდრე დუმილმა არ მომიცვა
და ჩემში მშვიდად აღმოცენდა
სული ჩემი — სამყაროს სუნთქვა და გაისუსა.



სუყველა გაქრა, მხოლოდ მე ჩავრჩი იმ სიტყვაში,
კონკრეტული დრო რომ დაკარგა,
ის ყველგან იყო და არსად იყო და ამავე დროს,
არა იყო რა და მაინც არის, არის და იყო...

შიშმა შთანთქა,
ძლივს დაფურუნდი იმ მოლექულას,
ჩემ ძველ სამშობლოს რომ მაგონებდა,
სადაც დავინწყე
გადასახლება გამოგონილ რეალობაში.

სულ ვცდილობდი, რაიმე მეთქვა,
მაგრამ ვერაფერს ველარ ვამბობდი,
მეშინოდა, რომ უნებურად არ გამომეხმო
უბედურება უკონტროლოდ გაფიქრებული...

ფრაზა, რომელიც იმდენივე ეკალს გულისხმობს,
რამდენიც დარჩა დუნდულზე მაკას,
ბავშვობაში რომ შიშველ „ზადნიციტ“,
ე.ი. უკანა ცით, ქოთანში გაზრდილ კაქტუსს დაეცა;
ერთი საათი ეწვალა დედა ბავშვის ტაკოდან წვრილი
ეკლების ამოძრობას.
კაქტუსი მასში აღვიძებდა წინსვლის სტიმულს,
ეკლის ჩხვლეტა მტკივნეულ წინსვლას უზრუნველყოფდა.

აი, დადგა გაბერილი თოჯინების დაჩუტვის ჟამი,
როცა ტრომბონის პირველი ბგერა ხმაურით გაფხრენს
შებერილ ლოყებს და თვითონვე შეაშინებს ფინალის ექო.

ფიქრის ღრეჭოში ბევრი გზა ჩანდა,
გარდა იმ გზისა,
მომავალში რომ თვითნებურად ამოიზარდა
და სხვა გზები აქცია თავის შენაკადებად.

აგრძელებს თავის პარტიტურის კითხვას საღამო
და ან უდროოდ დარჩენილ სიტყვას
ძველ მიკროსკოპით დაეძებენ მოლექულაში...

თვალი მოხუჭა და იმ ორკესტრს მიუგლო ყური,
უცნობ სამყაროს, უცნობ ბგერებს
შეუცვლელად რომ ახმოვანებს მერამდენე საუკუნეა...

იგი ხმა იყო და შეეძლო ნებისმიერ დროს გამქრალიყო,
თანაც უკვალოდ.
ცას მორიდებით ახედავდა,
როგორც ჩაძირულ ხმების სამყაროს.

მიზიდავს შენი ზედაპირი თავის სიღრმეში,
მომეხვია და შენში ჩავეყვინთე
და უნებლიე ხმა გამომრიავს ოდესმე შენგან...
ამ საბგერეთში გააგრძელებს არსებობას
და საკუთარ ხმაში ჩარჩენილ ხმას
ვერავინ აქცევს საფლავად.

ის აგრძელებდა
სხვისთვის უხილავ სინამდვილეში არსებობას
და არ იცოდა, რომ აგრძელებდა, რას აგრძელებდა
და ეს სიცოცხლე იყო თუ არა?!

ვგრძნობდი, მინაში გავიდე ფესვი,
მოსაფერებლად მინა მიხმობდა
და შენზე ფიქრში დავინწყე ჩაზრდა...
ვერ გავიგე, შენზე ფიქრში მე აღმოვცენდი შენგან
თუ ორივე ერთდროულად ამოვიზარდეთ
ერთმანეთისგან...

ცოცხლობ ზოგადად, უპიროდ და უპირისპიროდ;
არსებობ ფერში და ბგერაში, სინათლეა და სიბნელეში,
წვიმაში, ქარში და, რა თქმა უნდა, იქ,
სადაც შენი სული ბინადრობს
და რომლის ადგილსამყოფელი ღმერთის გარდა
არავინ იცის!

ღმერთმა თვითონაც არა იცის რა,
ან გვაჩვენებს, რომ არა იცის, სად და როდის და თუ არის,
რატომ არის


და არავის არ ელოდება!
ვიმეორებ მეუთვალავედ: თქვენ ვინც ხართ, ეგ ხართ,
მაისტერ ეკჰარტ...

ლამის კამერულ ორკესტრიდან შენი ხმაც აღწევს,
მაგრამ არ ვიცი სხვებში როგორ გამოგარჩიო,
ან ასე როგორ ამიყოლია, სამყაროს სუნთქვამ,
არქაული დროის შეგრძნებამ,

ორ ნერტილს შორის რომ მიმოდის
და ერთმანეთს ჯერ ვპოულობთ, მერე ვივინწყებთ,
როცა ვისხენებთ, რომ ელექტრონულ და
ეკლექტურ წარსულში ჩავრჩით,
რომ ყველა სიტყვის დასაბამი
ღმერთში არის და თან ჩვენშია!

აღარ ვკითხულობ, სქოლიოთა ჯაჭვი გამიწყდა,
ერთი სქოლიო იმდენ თვალს ახელს,
მთელ ცას ეყოფა უკუნეთის გასანათებლად,
ისინი მუდამ ერთმანეთთან მაგზავნიან
და გულდასმით მალავენ სათქმელს...

მაშინ წამომცდა „შეძახილი ჩემთვის!“
— მოშორდი აქაურობას და გზა ეძებე!
ვრცელი პაუზის მერე გამოხვალ
და ჩაივლი იმ მგზავრით,
სიზმრად ჰაერზე რომ აბიჯებს
და დაკარგულ თავს უბრუნდება.
ჯერ იმ ჩიხში ხარ,
გალავანი რომ შემოაველე
და პორიზონტი ყულფად აქციე;
გახსენ გული და ცა გაიხსნება.



დასაწყისი პირველ გვერდზე

ირაკლის და მარიკას შავი ლენდ კრუიზერ პრადოც ამ კოლონიაშია. ისინი უკვე რვა წელია, შვილზე ოცნებობენ და მონაზვნის სიზმარსაც სილოამის საბანელში ანგელოზის ჩამოსვლის ნიშნად იღებენ.*

ქალაქს ერთ-ერთი პირველები ტოვებენ, მაგრამ გამოსვლიდან მეოთხე დღეს ისევ მცხეთის შესასვლელთან დგანან და არაფერ იცის, კიდევ რამდენი ასეთი დღე ელოდებათ. წინ კუს ნაბიჯებით მიიწევენ. საჭმელს გზად შემხვედრი რესტორნებიდან ეზიდებიან. სხეულს სველი ხელსახოცებით იწმენდენ და ტანსაცმელს მანქანაში იცვლიან. მათ წინ და უკან ჯიპების და სედანების გრძელი კოლონაა. სუსხიანი ქარი ქრის, ცივა და მარიკა ფიქრობს, რომ კორტასარის გმირებს ჰგვანან მოთხრობიდან „სამხრეთის გზატკეცილი“. ღამით კი იმ საოცარ სიზმარს ნახულობს. ესიზმრება, თითქოს სულ სხვა დროსა და სივრცეშია. ხედავს გრძელ, მთვარის შუქით განათებულ, ხრიოკ და უცნობ გზას, რომელსაც შავ მოსასხამებში გახვეული კეთროვნები და ხეობრები მიუყვებიან. თავდაც მათ შორისაა — მათსავით გლახაკი და მომაკვდავი. სიზმრის სიჩუმე დოლბის სისტემის კინოთეატრების მგრძნობიარე დინამიკებში უცერად გამორთული ხმაურითაა. საპყართა არმია ნელა და თავდახრილი მიაბიჯებს. მარიკაც მხოლოდ წინმითინადაა ფეხის ტერფებს ხედავს. გზის ბოლოს საქონლის სადგომია. სადგომში, სხვებთან ერთად, ვიღაც უხილავის კარნახით შედის და ხედავს, რომ ბაგაში ცხვრების ნაცვლად ექიმი წევს, რომელსაც ჩვილი ბავშვის სახე აქვს და ყველა მათგანს ღიმილითა და თავზე ხელის დადებით კურნავს...

თვალს რომ ახელს, გზატკეცილს მართლაც ანათებს მთვარის შუქი, სიჩუმეს დეკემბრის ცივი ქარის ზუზუნის და საპატრულო პოლიციის მანქანის სირენის ხმა არღვევს. მარიკას მანქანის სალონში მოუხერხებელი ძილისგან კისერი ტკივა. სიზმრიდან გამოყოლილი სურათები ცხადში ბოლომდე დაბრუნების საშუალებას არ აძლევს. გაოგნებული უცქერის მთვარიან და მანქანებით გაჭედვით ვიწრო ქუჩას. მერე ირაკლის ალივიტებს და სიზმარს უყვება. ეუბნება, რომ ქრისტე ნახა. ეს კი, ალბათ, იმის ნიშანია, რომ საფლავზე შესვლას მოახერხებენ და აუცილებლად ეყოლებათ შვილი. ირაკლი გამოუძინებელი და გატანჯული სახით უქნევს თავს, მანქანის სავარძელზე გვერდს იცვლის და რაღაცას ბურტყუნებს. ახლა ის ყველაზე ნაკლებად ჰგავს ბავშვის გამკეთებელ კაცს...

მარიკას ვარაუდის პირველი ნაწილი მალევე მართლდება. იმ დღესვე ირაკლი სრულიად შემთხვევით თანაკლასელს, მამა ვასილს (ერობაში ვასკას) ნახულობს, რომელიც მათ შუალდამით დაკეტილ საფლავზე შეაპარებს. მარიკას სხვებისგან განსხვავებით მთელი ღამე აქვს. საფლავზე სრულიად მარტოა და, რა თქმა უნდა, რჩეული. საფლავზე წევა. წევა მუცლით. სახეს მიწაში რგავს და თბილი მიწიდან საკუთარი თუ წმინდანის გულისცემა ესმის. ცივა. ყინავს. თავზე სწორედ ის დიდი ვერცხლისფერი მთვარე დაჰნათის. ჯადოსნური ღამეა და მარიკასაც უჩვენება, არა კი არ ეჩვენება, ნამდვილად ასე... საფლავიდან წმინდანის უხრწნელი ხელი ამოდის და მარიკას გაყინვით თითებს ეხება...

მას შემდეგ, რაც მარიკას (ცივი თითები, სუსტი სხეული და მერყევი სული წმინდანის ხელს ეჭირა, დიდი დრო გავიდა. სიზმრის მეორე ნაწილი არ ამხდარა. რადგან მარიკას აზრით, მოთმინება, უფრო სწორედ, რწმენა არ ეყო. მათი შვილი ქვეყანას ჯერ არ მოვლენია. არაფერ იცის, გაჩნდება თუ არა საერთოდ. მარიკას და ირაკლის განქორწინების შემდეგ მათი in vitro განაყოფიერებული ემბრიონი სინჯარაშია კონსერვირებული. დედის სურვილია, ის ცოცხალ ადამიანად იქცეს, მაშინ — არასდროს გაჩნდეს. ყველაფერს სასამართლო გადაწყვეტს.

ნაწილი პირველი

ფარდებჩამოფარებული ფანჯრების იქით კარგა ხნის გაღვიძებული ქალაქის ხედი იშლება. მრავალსართულიანი კორპუსების უსწორმასწორო ერთიანობა,

ორიგინალური ლანდშაფტი და ქვაბულზე ამფითეატრებით შეფენილი ძველი უბნები ქალაქს დროის მდინარეებში ჩაკარგულ და ორპროვან იერს ანიჭებს. სექტემბრის ნათელი და ცხელი შუადღეა. მაცხოვრებელთა ნაწილი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა შვებულებიდან, ნაწილს კი ისევ მოჰყვება განვლილი ზაფხულის სიმსუბუქე და უდარდებლობა... ფარდაჩამოფარებული ფანჯრების შიგნით თანამედროვე ტექნიკით და რბილი ავეჯით მოწყობილი არეული, მაგრამ სუფთა ოთახია. რთულად გასარჩევ ბინდებში მუქი ნათელი ფერის დივანზე მარიკას ძინავს. მაგიდაზე ყავის ჭიქები, წამლის კოლოფები, ხელსახოცის პაკეტები, Dove-ს შავი შოკოლადის ქაღალდები ყრია და გახსნილი ლეპტოპის ზედაპირი ვერცხლისფრად პრიალებს. მარიკა უკვე რამდენიმე თვეა დეპრესიაშია, საკუთარი თავის სიბრა-

სივრცეში ირაკლის მიერ არის შექმნილი. ფოტო ზედმინეებით ასახავს მარიკას ამჟამინდელი ყოფის არსსაც. მარიკას წარსულის შემოქმედი და ამჯერადაც უხილავი ირაკლი მარიკას ყოველდღიურობას ძველებურად მართავს. რადგან ფოტო ისეთ ადგილას ჰკიდია, რომ მარიკას თავლახედვის არემი მუდმივად ხედება, გულის არემიც ყოველწამიერი და მტკიცეული დარტყმები გარანტირებულია. ეს ჰგავს ერთგვარ რეფლექსიას, როდესაც რაღაც მძიმეს და გარდაუვალის მუდმივი გაცნობიერება ხდება და როდესაც „მემენტო მორის“ მსგავსად მარიკასაც განუწყვეტილ ჩაესმის სიტყვები: „გახსოვდეს, მიგატოვას“, ან „იცოდე, უბედური ხარ!“ „რა უბედური ვარ,“ — სწორედ ამას ფიქრობს ახლაც, გაღვიძებისთანავე. სამზარეულოში გადის და გაზქურაზე ჩაიდანს დგამს. ჭიქაში ყავას ყრის, მა-

წვებრილებული ბრუნდებოდა. დივანზე დაგორგლილი ან მარიკას კალთაში მოკალათებული ისე კრუტუნებდა, თითქოს წინა ღამით გადახდენილ რომელიმე ალვირახსნილ, სექსუალურ თავგადასავალს ყვებოდა. რადგან მისი გადაკარგვები მარიკას ანერვიულებდა, ირაკლიმ ვეტერინარის რჩევის გათვალისწინება და კატის სტერილიზაცია შესთავაზა. ამით წელიწადში სამჯერ მესის გაცხარებული მძუნაობის პერიოდსაც აიცლებდნენ და ვენერიული დაავადებებისა და ავთვისებიანი სიმსივნეების პრევენციასაც მოახდენდნენ, რაც თურმე განსაკუთრებით ხშირია კატებში. ყველა ამ არგუმენტის მიუხედავად, მარიკამ კატის კასტრაცია განსაკუთრებულ ბარბაროსობად მიიჩნია. ბუნებრივია, როგორც ადამიანთა უმრავლესობამ, ცხოველი უმალ საკუთარ თავთან გააიგივა. აბა, რაღა ფასი ექნებო-



ლულსა და თვითგვემას მისცემია. ამიტომ უმეტესად ასე, ტელევიზორის წინ დივანზე ხელფეხდაბუფებულსა და დამამშვიდებელი ნამღებით გაბრუნებულს ძინავს და ოთახიც მიტოვებული და ცრემლმდინარე ქალის ყოფის ამსახველ კლასიკურ სურათს წარმოადგენს.

ზემო სართულზე ვიღაც ბახის საფორტეპიანო კონცერტისთვის დაწერილი ვარიაციების შესრულებას ცდილობს. მუსიკალური სკოლის მოსწავლეებისთვის ფორტეპიანოს გაკვეთილებს მეზობელი, რომელიც მარიკას თვალთ არასდროს უნახავს, სადღაც შუადღის პირველი საათისთვის იწყებს და ეს ის დროა, როდესაც მარიკას დღე იწყება. გაუნაფავი ხელოვანი ფორტეპიანოზე დატყაპუნებული და შეცდომებით სავსე კლასიკური მუსიკის ნაწარმოებები მარიკას მღვიძარაა და ისიც თვალს ახელს. ჯდება, შიშველ ფეხებს დივანზე აწყობს და სხვა სამყაროდან მოსულის თვალებით აშტერდება ოთახის კედლებს. კედლები თეთრია და ცარიელი. თუ არ ჩავთვლით ერთადერთ ფოტოს, სადაც ისევ მარიკაა გამოსახული. ამ ფოტოზე ის ღია ვერანდაზე დგას, იდაყვებით ხის მოაჯირს ეყრდნობა, მოკლე, ყვავილებიანი კაბა აცვია, თმაგაშლილია და იცინის. მის უკან მთების პეიზაჟია. ფოტოგრაფს კადრი ისე დაუყენებია, რომ ნატურა მთების ფონზე მთელი ტანით გამოჩნდეს და არც ფონი დაიჩრდილოს, არც მთებს ნაეკვეთოს მწვერვალები. მოკლედ, წარმატებული ფოტოა. მით უფრო, რომ პროფესიონალი ფოტოგრაფის კი არა, ირაკლის მიერაა გადაღებული. ირაკლი კადრს მიღმაა, უხილავი და ამჯერდროს მოქმედი. ის რომ არა, ეს ფოტო არ იარსებებდა, არც ამ კედელზე იქნებოდა ჩამოკიდებული და, ალბათ, არც მარიკა იარსებებდა, როგორც ასეთი. მარიკას წარსულის ეს კადრი და თავად ბედნიერი და მომღიმიელი მარიკაც იმ დროსა და

ცივრიდან ყველს იღებს და ლუმელში შემთბარ კრუსანს უგემურად ღეჭავს. მაცივრის კარი ღია რჩება. საიდანაც გამომძვრალი მესი მაგიდაზე ხტება და მაცივარში იჭყიტება. მესი მარიკას კატაა, რომელსაც არგენტინელი ფეხბურთელის სახელი „რეალ მადრიდის“ საფეხბურთო კლუბის გულმემატკივარმა ირაკლიმ შეარქვა. კატა ირაკლის ყოველთვის ალიზინებდა. მეტიც, მისი სახლში მოყვანის წინააღმდეგე იყო, რადგან ფიქრობდა, რომ ოჯახის ახალი წევრი იმ უშვილო და ბედსშეგუებულ წყვილს დაამსგავსებდათ, ბავშვებს რომ ცხოველებით ანაცვლებენ და არარეალიზებულ მშობლიურ სითბოს მათ ყურებდაცქვეტილ და პრიმიტიულ თავებს დაატყვენ.

მარიკასთვის კატას მხოლოდ სათამაშოს ფუნქცია ჰქონდა. გასართობის, ან სულაც სახლის აქსესუარის. არცერთი დაფიქრებული იმაზე, რომ კატები ინტელექტუალური ცხოველები არიან. სწავლის, ფიქრისა და პრობლემების გადაჭრის გარდა საგნებსა და ადამიანებზე მანიპულირებაც შეუძლიათ. ბენჯით, ყურებით თუ სხვა, უხილავი სენსორებით ამინდის და რაღაც მოვლენების წინასწარმეტყველებების უნარიც შესწევთ. ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში საკულტო ცხოველად მიჩნეულ კატას კემელები თავყვანს სცემდნენ და სარიტუალო მსხვერპლთშენიერებისთვისაც ამრავლებდნენ. სიმართლე რომ ითქვას, მარიკამ თავისი American Keuda-ს ჯიშის მესი უმალ ბასტეტს* მიაშვავა და ამ სახელსაც დაარქმევდა, ხვადი რომ არ ყოფილიყო. მაგრამ მესიმ მაინც გაამართლა ბასტეტთან მსგავსება, გამორჩეული ტემპერამენტისა აღმოჩნდა და მთელი უბნის ტერიტორიაზე კატისებრთა ოჯახის უკლებლივ ყველა ძუ გაანაყოფიერა. ან იქნებ სულაც ირაკლის ჯიბრზე იქცეოდა ასე. საღამოობით გადაიკარგებოდა და შინ დილით კმაყოფილი და ბე-

და კასტრირებულ მესის. ასექსუალურს, დუნეს, ზანტსა და ყველაფრისადმი გულგრილს...

შესაძლოა, კატებს ადამიანების ენა არ ესმით, მაგრამ ამ საუბრის შემდეგ მესი ირაკლის დაუძინებელ მტრად იქცა და მარიკას ზურგსუკან ხანგრძლივი, ფარული და მამაკაცური ომი გაჩაღდა, რომელიც, საბოლოოდ, ფისოს გამარჯვებით დასრულდა. ავაზასავით გაზნექილი და ვერცხლისფერბენვიანი მესი ახლა ირაკლის სანოლზე წევს და ნებიერად იზმორება. დროდადრო თვალებში ისეთი ნაპერწკალი გაუელვებს, რომ მარიკა თვალს არიდებს და უცნაური შეგრძნება იპყრობს. ამ შეგრძნებას შეიძლება, შიშაც ეწოდოს. შეიძლება, კიდევ რაღაც სხვა, რომლის პასუხსაც მარიკა ისევ მისტიციზმსა და მსგავს ალტერნატიულ წყაროებში ეძებს.

ასტროლოგთა და ეზოთერიკოსთა თეორიები სიცოცხლეთა განმეორებისა და რეინკარნაციის შესახებ თუ ოდნავ მაინც შეესაბამება სიმართლეს, მაშინ მესი მარიკას კარმული ჯაჭვის ნაწილია. სულაც მარიკას პარტნიორი წინა ცხოვრებიდან. შესაძლოა, ისინი შვილებს აჩენდნენ და მერე ტყვეთა ბაზარზე ყიდდნენ. ან კიდევ უარესი, ბავშვთა ნამებასა და მკვლელობაში ჰქონდათ ხელი გარეული... და უკვე ამ ცხოვრებაში ასე ისჯებიან, მესი კატაა, მარიკა კი უშვილობისთვის და მარტობისთვის განწირული საცოდავი ქალი. მარიკას აურყოლებს. მისი მესხიერება მსგავსს არაფერს ინახავს. ან თუ ინახავს, ეს, ალბათ, ისე ღრმადაა ჩაკირული, მხოლოდ სიკვდილის წინ ენცეფალოგრამული აპარატის მაქსიმუმამდე გამკალება თუ გამოავლინებს. ის უკანასკნელი წუთები, როდესაც გენი ყველაზე შორეულ წარსულს და მთელი თავისი არსებობის გზას ისხენებს, როდესაც ცნობიერება თავის ბოლო მოგზაურობას იწყებს და უფრო მა-

ღალ საფეხურზე გადასასვლელად ემზადება.

მარიკას სადღაც ამოუკითხავს, რომ რეინკარნაცია ადამიანის ფიზიოლოგიური მახასიათებელია და მთელი მისი განვლილი გზა საკუთრივ ადამიანის გენეტიკურ სტრუქტურაში აღიბეჭდება. ბიოლოგიური სიკვდილის შემდეგ, როდესაც ყველა ორგანო გაჩერდება და მთელ სასიცოცხლო ენერჯიას მხოლოდ ტვინი მოიხმარს, მასში მიკროკოსმოსის დონეზე ერთგვარი აფეთქება ხდება. რაც გალაქტიკის აფეთქების ტოლფასია... ტვინში ხომ 100 მილიარდი ნეირონი არსებობს, რომლებიც ერთმანეთს ესკონებენ (გზებით) უკავშირდებიან, ხოლო ნეირონებში შემხვედრი მიმართულებით უთვალავი სინაპსი მოძრაობს. თითოეულ სინაპსში 1000-დან 10 000-მდე დენდრიტია მოთავსებული და თითოეული რაღაც ცხოვრებისეულ ინფორმაციას ატარებს. სწორედ ბიოლოგიური სიკვდილიდან ნეიროლოგიურ სიკვდილამდე 3-4 წუთის მონაკვეთში, ანუ გონების არანორმალურად აქტიური მუშაობის დროს, ხდება ამ ინფორმაციის ერთგვარი რეალიზება მთელი გენეტიკური სანაყის ხაზით. ყოველი ცოცხალი არსებობის ჩათვლით, რომლებმაც მოცემულ გენეტიკურ ხაზში გაიარა (შესაძლოა, ეს ადამიანამდელი არსებებიც იყოს). იქიდან, საიდანაც დაიწყო მოცემული გენის სასიცოცხლო გზა. დროში ეს შესაძლებელია, დანებებულიყო დედამინაზე პირველი სიცოცხლის ჩასახვის დროიდან. მხოლოდ ამ მონაკვეთში ახერხებს ცნობიერება დენდრიტებიდან მიღებული ინფორმაციის განცდას. სწორედ აქ იწყება მეტაფიზიკა. ტვინის 5 წუთიანი უმაღლესი აქტიურობა ცნობიერებაში გრძელდება ჩვეულებრივი ალქმის რამდენიმე მილიონი წლით. და, ალბათ, სწორედ ეს არის უკვდავება.

მოკლედ, შორს რომ არ წავიდეთ... თუკი მესი მისი მენყვილე იყო, მარიკა სიკვდილის წინ მის ნამდვილ სახესაც დაინახავს და იმასაც გაიგებს, თუ რა მიუქარავთ ერთად. ახლა კი მხოლოდ უნდა ივარაუდოს და ეს სასჯელი, წარსულის ცოდვებისთვის, ისე მიიღოს, როგორც კუთვნილი. კარმული ჯაჭვის განყვება მორჩილებითა და მიტევებით შეძლოს. ამავე თეორიის მიხედვით, ის, ვინც ახლა მას დაუმსახურებელ ტკივილს აყენებს, წინა ცხოვრებაში უთუოდ მისი მსხვერპლი იყო. ანუ გამოდის, რომ თავად ირაკლისთვის რაღაც დაუშავებია... იქნებ ის მის მიერ მიტოვებული ბავშვია? მშობრივი და სიცივისგან გაყვნილი პატარა ადამიანი, შეწყვეტილი და განუვითარებელი სული... „ღმერთო, რა აბსურდამდე შეიძლება, მიგიყვანოს ამ თეორიებმა,“ — ოხრავს მარიკა. მესის ჯამზე საჭმელს უყრის და აბაზანაში შედის.

ზემო სართულზე მუსიკალური თემა იცვლება. შოპენის მელანქოლიური მელიოდი ბლანტი ნაღველის იმ მდინარეს წაავსებს, ცეცხლოვან ვენებზე რომ გადაუფლის, გადარეცხავს და მღელვარე გულსაც უცნაურ ნებოში ამოავლებს. განცდას, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი გაივლის და ყველაფერი სულერთი გახდება, შხაპქვემდგარი მარიკასთვის შევების ნაცვლად სევდა მოაქვს. რა ცუდია, რომ სიყვარულის ბოლო გაბრძოლება — სიძულვილიც — მოკვდება და სახეჩამოგრძელებულს და გაშეშებულს განურჩევლობის რბილ ნისლში ყვინთვის გარდა აღარაფერი დარჩება. აქედან იწყება დავიწყება. მარიკას კი არ უნდა დავიწყება. არ უნდა, ირაკლი წარსულს გაატანოს და ახალს დაელოდოს. ვიღაც სხვა, ახალი და უცხო მიიღოს, მაშინ, როდესაც, რაც თავი ახსოვს, ირაკლი ჰყავდა. მაშინ, როდესაც ამ სიყვარულს შესწირა ამდენი წელი. მაშინ, როდესაც უკვე არსებობს მათი შვილის ჩანასახი — სინჯარაში განაყოფიერებული და გაურკვეველი ვადით გაყვნილი ემბრიონი. გენეტიკური კოდის მატარებელი პრეზიგოტა, რომელშიც უკვე განსაზღვრულია სქესი, თვალის, კანისა და თმის ფერი, სახისა და ტანის ფორმები, ავადმყოფობებისადმი მიდრეკილება და ტემპერამენტიც კი. პატარა მიკროჩიპი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას. სიცოცხლე, რომელიც სწორედ ირაკლის მონაწილეობით არის მოვალე, გაჩნდეს და მარიკაც და მისი სიყვარულიც დაიწყებს ისა და გაქრობისგან იხსნას.

მარიკა ტანს თეთრი, ხაოიანი პირ-



სახოცი იმშრალეს და აბაზანის კედელში ჩადგმულ ფერად ორნამენტებს უყურებს, რომელსაც საფუძვლად კლიმტის ფერწერული ესთეტიკა უდევს. დეკორი მარიკამ და ირაკლიმ ერთად შეარჩიეს სანტექნიკის მაღაზიაში, სადაც ყველაფერი ხელოვნების ყოველდღიურ ყოფაში თანაარსებობის პრინციპითა და პრეტენზიით იყიდებოდა. მაღაზიის მეპატრონეს გალერეის მფლობელის გარეგნობა ჰქონდა, კონსულტანტი გოგო კი აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის ლექტორის ენით საუბრობდა. ცხადა, პროდუქციის შემქმნელებს ნუფორიშების მისაზიდად მხოლოდ ძალიან ცნობილი ფერწერული ნამუშევრები აერჩიათ. სტილის კულმინაციად კი, ალბათ, უნიტაზები უნდა მიგვეჩნია ვან გოგის „მზე-სუმზირების“ პრინტი. მარიკამ მხოლოდ მამინი გააცნობიერა, რომ ლოზუნგი — „ხელოვნება ხალხისათვის“ — საბოლოო ჯამში, ჩრჩმების მოხატვის თავისუფლებასა და განავლის გაკეთილმოხილებას გულისხმობს. და მართლაც, ხელოვნების რომელი იდეა უნდა იყოს დეფეკაციის პროზაული პროცესის გალამაზებაზე უფრო ჰუმანური?

ირაკლის უნიტაზები არ მოეწონა, არც შაგალის სიყვარულით მფრინავი წყვილით მოხატულ აბაზანაზე დარჩენილი თვალი, არც პიკასოს კუბისტური სარკეებისა და ვიტრაჟებისთვის მიუქცევია ყურადღება. მისი არჩევანი მხოლოდ კლიმტი იყო. ფერადი, მაგრამ იმ გარემოში ყველაზე მოკრძალებული და საყოფაცხოვრებო დიზაინზე ყველაზე მისადაგებული კლიმტი. უთუოდ დასაფასებელი არჩევანი იყო...

ფორტეპიანოზე ახლა უკვე სწრაფ, აჩქარებულ მელიოდიას უკრავენ. მარიკა ავეტორს ვერ ცნობს. შესაძლოა, სულაც სავარჯიშო ეტიუდებია. შემსრულებელს ტაქტი ერევა, მელიოდი სადღაც შუა გზაზე უწყდება და კვლავ უბრუნდება. კვლავ არასწორი ბგერა. მცირედი პაუზა და ჰარმონიის შექმნის მცდელობა ისევ თავიდან იწყება. მესის ჯამი მოუსუფთავებია და ფანჯრის რაფაზე ზის. მისაღებ ოთახში საათი წიკნიკებს, რომელიც მარიკას ახსენებს, რომ ერთ საათში ადვოკატს უნდა შეხვდეს. კარადიდან ჯინსის შარვალი და თეთრი მასისური გამოაქვს, პრაქტიკულად ის, რაც ხელთ ხვდება. თეთრ კედლებზე ზონარს იკრავს. აწენილ თმას ივარცხნის და სარკეში საკუთარ სახეს, ნაღვლიან თვალსა და გამხდარ ლოყებს უცხოსავით აკვირდება. ამ ტანსაცმელში პატარა გოგოს ჰგავს. გარეგნობა მატყუარაა. მის სხეულში, კარგა ხანია, დაწყებულია რეგრესისა და კვდომის პროცესი. გარდა იმისა, რომ მის საშვილოსნოს არ აქვს ნაყოფის მიმაგრებისა და ტარების უნარი, უჯრედებიც თანდათან უფრო და უფრო ნაკლებ ესტროგენს გამოიმუშავებს. უკვე ოცდაცამეტი წლისაა. მენოპაუზამდე შე-

დარებით შორია, მაგრამ რეპროდუქციული ასაკი სულ რამდენიმე, საუკეთესო შემთხვევაში, რვა-ათი წელი თუ გასტანს. ახალი სიყვარულის (თუკი მსგავსი რამ საერთოდ არსებობს) პოვნას კი გაცილებით მეტი დრო სჭირდება.

გარეთ გამოსული მარიკა რამდენიმე წუთი სადარბაზოსთან დგას და ფიქრობს. ფიქრობს, ავეტორებიდან მანქანა გამოიყვანოს თუ ტაქსით წავიდეს. მანქანის მართვა და ქუჩის აგრესიულ ნაკადში შეცურვა უკვე აქტიურ პოზიციას ნიშნავს. საჭე ძალაუფლება, მარიკას კი დაეინყებოდა აქვს, როდის იყო ბოლოს მმართველი. ამიტომ ტროტუარზე დგას და ტაქსის გამოვლას ელოდება. მის წინ ახალი დღე დგას და მისთვის ყოველგვარ აზრსმოკლებული ყოფა ხმაურობს. ყველაზე მეტად ეს უჭირს — დღის შუაგულში დაბრუნება. იმ ორომტრიალში ჩართვა, რომლის ნაწილიც თავად აღარაა. აღარ უნდა, რომ იყოს... ზემოთ იხედება. ცაზე თეთრი, უსწორმასწოროდ დაჭრილი ღრუბლები მიდინ და მარიკას სწორედ აქ ახსენდება, რომ ისევე ნახა სიზმარი.

სავარაუდოდ, სიზმარი ამ ან წინა ღამით ესიზმრა, მაგრამ მხოლოდ ახლა გაახსენდა. პირველი სიზმრისგან განსხვავებით ის დანაწევრებულ და ბუნდოვან ფრაგმენტებად აღდგა. ცალკეულ კადრებად, საითანაც მოესმა ქარის ხმა, იგრძნო გაშლილ ველზე მიწას ალაგ-ალაგ შეყვნილი თოვლის სიცივე. უკვე ტაქსიში ჩამჯდარს კი თვალწინ იგივე გზა დაუდგა, რომელიც მცხეთისკენ მიმავალს, მანქანაში ჩაძინებულს დაეხიზმრა. მაგრამ ამჯერად გზა ცარიელი იყო, უკაცური და მას ერთადერთი მგზავრი მიუყვებოდა...

შეხვედრაზე რამდენიმე წუთით დააგვიანა. ტაქსი საადვოკატო ბიუროს შენობასთან გაჩერდა თუ არა, ადვოკატის თანაშემწემაც დაურეკა. იქ, სადაც ყოველი წუთი ძვირად ფასობდა, დაგვიანება უჩვეულოდ მიჩნინეს. ბიუროს ბოლო სტეპში ქალაქის არქიტექტურაში მასიურად გავრცელებული მინის კონსტრუქციის ფასადი ჰქონდა, რაც, მარიკას აზრით, აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდიოდა მის ინტერიერთან. კლასიციზტური სტილისა და ნოთელი მუხის ხით განწყობილ მისაღებში HP-სა Apple-ს კომპიუტერები და პრინტერ-სკანერები დაედგათ. კედლებზე კანდინსკისა და მალევიჩის აბსტრაქტული კომპოზიციები ეკიდა. თანაშემწე გოგო, მუქი ლურჯი შარვალი და ამავე ფერის პიჯაკი რომ ეცვა, შეხვედრების ოთახში შეუძღვა. მარიკა პირველად ხვდებოდა ადვოკატს, თუმცა ტელეეკრანიდან ის არაერთხელ ენახა და ტელეფონზეც უკვე რამდენჯერმე ესაუბრა.

შეხვედრების ოთახი გაცილებით მკაცრი და მოკრძალებული აღმოჩნდა. მისაღების ეკლექტიკა, შესაძლოა, სულაც ოფის-

მენეჯერის გემოვნების შედეგი იყო, რადგან თავად ადვოკატი, 60 წელს მიღწეული, წარმოსადგეი მამაკაცი, ნაკლებად ჰგავდა სუპერმატიზმის თავყვანისმცემელს. თუმცა პროფესიულად, ალბათ, ზედმინევენით იზიარებდა აბსტრაქციონისტი მხატვრების კონცეფციას — ხილულად ექცია ის, რაც უხილავია.*

მარიკას საქმე მართლაც ჰგავდა აბსტრაქტულ ნახატს, სადაც სიუჟეტზე უფრო მნიშვნელოვანი სულიერი მდგომარეობა და ერთდროულად რეალობისგან განყვნიებული და ამ რეალობაში მოქცურვა უკვე აქტიურ პოზიციას ნიშნავს. საჭე ძალაუფლება, მარიკას კი დაეინყებოდა აქვს, როდის იყო ბოლოს მმართველი. ამიტომ ტროტუარზე დგას და ტაქსის გამოვლას ელოდება. მის წინ ახალი დღე დგას და მისთვის ყოველგვარ აზრსმოკლებული ყოფა ხმაურობს. ყველაზე მეტად ეს უჭირს — დღის შუაგულში დაბრუნება. იმ ორომტრიალში ჩართვა, რომლის ნაწილიც თავად აღარაა. აღარ უნდა, რომ იყოს... ზემოთ იხედება. ცაზე თეთრი, უსწორმასწოროდ დაჭრილი ღრუბლები მიდინ და მარიკას სწორედ აქ ახსენდება, რომ ისევე ნახა სიზმარი.

ადვოკატი უფრო მხნედ და ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, ვიდრე ეს ეკრანიდან ჩანდა. მუქ ნაცრისფერ პიჯაკში მოქცეული განიერი მხრები, ვერცხლისფერი თმა, თბილი გამოხედვა და სიმტკიცის ნიშნად გაყოფილი ნიკაპი ჯერ კიდევ ბევრ ქალს აუღლევებდა გულს. ოთახში შესულმა მის დანახვაზე წამომდგარი მარიკას მამაშვილურად გაუღიმა. ისე, რომ თითქოს თავზეც გადაუსვა ხელი. როგორც პატარა და დაბნეულ გოგოს, მასავით პატარა და პირადი დარდებისგან შერყეული ანტიდემურესანტებს რომ ყლაპავს და შეხვედრებზე აგვიანებს.

— როგორც იქნა, შევხვდით. თავს როგორ გრძობ? — ექიმით ჰკითხა.

— გაცილებით უკეთ... გამაღობთ, ბატონო ალექსანდრე, — იმედოცემული პაციენტის ხმით უპასუხა მარიკამაც და ბოლომდე მხოლოდ ახლა გააცნობიერა ამ ადამიანის მნიშვნელოვნება. ის ახლა მართლაც ჰგავდა მამასაც, ექიმსაც, მხსნელსაც.

— კარგია! ჩვენი საქმე არც ისე იოლია და ფორმაში უნდა იყო. შენი ფიზიკური უძლურება, თუ დეპრესია, რომელიც დიდხანს გრძელდება, შეიძლება, სასამართლოზე შენს საწინააღმდეგოდ იყოს გამოყენებული.

მარიკა უცებ ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა ადვოკატი.

— სუსტი ჯანმრთელობის და ფსიქიკის დედას შვილის აღზრდა გაუჭირდება, — ლიმილით განუმარტა და მარიკას გაცეხებული სახის დანახვაზე ასევე ლიმილით დაამატა, — მართალია, თქვენი წყვილი უკვე გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ არ არსებობს სერიოზული მემკვიდრული დაავადების რისკი, ან რისკი იმისა, რომ ბავშვს შეიძლება, თან დაჰყვეს ესა თუ ის არამემკვიდრული დაავადება, რაც გამოიწვევს მის ნაადრევ სიკვდილს ან მძიმე უნარშეზღუდულობას და, აქედან გამომ-



დასასრული

დინარე, მოგეცათ in vitro განაყოფიერების უფლება, მაგრამ თუკი შემდეგ, ანუ in vivo ეტაპზე, საეჭვო გახდა ნარმატივის პროგნოზირების შესაძლებლობა და შეიქმნა რამე სერიოზული უკუჩვენება, რაც იმ-ოქმედებს დედის ჯანმრთელობაზე ან ბავშვის მომავალ ცხოვრებაზე, ანდა სულაც, — აქ ტონი ოდნავ შეცვალა, — სახეზეა არასათანადო შესაძლებლობები მომავალი ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, შესაძლოა, ემბრიონს სიცოცხლის გაგრძელების, ხოლო შენ დედობის შანსი აღარ მოგეცეს.

— მე ჯანმრთელი ვარ, მყარი ფსიქიკის და შვილის კეთილდღეობის უზრუნველყოფაც თავისუფლად შემიძლია! — თავადაც ვერ იგრძნო, როგორ აელუნა სახე.

— მარია, — დაყვავებით უთხრა ალექსანდრემ, — შენ, რა თქმა უნდა, ჯანმრთელი ხარ, დეპრესიული განწყობაც გასაგებია და ყველაფერს, რაც შენს ცხოვრებაში ხდება, ადეკვატურად აფასებ, მაგრამ არ უნდა დაგაინყდეს, რომ ბრძოლის ველზე ხარ და მონინალმდევე ყველა ხერხსა და მეთოდს გამოიყენებ ომის მოსაგებად.

„მონინალმდევე“, „ბრძოლის ველი“, „ომი“... — ყველა ეს სიტყვა ჩემი და ირაკლის ამჟამინდელ და მომავალ ურთიერთობას ეხება, — სევდიანად გაიფიქრა მარია. ოთახში ყავა და ტკბილეული შემოიტანეს. ალექსანდრემ ფანჯრები გააღო. გარედან შემოსულმა მზის სხივებმა თითქოს კიდევ მეტად განანათეს, გაამკვეთეს და გაამწვავეს მარიკას თავში ჯერ ისევ ბუნდოვანი ფიქრები და მისი უკანასკნელი ილუზიებიც, დანდობისა თუ სიყვარულის შესახებ, შუადღის მოკლე ჩრდილებით გაქრა.

— მოდი, თავიდან დავიწყოთ, — ადოკატი მარიკას წინ დაჯდა და სქელი საქალაღე გახსნა, — რამდენი წლის წინ დაქორწინდით?

— ცხრა წლის წინ. ერთმანეთი სტუდენტობისას გავიცანით. მე აკადემიაში ვსწავლობდი, ირაკლი უნივერსიტეტში. მეგობრის დაბადების დღეზე შევხვდი და ერთი წლის შემდეგ ცოლადაც გავყვი. ყველაფერი კარგად იყო. ზოგჯერ ძალიან კარგადაც... რომ არა შვილი...

— უშვილობის გამო ჩნები და უსიამოვნება, კონფლიქტები გქონიათ?

— არა... როგორ გითხრათ... კონფლიქტი არა. ღია და გახსნილი უთანხმოება არასოდეს. მაგრამ რალაცნაირი უსიამოვნო განწყობა... დაძაბულობა იყო. და რაც დრო გადიოდა, იმატებდა. მისიანებისგან. მისგანაც... განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ექიმებმა საბოლოოდ დაასკვნეს, რომ უშვილობა ჩემი ბრალია.

— in vitro განაყოფიერებაზე ერთობლივად შეთანხმდით? წინააღმდეგი ხომ არ იყო?

— არა. პირიქით. ამ გადაწყვეტილებამდე ერთობლივად მივედით. იცით, ბატონო ალექსანდრე... იქამდე იმდენი რამ ვცადეთ, სად არ ვიყავით... ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა. ვფიქრობ, დაღლილი იყო ამდენი წლის მოლოდინით, ფარხმალდაყრილი და, შესაძლოა, უკვე ყველაფერი სულერთი იყო მისთვის. ოღონდ თავი დაეხებებინათ და... თანაც შევთანხმდით, რომ ეს ბოლო ცდა იქნებოდა. თუკი არც ხელოვნური განაყოფიერებით გამოვიდოდა რამე, ბავშვს ავიყვანდით და აღვზრდიდით. უფრო სწორად, ბავშვის აყვანის თემა მე წამოვჭერი. ეთქვი, თუ ამჯერადაც არაფერი გამოვა, ბავშვს ავიყვანოთ-მეთქი. თვითონ არაფერი უთქვამს. ბოლო ცდა რომ იქნებოდა, ამაზე კი წამდვილად შევთანხმდით.

— მერე რა მოხდა?

— მერე იმ კლინიკაში წავედით, სადაც ხელოვნური განაყოფიერება ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გვირჩიეს. ექიმები არავითარ იმედს არ იძლეოდნენ, რომ ნაყოფს შევინარჩუნებდი, მაგრამ მაინც ვცადე. მთავარი იმედეები, რა თქმა უნდა, სუროგატ დედაზე მყარდებოდა, ამიტომ ჭარბი პრეემბრიონები შეინახეს. როგორც ამისხნეს, ამას კრიოპრეზერვაცია ჰქვია. პრეემბრიონს ნიტროგენის ხსნარში ათავსებენ და მინუს 196 გრადუსზე ყინავენ.

— თქვენი ყოფილი მეუღლე არც კრიოპრეზერვაციის წინააღმდეგი ყოფილა? — არა.

— არც სუროგატი დედის საჭიროება

თეონა დოლენჯაშვილი

სუროგატი

გაუპროტესტებია?

— არა. ვერ გეტყვით, რომ ბედნიერი იყო და ეს სურდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ჩვენ თავიდანვე შევთანხმდით, რომ ყველა გზას ვცდიდით, ოღონდ ჩვენი შვილი გაჩენილიყო. ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, როდესაც ჩემს სხეულში იმპლანტირებული ნაყოფის შენარჩუნება ვერ შეეძლო. არ ვიცო... ალბათ, დაშორება იქამდეც გადაწყვეტილი ჰქონდა და ეს ბოლო წვეთი იყო. მიზეზი... უკვე აღარ ვუყვარდი და ის გოგო... თათაც უკვე არსებობდა მის ცხოვრებაში.

— მუცელი მოგეშალათ თუ არა, მაშინვე დაგშორდათ?

— ჰო, — მარია ყელში მოწოლილი ბურთის გადაყლაპვას შეეცადა, — მითხრა, რომ არაფერი გამოგვდის და უნდა დავშორდე. რომ მისთვის შამონავლონის გაგრძელება მთავარია და... უნდა გავუყო. მე ვუთხარი, რომ ჩვენი შვილი გაჩნდება, თუკი სუროგატ დედას ავიყვანთ. მან მიპასუხა, რომ ვილაც დაქორავებული ქალის მიერ გაჩენილი ბავშვის მამობას არ აპირებს და საკუთარი შვილი უნდა და რომ ასე გაჩენილი ბავშვი არასრულფასოვანი იქნება... რომ ეს ყველაფერი უფლები ღვთის გამოა. ბოლო ხმაზე ღრიალებდა. ასეთი არასდროს მინახავს. არც ასეთი აგრესია და სიძულვილი მიგრძენია იქამდე.

— განქორწინების განცხადება მან შეიტანა?

— ჰო... და მეც, რა თქმა უნდა, მაშინვე ყველაფერზე დავთანხმდი. ერთის გარდა. ერთი წამითაც არ დამიკავებია. მისგან არაფერი მომითხოვია, მაგრამ... ამაზე არასდროს დავთანხმდები. ყველაფერს გავაკეთებ და ჩემს შვილს არ მოვაკვლევინებ! უფლებას არ მივცემ!

— ემბრიონების განადგურების თაობაზე კლინიკას უკვე მიმართა?

— განქორწინების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. პირველი, რაც გააკეთა, სწორედ ეგ იყო.

— გასაგებია, — ალექსანდრემ სათვალე გაიკეთა და საქალაღე გადაფურცლა.

— ჩანასახის განადგურების უფლებას არ მივცემ! — ჩუმად, მაგრამ მტკიცედ გაიმეორა მარიკამ.

— არ მივცემთ, — გაუღიმა ალექსანდრემ, — ახლა მომისმინე. საქმის არსში კარგად რომ გაგარკვიო, ცოტა შორიდან მოვუვლი. ჯერ კიდევ რომის სამართალში ჩანასახი დედის სხეულის ნაწილად მიიჩნეოდა, მაგრამ მოქმედებდა ფიქცია, რომელიც მის მემკვიდრედ ყოფნის უფლებასა და შეზღუდულ უფლებაუნარიანობას უკავშირდებოდა. დღეს ჩანასახი არა მხოლოდ სიცოცხლის უფლების სუბიექტად არის აღიარებული, საყოველთაოდ აღიარებულია მისი მემკვიდრეობის უფლებაც. თუმცა თუკი სინჯარის ემბრიონთან დაკავშირებული პრობლემატიკა ვეროპულ სამართალში კანონმდებლობით რადიკალურად არის გადაწყვეტილი, ქართული კანონმდებლობა ხარვეზული და მეცნიერულად შეუსწავლელია. ამ მხრივ ის საერთო სამართლის ქვეყნების რეგულიაციას უახლოვდება, სადაც უახლოესი ოცნლეულის განმაყოფილებში ემბრიონის სტატუსთან დაკავშირებით ცხარე დისკუსიები არ წყდება.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ემბრიონის უფლებები მკვეთრად განსაზღვრული არ არის და ყველაფერი შეიძლება მოხდეს? — იკითხა მარიკამ.

— ასეა, — თავი დაუქნია ალექსანდრემ და ყავა მოსვა, — ქართული სამართალი არ მოიცავს პრეემბრიონის დამცავ ნორმებს. ის მხოლოდ რეპროდუქციის უფლების ინსტრუმენტია. მიზნის მიღწევის საშუალება. რითაც... როგორ აგისხნა... ობიექტის კატეგორიას ემსგავსება.

— ანუ ჩვენი მომავალი შვილი ახლა ნივთია და არა მომავალი სიცოცხლე? გამოდის, რომ მასზე ორივეს ისეთივე უფლება გვაქვს, როგორც ერთობლივ ქონებაზე?

— ასეა. მასზე ორივეს თანაბარი უფლება გვაქვს. კიდევ უფრო რომ ჩავუღრმავდეთ, გეტყვი, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე პოზიცია არსე-

ბობს. ერთი ნაწილის აზრით, ემბრიონი არის ადამიანი, აქვს სიცოცხლის უფლება, რაც გამორიცხავს ყოველგვარ სელექციას, კვლევასა და განადგურებას. დიდი ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ემბრიონი მორალურ სტატუსს განვითარებასთან ერთად იძენს და სანამ საშვილოსნოს კედელს არ მიემარება, არ არის ემბრიონი და ვერასდროს გახდება პოტენციური ადამიანი. არსებობს კიდევ უფრო კატეგორიული შეხედულება, რომლის მიხედვით, იმპლანტაციამდე ემბრიონს არ გააჩნია მორალური და სამართლებრივი სტატუსი და არაფრით განსხვავდება ადამიანის ნებისმიერი ორგანოსგან. რის გამოც მფლობელებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება გადაწყვიტონ, რა მანიპულაცია ჩაუტარდეს ემბრიონს.

— ბატონო ალექსანდრე, — თვალები ცრემლით ავესო მარიკას, — დიდი ალბათობით, სასამართლო უმრავლესობის პოზიციებს გაიზიარებს, ირაკლი ადვილად მოიგებს ამ პროცესს და ჩემს მომავალ ბავშვს... ისა... ემბრიონს გააღებ. განადგურებენ.

— ეგრე უიმედოდაც არ არის საქმე. მართალია, სინჯარაში კონსერვირებული ემბრიონი ახლა თქვენი ერთობლივი ქონებაა, კვაზი ქონება, მაგრამ ის უფრო სიკეთეა, ვიდრე ქონება. საკითხი ძირეულად შევისწავლე. საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა ბოლო დროს უმეტესად მეცნიერთა ნაწილის იმ აზრს იზიარებს, რომელიც მიიჩნევს, რომ სიცოცხლე ჩანასახის მომენტიდან იწყება, ემბრიონი უთანაბრდება ადამიანს და მასზე ყოველგვარი მანიპულაცია უნდა აიკრძალოს.

მარიკამ უცებ იგრძნო, რომ ძალიან დაილაღა. დაიქანცა. მის გონებას უფრო და უფრო უჭირდა ადვოკატის სამართლებრივი ტერმინებითა და რთული მსჯელობით დახლართულ ლაბირინთში გზის გაკვალვა. სახე ხელებში ჩარგო და თვალწინ ისევ სიზმარში ნანახი გზა დაუდგა. მთავრის შუქით განათებული გამლირი ველი. ველზე მიმავალი საკუთარი თავი, რომელსაც რატომღაც ზემოდან, ჩიტის ფრენის სიმპლიდან აკვირდებოდა. გზაზე მდგარი ერთადერთი შენობა, რომლისკენაც მიდიოდა და რომელთანაც ეს უსასრულო გზა სრულდებოდა. ისევ ის სადგომი იყო. ხის კარი შეაღო და შევიდა. ადვოკატურის მუქი მენამული ფარდები-სა და ძვირფასი ინტერიერის ნაცვლად ის ახლა სოფლის უზრალ დურგლის მიერ ხისგან შექმნილ ცივ და მტკრიან კედლებს ხედავდა, თვითა და საქონლის ნაკელით მოსვრილ მინას. მარტოდმარტო იყო. გარეთ დეკემბრის დაუნდობელი ქარი ქროდა და ფარულაღალა კედლებში ატანდა. აკანკალებული მარიკა დამზრალი ხელებს იორთქლავდა. საქონლის ბაგებს შორის დადიოდა. რალაცას თუ ვილაცას ეძებდა...

— რამდენიმე კითხვა მაქვს, — ადვოკატის ხმამ გამოაფხიზლა, — ემბრიონის კონსერვაციის ხელშეწყობაზე ხელი თუ მოაწერეთ?

ხილვებიდან გამორკვეულმა მარიკამ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. მსგავსი

არაფერი ახსოვს.

— არც კონსერვაციის ვადები განგისაზღვრავთ?

— არა. ზეპირად შევთანხმდით, რომ თუკი ჩემს სხეულში იმპლანტირებული ემბრიონი დაილუპებოდა... და... — ამოიოხრა, — ბავშვის გაჩენის კიდევ ერთი ცდა ნარუმატივლად დასრულდებოდა, პრეემბრიონი სუროგატი დედის მოძებნა-დე იქნებოდა გაყინული.

— რალაც ხელშეკრულებაზე მაინც მოანერდით ხელს.

— რა თქმა უნდა. უამრავ ქალაღდს მოვანერეთ ხელი, მათ შორის, მიბარების ხელშეკრულებასაც, მაგრამ კონკრეტულად კონსერვაციის საკითხი და ვადები იქ მითითებული არ იყო.

— ეს ქალაღდები ძალიან მნიშვნელოვანია. დეტალურად უნდა ვიცოდეთ, რას მოანერა ხელი შენმა ყოფილმა მეუღლემ. რადგან კლინიკის მომსახურება კონფიდენციალურია და სამედიცინო ჩანაწერები პირად საიდუმლოებას წარმოადგენს, ხელშეკრულება მხოლოდ შენ შეგიძლია გამოითხოვო.

— კარგი, ხვალვე დავრეკავ, გამოვითხოვ და ასლებს მოგიტანთ, — მორჩილად თქვა მარიკამ.

ალექსანდრემ გაუღიმა და საათს დახედა.

— მგონი, დაილაღე, მაგრამ ეს შეხვედრა ორივესთვის საჭირო და აუცილებელი იყო, — თქვა და წამოდგა, — დამირეკე ნებისმიერ დროს. დღისით, ღამით, მოკლედ, როდესაც მოგიხდეს. დარეკე, თუკი რამე მნიშვნელოვანი გაგახსენდა ან საჭიროდ ჩათვლი, რომ უნდა მითხრა, თუ რამე კითხვა გაგიჩნდა, ან უბრალოდ, საუბარი მოგიხდა. გახსოვდეს, რომ შენს გვერდით ვარ.

გულაჩუყებულმა მარიკამ უხმოდ დაუქნია თავი და თავდახრილმა ჩანთას დაუწყო ძებნა. თვალწინ ისევ ბოსლის თივასა და ტალახში ახელილი მინა დაუდგა და ბავშვის ტირილი მოესმა.

— ბატონო ალექსანდრე, — ისეთი ხმით წამოიძახა, რომ ოთახიდან გასასვლელად მომზადებული ადვოკატი გაკვირვებული შედგა, — ბატონო ალექსანდრე, — ჩემი, მაგრამ მღელვარე ხმით გაიმეორა, — ფიქრობთ, რომ... რამე გამოვა? რომ შევძლებთ ამ საქმის მოგებას და... გადავრჩები?

„გადავრჩები“-ში, ალბათ, ემბრიონის გადარჩენას გულისხმობდა, ან მასთან ერთად საკუთარი თავისაც, ჩანასახის არსებობის გაგრძელების შანსთან ერთად საკუთარი ცხოვრების გაგრძელების სურვილსაც. მოკლედ, ყველაფერს ერთად. დაღლილობამ და სენტიმენტებმაც ერთიანად დარია ხელი.

* იერუსალიმში, სილოამის საბანელში, წელიწადში ერთხელ უფლის ანგელოსი ჩამოდიოდა, წყალს ამღვრევდა. ეს იყო ნიშანი უშვილობათვის, აუზში ჩასულიყვენ და შვილოსნობა დაებრუნებინათ.

* ოსორისის და ისიდას ასული, ძველ ეგვიპტელთა ღმერთი — გამოსახავდნენ კატისთავიანი ქალის სახით, ფეხებთან მოკალათებული 4 კნუტით, რომელსაც სის-ტრი ეკავა ხელში და ნაყოფიერების ქალმერთად მიიჩნეოდა.

* „ახალმა ფერწერამ ხილულად უნდა აქციოს ის, რაც უხილავია“ — ვასილ კანდინსკი.

ბინდა წერო? უნდა წერო!
ლიტერატურული კონკურსი „წერო“ წელს 3 ნოემბერს დაიწყება და კვლავაც ელექტრონული წიგნების მალაზია lit.ge-ს ვებგვერდის მეშვეობით ინტერნეტსივრცეში განხორციელდება.
კონკურსში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ამისთვის უნდა დარეგისტრირდნენ lit.ge-ზე და შესაბამის გვერდზე 3-24 ნოემბრის პერიოდში გამოაქვეყნონ 5-10 გვერდის მოცულობის ნაწარმოებები.
ტექსტები ქვეყნდება ანონიმურად, ავტორების მითითების გარეშე.
კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად: პირველ ეტაპზე კონკურსის 7 კაციანი ჟიური (ჟიური კონკურსის ბოლომდე საიდუმლოდ რჩება და მისი წევრები არიან თანამდებრივ მწერლები და ლიტერატურის კრიტიკოსები) შეარჩევს 15 საუკეთესო ნაწარმოებს. მეორე ეტაპზე შერჩეული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ვებგვერდზე და მკითხველი 1-10 დეკემბრის პერიოდში 5 ბალანი შკალით შეაფასებს. შეფასებები დაფარულია სხვა მკითხველისთვის. მკითხველებს საშუალება ექნებათ, კონკურსის გვერდზე ფორუმში ჩაერთონ და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ნაწარმოებების შესახებ.
Lit.ge ვებზე აქტიურ მკითხველებსაც დააჯილდოებს.
გამარჯვებულის ვინაობა (I, II, III ადგილები, ჟიურის სპეციალური პრიზი და სხვა პრიზები, დაწესებული არა ორგანიზატორთა მიერ) გამოცხადდება დაჯილდოების ცერემონიაზე, რომელიც 11 დეკემბერს საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართება.
ლიტერატურულ კონკურს „წერო“ ორგანიზატორები არიან ელექტრონული წიგნების მალაზია Lit.ge და ფარმაცევტული კომპანია GPC. მხარდამჭერი — საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

მარტოობის ქება

და მარტოკაცი,
და მარტომგელი
ამ მარტოცისქვეშ, მარტომინაზე...

მარტოლამეს თმას აუშლის მათი ყმუილი:
მარტოგულეების ამოკენესა,
მარტოსიტყვის ამოხაველება...

და მარტომთა
და მარტომდინარე...
და მარტოხე
და მარტოლრუბელი...
და მარტოხე
და მარტოლრუბელი...
და მარტონვიმა მარტომინაზე...

მარტოუდაბნოს მარტომგზავრი:
მარტოპოეტი,
რომ წერს მარტობაობის მარტოფოთლებზე
მარტოცრემლით
მარტოსტრიქონებს...

და მარტომგელი,
და მარტოკაცი
და მარტომთა, მწუხრში მარტოცას მიბჯენილი...
გაგიკვირდება შენ: მარტომთა
მარტომთებმა ასე რატომ გაინაპირეს!..

მარტომთა იტყვის, გულჭირიანი:
მარტო გაჟნდი და მარტოცისქვეშ
ეს ბედკრული სიმარტოვე დამებედაო...

ვაჟა-ფშაველას წმინდა სულიც ასე იტყვის
და არაგვიც ამას ღალადებს:
სიცოცხლეშიც მარტო ვიყავ
და სიკვდილშიც სიმარტოვე დამებედაო!..

მარტომგელი და მარტოპოეტი,
მარტოხე და მარტოლრუბელი,
მარტოვარსკვლავი, ცისგადაღმელი...
სუყველანი ასე ამბობენ...

მათი სიმღერა სიმარტოვის ხავილია,
მარტოგულეებს რომ აძგერებს
მარტოობის აღმართებზე
და სულმარტო გასასვლელებზე...

ყურს არ ესმის მათი სიმღერა,
ის მარტოგულმა დაისაკუთრა:
მარტოგულს ესმის ეს ქეითინი,
მარტოლექსს ესმის:
მარტოფურცელს რომ ემხეფება
მარტოგულიდან...

და ისევ ის: მარტომგელი,
და ისევ ის: მარტოპოეტი...
და ისევ ის: მარტოსიკვდილი,
მარტოგზებზე მათი მდევნელი...

და მარტოკაცი,
და მარტომგელი,
და მარტო ცა,
და მარტო მინა...
მარტოუდაბნო,
თითქოს მარტოსამშობლოსავით...

მარტოპოეტის
მარტოლექსში
მარტოობის სადიდებელი:
დანყველილი მარტოობის
საბოლოო ამოხაველება!

შენ აქ იდექი მარტომთასავით.
ფეხქვეშ გაგეცა მინა ენერი...
ყორნები ჯიხვის ნახტომს თარსავენ:
რქებით ნავარნებს დაელენები!

მზერას აიშვერ ირმის ნახტომთან:
თავს რომ გამხია ღამის ჭერივით...
კაცად გაჩენილს გერქვა მარტომთა,
ეხლა ვარსკვლავთა გზები გაჭერი...

მოგდევს ეს შავი დღე, სალახანა,
და სიტყვა, ცას რო ცრემლად მიაღვრი,
მთების გზა: ძნელად გადასალახი
და გრილი მინის მწარე ნიალი!

ვისსანება მარტოობას

გულში შიმშილი აყმუვლდება მარტომგელივით:
ეს ყმუილია,
ტ. გრანელის სიტყვებით რომ გეხმიანება:

ჯარჯი ფხოველი

ის სამშობლოს დარდს
ამოგდახის ყრუ სამარიდან...

ის ღამეებს აღვიძებდა მარტომგელივით...
და შხამდალეულ სტრიქონებით
იმათ ხანჯლავდა,
ვინც ამქვეყნად არ იცავდა მგლების უფლებებს...

მარტომგელი
დევნილია ჯოგიდან, თუმცა
ჯოგს რო მისდევს: ის შიში და ის შიმშილი,
შუალამური,
მაგის ოხერ გულს ახლოსაც კი არ ეკარება!..

მარტომგელი ხომ
ზოოპარკშიც უფრო მარტოა,
კაცთა შორის ხომ სულმარტოა, ღვთითდანყველილი...
და საგიჟეშიც ხომ...

დედამგელმა გაგვჩინა ამ უდაბნოში,
მარტომგელო, ჯოგს ასხლეტილო...
აქ ორივენი საგიჟედან გამოვიქცით:
უკან მოგვდევს ჭორბილნი და
დამცირება ათასნაირი...

თუ სამარეში შეასწარი, ხომ კარგია,
თუ არა და:
მილიონჯერ დამარხავენ,
ამოგთხრიან, კვლავ დამარხავენ...
მერე ისევ ამოგთხრიან და ა.შ...

ასეთი არის ჩვენი ბედი,
ცისგადაღმური...

აქ ჩვენს ყმუილს
გულები ვერ დაივიწყებენ,
ცათამბჯენების გაუვალნი,
ულრანი ტყე ვერ დაივიწყებს...
სამარეზე დაწოქილი
დედამგელი ვერ დაივიწყებს!..

და ისიც ვერ დაივიწყებს,
ეხლა ამ ლექსს ვინც წაიკითხავს,
ვინც მარტომგელის სანახავად
ზოოპარკში მიეშურება!

ტვინარეული სავსებით,
გულის უგნურად მგეზავი...

კაცო, შენც უცებ შეცდები,
არ გამოგივა შენ ცდები!

შენც იმას დამსგავსები,
ვინც შესთავაზა მგელს ზავი!

იფანტებიან წლები მტვერით.
და ცის სარკეში ცხოვრობს წარსული.
და შენ ამ სარკეს თუკი დაამტვრევ,
დაგხვდება მთვარი, გადაპარსული,
და სისხლი მოსდის ნისლში არეულს...
დაგხვდება კიდე ვინმე სხვა სული:
სიზმრების დედა: ცა უმთვარეო...
და კაცის კვნესა, ცამდე ასული!

ნარსულს

მძიმე ხარ ძველი სიყვარულივით...
ამოუხსნელი ხარ დუმილივით...
გულში დავთესე დარდი უღვევი
და შენი სახე მტრებს დავუმალე!

მე არ გელოდი, მაგრამ მოხველი:
კვლავ ჩემთან ივლი და იციმციმებ,
მანამდე, სანამ გული ოხერი
არ გაიხევა შენი სიმძიმით!

ქორა პაუნდის ლექსები „ლიტერატურულ გაზეთში“

უკვე აქ არის, რასაც ცით ველი:
სიზმრის ნაფლეთი, ღამის ბადიში...
დამწყვედულია გული ტიტველი
ქართული ლექსის მწარე ბადეში!

სიტყვები ჭრელი, როგორც არყები:
არყის ფოთლების ქარში რიალი:
პოეტის გულზე აიყალყება
ხმელთაშუა ზღვის ტალღა, ტიალი...

არნივაპი

წამნამებს უწენს წვიმა არნივებს,
ლექსის ცაზე შემოფრენილებს...

ლექსიც ხომ იმ ცის ნაფლეთი არის,
დიდბორბალოს რომ თავზე ახურავს...
იმ ლაჟვარდის ანათალია,
პოეტის გულმა ოდესღაც რო დაისაკუთრა,
ცოტა ცრემლი რო მიუმატა,
ცოტა ჯავრი იმ სამყაროსი,
სადაც არნივებს ცის წყურვილი
სისხლს აღწევინებს –
ფრინველთა გზებზე: ცის ნაპირებზე...

იქ მწველი წვიმა ასპეტაკებს
არნივის თვალებს:
წამნამებს უწენს
და უვარცხნის ფრთების გრილოებს...

ვერ დავამშვიდებ
ქართულ ლექსში შემოფრენილებს:
ეს გრილი სიტყვა
სისხლის წყურვილს ვერ დაუამებს...

ჩვეულება ხომ დიდი რამ არის:
სისხლთა ბანს არნივის თვალებს
და გამონრთობილ ჭანგებს უღებავს...

ზოგჯერ სიტყვაც არნივებს ბაძავს:
პოეტის გულს ერჭობა და სისხლს ანთხევივებს...

ბოლოს სიტყვა: სისხლდალეული
დიდბორბალოს ცას აეტოტება...
თითქოს იხსენებს, რომ მისი ხმა და გულისცემა
ამ ლაჟვარდის ნაწილი არის...
და მაღლდება,
და მაღლდება,
და მაღლდება ციდან ცაზე სახეტილოდ...

მზეც ახატია მხრებზე და მთვარეც...
და ფრთებს უსველებს
დიდბორბალოს ცრემლი, ტიალი!

მარტოობას

და დაუტოვა ღამე მარტომგეს
მრავალწერტილი, უცხო მკვესავი,
ჩრდილების როკვა ქარის ნახტომზე,
დილის ამოსვლა თითქოს მზესავით...

და დაუტოვა, ვინც მზე დარისხა,
ისიც... ვარსკვლავი დინამიტივით
რომ აუფეთქდა ხელში დილისხანს:
შუალამური ცის დანამატი...

და დაუტოვა კიდე სხვა რამის
ჯავრი: ღრუბლებში ცეცხლის ენები,
განუჭვრეტავი ღამის წკვარამი
და წყვილი რამ: გაუთენები...

და დაუტოვა ღამე მარტომგეს
ის, რასაც კაცნი თვალებით სვამენ:
ცა, გადახრილი ირმის ნახტომზე,
ცის ბინადრები: ღრუბლები, ღამე...



დასაწყისი პირველ გვერდზე

შვილი — მე, ალბათ, იმ კვირაში ნავალ. შუა კვირაში ან კვირის ბოლოს.

დედა — (ნამძინარევი ხმით, ის იყო, ჩასთვლიმა მაგიდასთან ტელევიზორის ყურებაში, სკამზე) უნდა ნახვიდე? რა იყო, რა უცებ მოიფიქრე.

შვილი — (ოდნავ გაღიზიანებული ხმით) რაღა უცებაა, მთელი თვეა ვამბობ, თვის ბოლოს უნდა ნავიდე-მეთქი.

დედა — მეგონა, ცოტა ხანს კიდევ გაჩერდებოდი.

შვილი — (არ ბრუნდება. გვერდით დადებულ მობილურს იღებს, კალენდარს ხსნის და დასცქერის) როგორ გეგონა — 23-24 შუა კვირაა, 27 კვირაა, უკვე თვის ბოლო — (თავისთვის ითვლის) თითქმის თვე გადის, რაც აქ ვარ. ახლა არ მითხრა, რომ პირველად ვამბობ, თვის ბოლოს უნდა ნავიდე-მეთქი.

დედა — (უკვე კარგად გამოფხიზლდა, სათვალეს შუბლზე ინვეს და თვალებს ისრებს) ნადი, ძალით ხომ ვერ დაგიჭერ, (მორცხვი ღიმილით) თუ შენთვის ასე ჯობია, ნადი.

შვილი — დავივალე, ხომ ხედავ, უკვე ყველაფერზე ვლიზინდები. ოღონდ არ გეგონოს, რომ საქმისგან. რა ისეთი საქმეა ამ შუა ზამთარში — სახლს ვალაგებ და ჭურჭელს ვრეცხავ. მონატრებულიც კი მაქვს აქ რამის კეთება, მთელი ცხოვრება სხვისი ნაქირავები სახლების ლაგებაში ვარ. მაგრამ მაინც დავივალე რაღაცნაირად. არც შეშის შემოტანა-შეკეთებას დავუვლივარ, არც შენს „ძვირფას“ ჩავარდნილ-ჩანელილ რკინის საწოლში წოლას, არც იმას, რომ ტუალეტი გარეთაა. თუმცა როგორ ვერ ვიტან ამ სოფლურ ჩეჩმებს! პატარაობაში უფრო ვიტანჯებოდი. არასდროს არაფერი მითქვამს ამაზე? ან ტალახზე?

დედა — მართლა მეკითხები? შვილი — ჰო, აბა, ტყუილად?

დედა — არ ვიცი, არ მახსენდება. (ისევ თვალებს ისრებს, ჩვევა აქვს. საერთოდ კი მორცხვიანი გამო იქცევა ასე)

შვილი — ნეტა შენ რა გახსოვს! (ნანყენი, ოდნავ აგდებული ტონით. თან გვერდულად შემოუბრუნდება წამიერად) დავიჯერო, მართლა არ გახსოვს, ბაღის კართან, ყველაზე დიდი ტალახი სადაც იცოდა, ფეხს რომ დავადგამდი და ტალახი ფეხსაცმელზე აქეთ-იქიდან რომ ამომგელისებოდა ხოლმე, როგორ ისტერიკაში ვვარდებოდი? ან... შხაპი რომ არ გექონდა და „ტაშტი“ რომ ვინუნკლებოდი უკვე მოზრდილები? როგორ მძულდა მერე იმ ნაბანის წყლის გადაღვრა! გახსენებაზეც კი მაჟრიალებს. (ძალით გააკანკალებს)

დედა — რა სულელი ხარ! (ჩაიღიმებს) შვილი — ხომ ხედავ, რაც მე სატანჯველად მქონდა გადაქცეული, შენთვის ის სისულელისა.

დედა — (ჯერ მოკუმული პირით ამოიხრებს) თქვენ ეხლა აქაური არაფერი აღარ მოგნონთ. ნახვედით, ისწავლეთ, მოთხოვნები გაგეზარდათ...

შვილი — ეს „თ“ რაღაა, მრავლობითში რატო ლაპარაკობ? აქ მარტო მე ვარ და მე ჩემს თავზე ვლაპარაკობ. იმით რა უჭირთ, მშვენივრად არიან, დროზე უშველა თავს სუყველამ. მე კიდევ, ამხელა ქალი ვარ და ჯერ ისიც ვერ გამირკვევია, სადა მაქვს სახლი, ან საერთოდ მაქვს თუ არა. (პაუზა) დავწანაწანებ აქეთ-იქით, საწოლიც კი არ გამაჩნია საკუთარი. როდის რაღას უნდა მოვეწნო!

დედა — შენც უშველიდი, რომ გათხოვილიყავი, პატრონი გეყოლებოდა, შვილები, არც ამდენი საფიქრალი გექნებოდა. სახლი კიდევ, აი, გაქვს.

შვილი — შენ ხომ მეტი არ გინდოდა, მოგეცა საბაბი გათხოვებაზე სალაპარაკოდ! (გაღიზიანებული გაიქნევს თავს დედისკენ) რამდენჯერ გითხარი, რომ ამ სულელურ გათხოვების თემას ყველგან ნუ ჩრი-მეთქი. და საერთოდაც, შენ, მგონი, საკუთარი სიმშვიდის მოპოვება უფრო გინდა ჩემი გათხოვებით — „დაბინავებული“ (გამოჯავრებით, დედის სიტყვებია) რომ მნახო და დაისვენო. ეგოისტები ხართ ყველანი!

დედა — ძალიან შემაჩვიე პირი წარამარა „სულელის“ ძახილით. (მშვიდად)

შვილი — რა სულელის? ჯერ ერთი, მე შენთვის არ მითქვამს, კარგად უნდა მო-



ორ პატარა ოთახში

მისმინო, მეორეც, ათასჯერ გითხარი, რომ ვერ ვიტან-მეთქი ამაზე ლაპარაკს. (პაუზა) გავთხოვილიყავი და მერე ნახავდი ერთი, ვინ მოგხედავდა!

დედა — არც ეხლაა გვიან, თანაც, ნუ გეშინია, როგორც სხვები არიან, მეც ისე ვიქნებოდი; (პაუზა) და მაგაში მართალი ხარ, ბევრად მშვიდადაც, პატრონი რომ გყოლოდა.

შვილი — ხომ გითხარი, ყველა თქვენს თავზე ფიქრობთ! ვინ „სხვები“, მაგალითად, მარინე დეიდა? იმას როგორ ედრები, შენზე ლამის 20 წლით უფროსია და ისეთი ჯანმრთელია, ზამთარში უშეშოდ გადის იოლას და გაზაფხულიდან აივანზე სძინავს. შენ კიდევ, რაც თავი მახსოვს, კარგად არ ყოფილხარ, ექიმი და საავადმყოფო არ დაგიტოვებია, შენი ნონა ნამლევი გექნება დაღუპული... რამეს მაინც გშველოდეს! (ჩაიბურტყუნებს სათავსო ბოლო სიტყვებს) ან რამ მოგშალა ასე, მზე-ნვი-მაში შენ არ გივლია, არ გითხნია და გიბარია და საქონელი შენ არა გყოლია მოსავლელი. მამაჩემს რაც შეეძლო გიფრთხილდებოდა, მაგამი მაინც ხომ ვარ-გოდა? ერთი პატარა ბოსტანი გქონდა და ისიც, შენს ჭიას ახარებდი და იმიტომ. ჰო, ჭიანჭველას გახსენდა, აბრეშუმის ჭიაც მოგყავდა. მაგრამ ჩვენც ხომ გეხმარებოდი? როგორ მეზიზღებოდა ეს ჭიებიც, მთელი ბავშვობა ხან ფურცელს ვარჩევდი და ხან პარკს. თან კარგადაც უნდა გეცხნავოდა, ბევრი გეგვიტოხა... მერე ბავშვობა? თამაში რომ გვინდოდა სხვებივით, ამაზე რატომ არავინ ფიქრობდა? (პაუზა)

ისე, ყველაფერი იმის ბრალია, შენი სახსრების და შარდის ბუშტის და ყველაფრის ტკივილიც იქიდან მოდის ალბათ, ერთხელ რომ თქვი, ცხელ თონეში მიყვარდა ჯდომაო. რა გინდოდა იქ, უკეთესი წასასვლელი ადგილი ვერსად ნახე?

დედა — (ისევ თვალებს ისრებს) რა ვიცი, ბავშვი რომ ვიყავი და უტყვიან! მსია-მოვებნა თონის სითბო. თან მარლიანი ფაფხაჭყლეტი მიყვარდა, იმას ვაძრობდი თონის კედლებიდან და ვაკანაუნებდი.

შვილი — მერე ფეხები არ გენვებოდა ცხელ ნაცარზე დგომით თუ ჯდომით?

დედა — განა მასეთი ცხელიც იყო, უკვე განვლებულში ჩავდიოდი.

შვილი — ჰოდა, მაგან დაგხუთა და დაგაკულტა, მაგის ბრალია, რომ ვერ დადიოდი კაი ხანს. რამდენი წლისამ გაიარე ფეხზე?

დედა — ზუსტად არ მახსოვს, დიდი ვიყავი უკვე, 4-5 წლისა ალბათ. თითქმის სკოლაში მისვლის წინ.

შვილი — და მაგ ჯანმრთელობის პატრონი გათხოვიდი! „კუტს“ ეძახდნენ, ხალხო, და ეს კიდევ გათხოვდა! ხედავ, რამდენი ხნის მერე იჩინა თავი შენმა დაავადებებმა! საკუთარ მაგალითზე მაინც ვერ ხვდები, რომ გათხოვება ყოველთვის არ არის გამოსავლი? თანაც, გავთხოვდე, თორემ მთხოვნელების ჯარი არ მიმტყრევდეს კარს!

დედა — (ოდნავ წინ წამოინვეს, მაგიდის მეორე ბოლოსკენ დადებულ პულტს ანდასწვდება, აიღებს და ხელში აწვავს) მე იმიტომ გავთხოვდი, რომ სწავლა მინდოდა. დეიდაშენი რომ ჩუმად გაჰყვა ბიძაშენს, ხომ გაიპარა, მაგის მერე დედაჩემს ჩემს სასწავლებლად გაშვებაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა. ესენი კიდევ, მამაშენის მხარე, დამპირდნენ, რომ მასწავლიდნენ, მაგრამ, რა ვიცი, ესეც ჩემი ბედი იყო თუ რა იყო, მოსვლის დღიდან

მკვდარი არ გამოილია ამ სახლში და რა სწავლაზეა იყო ლაპარაკი. თან ამასობაში ორსულადაც დავრჩი...

შვილი — მე შენს ადგილზე მაინც არ გავთხოვდებოდი, არ უნდა გათხოვილიყავი! მშვენივრად ვიქნებოდი, თუ საერთოდ არ ვიქნებოდი, თითქოს რამე ეყაროს ჩემს ყოფნაში!

დედა — ჰო, ეხლა მეც მასე ვფიქრობ, მაგრამ რაღა დროსია. თუმცა მამაშენი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა.

შვილი — ყოფილიყო მერე, ყოფილიყო... (გაბრაზებული ხმით)

დედა — ან, ის რომ დარჩენილიყო ცოცხალი ჩემს მაგივრად, მაშინაც არ დაგანებოდათ ამხელა ტვირთი, ჯანმრთელი მაინც იყო. შენ უფრო, ყველაზე მეტად შენ დაიჩაგრე. რა ვქნა, როგორც იმან იცოდა თქმა, თუ გინდათ, ჩამსვით გოდორში, ამიყვანეთ მთაზე და დამტოვეთ იქ მგლების შესაჭმელად. (შეუმჩნევლად იღიმის) მეტი რა გითხრათ? (პაუზა) მე თავის მოკვლაც კი არ შემძლებია! (ბოლო წინადადება შედარებით ხმადაბლა ამბობს)

შვილი — ნუ ამბობ მართლა რაღაც სისულელეებს. (მერე ცოტა ხანი ჩუმდება და ფიქრებში მიდის. ახსენდება სხვადასხვა დროს, თითქმის 30-წლიანი შუალედით, დედის დანერჩილი ორი წერილი, უფრო სწორად, ანდერძი, რომელიც 2 წლის წინ ძველი საბუთების ჩანთაში იპოვა და და-ძმასაც აჩვენა. შეიძლება ჰგონია, რომ დაკარგა ან დახია. ყოველ შემთხვევაში, არასოდეს უკითხავს, ხომ არ გინახავთო. იმდენი ხანი გავიდა, არ არის გამორიცხული, არც ახსოვდეს მათი არსებობა; ან უკვე სულ ერთია ამისთვის, ჩვენ ვნახავდით თუ არა. თან ის, პირველად დანერჩილი, ლამის მთლიანი რეჟულია, შვილი რომ მოუკვდა, მაშინ-დელი)

(ამ ფიქრებში უცებ ტელევიზორი ძალიან მაღალ ხმაზე ირთება. შვილი შეხტება და გულზე ხელს იტაცებს)

დედა — (დამნაშავე ხმით) რა დაეგართა, სხვაგან მინდოდა გადართვა და...

შვილი — (გაღიზიანებული შემოუბრუნდება) რა და, ისევ სხვა ლილაკს დააჭირე და აენია. რით ვერ დაიმახსოვრე, ხომ გასწავლე? დაუნე რა დროზე, ახლა ამის ოპტიმისტური ტყუილები მასმენინე კიდევ!

(ერთ-ერთ არხზე ახალი ამბები გადის. საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება და პრეზიდენტო ლაპარაკობს: „მე ვთავაზობ მთავრობას სამ განსახილველ წინადადებას. პირველი, ეს არის ეკონომიკური ამნისტია...“)

პოპულისტი! მოახლოვდა არჩევნები და ახლა გაახსენდა „ამნისტია“. ამოვიდა ყელში ამდენი თვალეში ნაცრის შეყრა!

დედა — (უცებ გახარებული ხმით) აი, დაეუნე!

შვილი — რას ვამბობდი და სად წავედი! მოკლედ, ამ ქვეყანაში ხომ ყველა გზა პრეზიდენტთან მიდის! (დამცინავი ხმით) ამდენს რომ ვქაქანებ და ვლაპარაკობ, ერთი სიტყვით მაინც მკითხე, ასე რამ დაგალადა გაგაღიზიანა-თქო, დავიჯერო, არ გაინტერესებს?

დედა — რა ვიცი, რა უნდა გკითხო, გადაჩვეულები ხართ სოფელს, ყველაფერ აქაურს, აღარ გინდათ აქ, აღარ მოგნონთ; ან ცოტა გადაიტანე? ამხელა ოპერაცია, აქეთ უბინაობა, ქირით ცხოვრება, რასაც

შოულობ, ცალი ხელით აქეთ-იქით არიგებ, შენი თავისთვისა არა ხარ და, ეს ყველაფერი ერთად დაგლიდა, მამ რა იქნებოდა?

შვილი — სოფელი რა შუაშია? გინდა დამიჯერე, გინდა არა, არავისზე ნაკლებად არ მიყვარს მე აქაურობა; ახლა აღარც ტალახი მეზიზღება და აღარც, თითქოს ჯიბრზე არიან ესენიც, მაინცდამაინც აივანზე მობუდურაგებული ქათმები და იმათი მოსკლინტულები... ყველაფერს ავიტან, გინდაც არ მიყვარდეს, მაგრამ... (პაუზა) მთელი თვე ასე ერთ ოთახში მობლუნძულს და გამოკეტილს გაძლება, კარგი, ორში, მართლა აღარ შემძლია; ზაფხული რომ იყოს, ეზოში ან ბაღში მაინც გავიდოდი, მაღლა ავიდოდი, აივანზე დავჯდებოდი... რისთვის ააშენეთ ამხელა ქარახინა სახლი — ვერ ვათბობთ, ვერ ვიყენებთ და აქ ვიგუდები, ამ ორ პატარა ოთახში. ესხედვართ და ერთმანეთს ვუყურებთ მთელი დღეები — ვაკვირდებით, ვსინჯავთ, ვიკვლევთ, ვაგემოვნებთ... მე სხვა ადამიანთან ასე სულის სახრინავში ჯდომა არ შემძლია... ჩემი შვილიც რომ ყოფილიყო შენს ადგილას, მაინც არ შემძლებოდა, თუ გინდა ქმარი, და, ძმა, ვინც გინდა ყოფილიყო, მაინც გავლიზინდებოდი, მაინც ამეშლებოდა ნერვები, ამდენი ხანი ასე ახლოს, ასე ერთი ხელის განვდენაზე...

დედა — მესმის, ხო, შენ მარტო ცხოვრებას უკვე ისე ხარ მიჩვეული, რომ სხვასთან დიდხანს ყოფნას ვეღარ იტან. გადაჩვეული ხარ. (თავი დახრილი აქვს და ნეკა თითს მუშაშობის ფერად უჯრებზე დაატარებს)

შვილი — არაფერიც არ გესმის, იმიტომ, რომ შენ არ იცი, ეს რა არის; შენ არ იცი, რას ნიშნავს, როცა არ შეგიძლია ვინმესთან ერთად ამდენ ხანს გამოკეტილში ყოფნა — ჭამა, ჯდომა, ლაპარაკი, ყურება, სუნთქვა, ძილი... ღამე საერთოდ არა მძინავს, მთელი ღამე ხვრინავ და კვნესი, დღისით კიდევ სულ სახლში ხარ, არსად არ გადიხარ, გვერდიდან არ მშორდები, სულ თვალეში შემოძვინდები, ვერა ხვდები, რომ ეს შენი ზედმეტი ყურადღებაა მაღიზიანებს? მშვიდად ვერ დავმჯდარვარ, ვერ ვკითხულობ, ვერ ვწერ, ვერ ვფიქრობ, ჩემს თავთან დარჩენის საშუალება არა მაქვს... ციხეში მგონია თავი. შენ რომ თქვი ერთხელ, ადამიანიც ცვდებო, აი, მგონი, ზუსტად მასე ვარ. ასე მგონია, ყველაფერი გამიცვდა — თვალის, გულიც, გრძნობებიც, შეგრძნებებიც, შეიძლება შენზე მეტადაც. მერე რა, რომ შენ დედა ხარ და მე შვილი, თუმცა ეგეც საკითხავია უკვე! ახლა მშობლები უფრო დაემგავსეთ შვილებს, შვილები თქვენზე მალე დაბერდნენ და დაილაღნენ, ოღონდ ყველა არა, მარტო „რჩეული შვილები“, და მე „გამიმართლა“, რომ ამ „ბედნიერთა“ (ამ სიტყვებს ირონიით, გამოკვეთილად ამბობს) რიცხვში მოვხვდი; მართლა ვერ ვხვდები, ეს როგორ მოხდა, რატომ ავიღე ჩემს თავზე ოჯახის ტვირთი, თან კიდევ, იცი, რაზე გვივადები, რომ ეს ჩემი სურვილით არ მომხდარა! (პაუზა)

არ უნდა მომკვდარიყო მამაჩემი, არა! ის ამისთვის არ გამიმეტებდა, და შენგან განსხვავებით, ხანდახან თავზე მაინც გადაამისვამდა ხელს! იცი, არ დამვიწყებია, რომ უხასიათო ვიყო, სვამდა, ჩხუბობდა... ეს ყველაფერი მახსოვს, მაგრამ მისი იმედი მაინც სულ მქონდა. შენც გქონდა. ხომ გქონდა? (შემოუბრუნდება)

(პაუზა)

შენ კიდევ, მარტო ზიხარ და ხმას არ იღებ. როდემდე უნდა იცხოვრო ასე „შიშით“ და „შეპარვით“, (დედის სიტყვებია) არ მოგებურდა? არ შეგიძლია, ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაბრაზდე, ვინმე რაღაცაში დაადანაშაულო, ხმამაღლა იყვირო... მიდი, მე მიყვირო, ახლავე მიყვირე, რაზეც გინდა. თუ გინდა, იმის გამო, რომ ვერ გავთხოვდი, გაძლევ უფლებას. თუ გინდა, სილაც გამაწანი, აჰა; (შებრუნდება და ლოყას მიუშვერს) ან... (პაუზა) ერთხელ მაინც მკითხე რამე ჩემს პირად ცხოვრებაზე, ქალი ვარ, ვინმე ხომ არ მყოლია, ან ხომ არა მყავს? რატომ გეზინია ყველაფრის, რატომ ვერ მიბედავ? მე ჩემით ბევრჯერ დავაპირე შენთვის გულის გადაშლა, მაგრამ ყოველთვის გადავიფიქრე. აზრი არა აქვს, შენ მაინც ასე იჯდები. დიდი-დიდი, იტირო. მამაჩემის სიკვდილის მერე რაც გააკეთე, ის არის, რომ

 ვარდი ვის უკვირს,
 მაგრამ ამ ეზოს
 მთლიანად ფარავს
 ხვიარა ვარდი
 და მისტირიან სოფლის ქალები
 სილამაზისთვის გაცდენილ ადგილს.

პროფანიათა თანაკვეთა

თითქოს თვალეში ჩამისახლდა
 რენტგენის სხივი...
 შენ — ნიღბიანი, გულჩათხრობილი —
 ჩემს ლექსში ისე ნამდვილი ჩანხარ,
 თვითონვე გიკვირს
 საოცარი ფერისცვალების.

ჰო, ალბათ გულში ჩამისახლდა
 რენტგენის სხივი.

 მე ქალი ვარ და
 უტყუარი გუმანით ვიცი,
 თუკი დასჭირდა,
 ვინ გამწირავს,
 ვინ არ გამწირავს.

 სხვიმოფენილი ცისკარი,
 ფოთლებზე — ნამის ალმასი,
 მოდი და რამე მითხარი,
 ამ გვირილებზე ლამაზი.

„აქედანა და შენამდი
 ვარდი მასხია ყელამდი“,
 გზად მეგებება ნატვრის ხე —
 „ნატვრის ხესავით“ ფერადი.

მეც ერთ-ორ ნაკუნს შევბამ —
 იმედად მაინც დამრჩება:
 იქნება გული მოგილობოს
 ჩემმა ჭრელ-ჭრელმა ნატვრებმა.

მზემ აიტაცოს იქნება
 თვალთაგან ცრემლის ალმასი,
 მართლა გაგიჩნდეს სათქმელი,
 ამ გვირილებზე ლამაზი.

 როგორ მომრავლდნენ
 ის ფურები,
 სულ რომ გნიხლავენ,
 თან შენზე მეტი
 არასოდეს მოუნველიათ.

 გვალვა. დეღე ამომშრალი.
 წყალი, უკვე ჩავლილი.
 მტევანთეთრი ხეივანი
 რომელიღაც ყვავილის.

გაზაფხული ხაკისფერი,
 რაღაც მწვანენაკლული,
 არ მახარებს და რატომღაც
 არ მგონია ქართული.

შევიცოდო, რას ვუშველი
 გახუნებულ ლელიანს,
 ავდგები და იქით წავალ,
 სადაც მთები მელიან.

ანტიპოეტური ლექსი

თმებს კი არ ვაფენ ბილიკებზე,
 დავდივარ მხოლოდ,
 არც სხეულს ვიხდი,
 უფრო ვიცვამ მასზე — ტანსაცმელს.
 ლექსი არა მწერს,
 არც ზეციდან მკარნახობს ვინმე, —
 ავად თუ კარგად, რა ხანია,
 ლექსებს თვითონ ვწერ.
 თავს არ ვადარებ გალაკტიონს,
 მით უფრო, ვაჟას,
 არაფერსა ვთხოვ გამომცემლებს,
 ფონდებს, სპონსორებს.
 არც არავისი წინამძღოლი
 მგონია თავი,
 ანდა ვინმეზე უკეთესი,
 ან უარესი.
 სულ არ ვკითხულობ,
 პოეტები რას ჩალიჩობენ,
 სამაგიეროდ, რასაც წერენ,
 იმას ვკითხულობ.
 სწორედ ამიტომ,
 თვალში ნაცარს ვერვინ შემაყრის,
 ვერც თვალში ნაცარშეყრილები
 დამინახავენ.
 სწორედ ამიტომ, არც ვითვლები,
 ალბათ, პოეტად.

ლელა მეტრეველი

გვინანი ვეღრაბა

ქალაქი, ქუჩა, სახლი
 კოცონად ენთო.
 უხმო ვედრებით დაღლილს,
 მომხედე, ღმერთო!

ლიახვის ზვირთში კვლავაც
 ტკბილად მარნიე,
 ჩემი სამშობლო ისევ
 ჩემად აქციე.

ხომ ნახე: ჩემი ქართლი
 კოცონად ენთო...
 უსასობით დაღლილს,
 მომხედე, ღმერთო!

სიმნიშა

ვარიაციები

 არ მენაღვლება, ვინ რას მოჭორავს,
 რომ დაიოკოს ენის ქაველი...
 გაზაფხულია. სადღაც მინდორში
 უკვე ამოდის ჩემი ყვავილი.

 აღარ მაშფოთებს, რას იტყვის ხალხი,
 ყურს ვინ საიდან მოაბამს ქოთანს...
 თვით ნითელი მზეც, ახლა რომ ჩადის,
 სხვა ადგილიდან სხვაგვარად მოჩანს.

 რომ მკითხონ,
 ქვეყნად ყველა შპალერს გაახუნებდა
 ეკატერინეს მოხატული სახლის კედელი.
 ვერ მიუხვდნენ და გადაღებეს,
 მაგრამ ჯინაზე
 კედლებს იმავე ხერხით ხატავს
 უკვე ნატალი.

სიმშვიდე

აღარც სევდიან ლექსებს ვწერ,
 არც სადმე ვგზავნი ბარათებს,
 მთის წვერზე ერთი ვარსკვლავი
 დგას, მხოლოდ ჩემთვის ანათებს.

მდინარის ხმაურს მიჰყვება
 ყოფის დარდი და სიმძიმე,
 შავი ხავერდის ღამეში
 ციციანათელა ციმციმებს.

რაღაც იდუმალს ვეხები
 შავი ხავერდის ღამეში
 და ჭრიჭინების ჭრიჭინი
 ძილისპირულად ჩამესმის.

რაჭან და... პარსკვლავებს

შენგან შევისრულე ადრიდანვე
 ძალა სიცოცხლესთან გამკლავების...
 ო, რამდენ სტრიქონში ჩამისახლდნენ
 შენი მაღალი ცის ვარსკვლავები.

აქ ვნახე საღამო მისტიკური:
 ზეცას ღილებით ამწყდარები,
 დაბლა რომ ცვიოდნენ ანთებული,
 ნატვრით დახუნძლული ვარსკვლავები.

დაჩოქილს თუ მნახავ, შემაჩვენე,
 ერთს გავიბრწყინებ და გავთავდები...

გულს ვალიდოლივით შევაშველე
 შენი მოციმციმე ვარსკვლავები.

 ცუდი მასწავლებელი ვარ:
 სიყვარული კუთხეში დავაყენე,
 სიმშვიდეს უმაღლესი შეფასება დავუწერე,
 განაწყენებული სიხარული და იმედი
 ზედაც აღარ მიყურებენ.
 სინანული წინა მერხზე დასკუპდა
 და ყოველ წამს
 ხელის აწევით მახსენებს თავს.
 მეზობელი კლასიდან მოწყენაც შემომეპარა.

სხვა გზა არა მაქვს:
 პროფესიული განვითარების
 სქემაში უნდა ჩავერთო.

განმორაბიდან დაბრუნებაშდე

ჯეინ ეარი — ედვარდ როჩესტერი

 ვინ იფიქრებდა:
 ჩვენ ორს შორის
 უფრო უღონოს,
 ორივეს ნაცვლად დამეკისრა, —
 მოვიქცეთ სწორად.

 ამაყი ვარ და არ გაგრძობინე,
 რომ მარტოდმარტო შევრჩი სამყაროს
 და, არ დამთავრდა რაკი კეთილად
 მართლაც ზღაპრული ჩვენი ზღაპარი,

რაკილა მხრებით ვერ შევაჩერეთ
 აგორებული ფერდობზე ზევაი,
 ვერ გამოგყვები ხევში დანთქამდე,
 ვერ გავახარებ ყორნებს და ყვავებს.

გავდგები განზე. გამყვება ფიქრი —
 ჩემი ერთგული ხელისმომკიდე
 და ზღაპრის თავში დაგელოდები,
 იქნება წვიმად მაინც მოხვიდე.

 შენი ვიყავი და ჩემად გთვლიდი,
 მთენთავდა სითბო შენი ხელების...
 მერე უეცრად ჩამოწვა ბინდი,
 დამიშრა წყარო ბედნიერების.

იქნება მაშინ გამიწყრა ღმერთი,
 როცა დავტოვე შენი საუფლო...
 მე ყოველღამე ვლოცულობ შენთვის,
 რომ უჩემობის ტკივილს გაუძლო.

იქნება ისევ შეგვყაროს ერთად, —
 სავედრებელი ეს მაქვს ღვთისადმი...
 ვზივარ ბუხარში მინავლულ ცეცხლთან
 და მახსენდება, როგორ გიყვარდი.
 როგორ მიყვარდი...

 როგორც უმწეო მტრედის ხუნდები,
 ჩვენ ახლა ვსწავლობთ ცალ-ცალკე ფრენას,
 დატაატებენ ცაზე ღრუბლები,
 დაფარფაატებენ ცაზე ღრუბლები
 და, ჩემთან ერთად, დაგცქერენ შენაც.

შორიდან მესმის ძახილი: „ჯეინ!“
 სხეულს მხურვალე ედება ტალღა,
 შენ მე მეძახი და დავბრუნდები,
 შენ მე მომელი და დავბრუნდები,
 მე დავბრუნდები... გჭირდები რადგან.



ივანე ამირხანაშვილი

ბანსხვავეხული პოეტური მდგომარეობა

საქართველოში თითქმის არავინ იცის, ვინ არის სერჯო კორნაკი, მაგრამ სერჯო კორნაკი იცის, ვინ არიან ქართველები. ეს კალაბრიელი კაცი საქართველოსთან ლექსმა დააკავშირა. ისე მოეწონა დათო მალრადის „ყაზბეგის ქუჩა 14“, რომ თბილისში ჩამოვიდა მეუღლითურთ და სამახსოვრო ფოტო გადაიღო ავტორთან ერთად, ყაზბეგის ქუჩაზე.

რა უნდა მოსწონებოდა იტალიელ კაცს ქართველი პოეტის ლექსში? ალბათ ის, რაც იქ წერია: მშობლიური სახლის ნოსტალგია, სტუმრები, დედა, მამა, ადამიანურ ურთიერთობათა ხიბლი, მამის წასვლა და სევდის სადგურად გადაქცეული სახლი, „რომელიც იყო...“

პოეტური შინაარსიც სხვა რა არის, თუ არა საგნებთან უშუალოდ მისვლა და მათი განჭვრეტა ნათელხილვის განსაკუთრებული უნარით.

ლექსში მოგონილი არაფერია. მეტიც, ყველა დეტალი მკვეთრად რეალისტურია, პროზაულია მთელი ანტიურაფი, და სწორედ ამიტომაც ღრმად პოეტურია განცდა, რომელსაც ოციოდე სტრიქონის ნაკითხვა ზადებს.

პოეტურობის მიზეზი და საფუძველი არის უაღრესად ადამიანური მოტივი ეფექტური საქცევებითა და კადენციებით, რომელთა ემოციური ჯამი იძლევა შეგრძნებას, რომ შევეხეთ ძალზე მნიშვნელოვანსა და ძვირფასს, მაგრამ, ამავე დროს, გაფერმკრთალებულსა და დაინიკებულს.

ეს არის ტრადიციის კულტის თაყვანისცემა ანუ კულტურა, რომლის გარეშე არ არსებობს ადამიანური ყოფიერება.

ერთი სიტყვით, სერჯო კორნაკის სახით მივიღეთ ნიშანი დასავლეთიდან, რომელმაც, ვინ იცის, იქნებ მიაგნო ნათესაურ კავშირს ქართულ სულიერებასთან, რაც არ იქნებოდა შემთხვევითი, რადგან ქართულ ლიტერატურაში არის პოეტური არქეტიპების საკმაო მარაგი იმისათვის, რომ გამოვლინდეს საერთო ადგილები ევროპასა და ჩვენ შორის.

ცნობილი ჭეშმარიტებაა: არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს ის, რაც ერთისთვის არის ფასეული.


დათო მალრადის აქვს თავისი ფილოსოფია, აზრთა სისტემა, ფასეულობათა შკალა, რომელიც მჭიდროდ, კონცეპტუალური სიღრმით უკავშირდება კულტურასა და სულიერი ცხოვრების თანამედროვე ქართულ ფორმებსა თუ ვითარებებს. ამიტომ მისი შემოქმედება შეიძლება განვიხილოთ, როგორც კულტურტრეგერული ფაქტი, რომელიც ახდენს იდეების პროექციონებს ემოციის, გრძნობისა და აზრის დონეებზე.

შემთხვევითი არ არის, რომ 2014 წელს პოეტურ კრებულთან („უქო“) ერთად გამოცა პუბლიცისტური ნიგნი სათაურით „სარკმელი“, რომელშიც შესულია ბოლო წლების განმავლობაში პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები და საუბრები კულტურის პოლიტიკისა და ეთიკის საკითხებზე. საგულისხმოა ნიგნის ლაიტმოტივი: „სადაც პოეტს არ უსმენენ, იქ დიქტატორის მოსმენა მოუწევთ...“

რწმენის სიმბოლო: პოეზია ქმნადობაა, პოეტი ქმედითი ძალა.

ჩვენს დროში პოეტის საქმე გაძნელებულია. ბევრი რამ არსებობს საიმისოდ, რომ ლექსი არ მივიდეს მკითხველამდე. ტექნიკით ვეღარავის გააკვირვებ. ტროპებით ეკვილიბრისტიკას გასავალი აღარ აქვს. მუსიკა, რიტმი, სიტყვა, მეტრი, ემოცია – ცალ-ცალკე ალებული – ნაკლებეფექტურია. ფაქტურის ხარისხი ამაღლდა, საერთო დონე გათანაბრდა, ლექსის ამოცნობა გართულდა. „კარგი“ არ ნიშნავს ნამდვილს. საჭიროა კიდევ რაღაც სხვა, სულიერების საზღვრებში მიგნებული ელემენტი, რომელიც ახალ, განსხვავებულ რეგისტრს შექმნის, გააცხოველებს ფასეულობათა ალქმის იმპულსებს.

დათო მალრადი უშუალოდ გრძნობს ცხოვრებასთან სიახლოვეს. უბრალოების სულისკვეთება შემოაქვს ლექსში, წარმოსახვას და სინამდვილეს ერთმანეთთან ისე აახლოვებს, რომ შედეგად ლებულობს განსხვავებულ პოეტურ მდგომარეობას, რომელსაც უდანაკარგოდ გადავყავართ აბსტრაქციიდან ეთიკური განცდის რეალობაში. ეფემერულია და სტიქიურის



შეერთება ხელშესახებ და სისტემურ თეზასთან უთუოდ იძლევა ეფექტს. სტიქიური ქმნადობის წესს ემატება გააზრებული მოქმედების მოტივაცია, რაც გულისხმობს შედეგის მიღწევას არა განყენებული იდეების, არამედ რეალური საგნების, ცოცხალი სიტყვების მეშვეობით.

დათო მალრადის ლექსის საფუძველში დევს დრამა, აზრთა ჭიდილი, ეთიკურ ნინაალმდეგობათა რიგი, შინაგანი ენერჯის ფეთქებადი გამოვლინებები, აზრობრივი ოპერაციების გაუხსნელი ლოგიკა, რომელიც სტრიქონსა და სტრიქონს შუა, ემოციურ პაუზებსა და გადასვლებში იკითხება.

აზრის მუდმივი მოძრაობა ქმნის კონტრასტულ შუქ-ჩრდილებს, რომლებსაც აქვს უსასრულო ინტერვალები. ეს არის რიტმი, ძალაუფლების შემცველი ენერჯით, რომელიც ყველა გამომსახველობით საშუალებას თავის თავში, თავისი გავლენის ქვეშ მოაქცევს. უთუოდ დევს ამაში კონსტრუირების ცნობიერი ძალა, მეთოდი, ხერხი, გადმოცემის სტილი, ფორმისქმნადობის ინდივიდუალური უნარი, თვითგამოხატვის წესი. ამ წესზეა დამოკიდებული არტ-ეფექტიც და ალქმის ინტენსივობაც, რომელსაც მკითხველი ან დაემორჩილება, ან არა. გააჩნია, როგორ აღვიქვამთ მოცემულ სტრუქტურას, როგორც პოეტური დოგმატიკის ფორმულას თუ როგორც უბრალოების სულისკვეთებას, სულის უშუალო გამოვლინებას. მის სტრიქონებში გამომვლენილი მორალურ-ზნეობრივი რეფლექსიები შეიძლება, კაცმა სოფიზმებადაც ნაიკითხოს და პოეტურ კონცეფციადაც. გასათვალისწინებელია, რომ აქ ყველაფერი ძალიან სწრაფად, სინათლის სიჩქარით იცვლება, თუმცა ეს დაძალებული ან შემოქმედების კი არა, მოქმედების აქტია, ნეიტრალური პროცესი, თანხვედრისა და თანაგანცდის პერსპექტივით.

დათო მალრადის პრინციპია – თამაში არა იქ, სადაც ფორმისქმნადობის საკითხები წყდება, არამედ იქ, სადაც ეთიკის პრობლემები გამოიკვეთება. ეთოსი – ზნე, ქმედება, ქცევის წესი – როგორც უმაღლესი კულტურული ღირებულება, როგორც პოეტური აზროვნების საგანი, როგორც თემა, რომელიც იძლევა საშუალებას, რაღაც განაახლო, აღადგინო, შექმნა, ითამაშო კონსტრუქციული როლი, გაააქტიურო კულტურული არქეტიპები და მოუძებნო მათ პოეტური დასაბუთება.

ფორმისმიერი გატაცებები ხშირად საეჭვო შედეგებით მთავრდება, მაგრამ დიდია ინერციის ძალა. გავრცელებულია მოსაზრება, რომ პოეტური ენა მაინცდამაინც სიმბოლურ, ტროპულ, ასოციაციურ ქვეტექსტებს უნდა გულისხმობდეს, მაგრამ ხომ არსებობს ეთიკური შინაარსიც, რომელიც დაინიკებულია და თუ ახსენდებათ, მეორეულ შრედ მიიჩნევენ ხოლმე. აპრიორი აღიარებულია, რომ თუ ნიაღვრეები ფორმის ძიების მიმართულებით მიდის, კარგია, მისაღებია, გინდაც უფორმოებას, ამორფულობას, სრულ დეკონსტრუქციას ნაყანყდეთ; მაგრამ ცუდია, როდესაც შინაარსის გაღრმავების გზით მივიდვართ. ეს არის ალქმის სტრეოტიპი,

ერთგვარი სნობისტური ინვარიანტი, „მუდმივია“, რომელსაც ეგრე იოლად ვერ დაარღვევ, რადგან ტრადიციამა ჩამოგდარი, გამყარებული, დაკრისტალებული. პოეტური ენის იერარქიაში არცერთი საფეხური არ არის პრივილეგირებული, არც ერთი საფეხური არ არის გაუქმებული.

რაც უნდა ირაციონალური იყოს, რაც უნდა შთაგონებაზე იყოს დამოკიდებული, პოეტური ნაწარმოების შექმნა, საბოლოოდ, მაინც ცნობიერი პროცესია, სიტყვიერი ხელოვნება და პასუხისმგებლობას მოითხოვს. ლექსი მონოლოგია, აზრის გადმოცემის ფორმა და, გინდა-არ გინდა, მონესრიგებულ, მწყობრ, დასრულებულ სტრუქტურას საჭიროებს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, თუ ვისკენ არის მონოლოგი მიმართული, ვის აწვდენ ხმას, ვის ესაუბრები. არსობრივი სანყისი სადღაც უნდა გააქტიურდეს – შინაარსის, ენის, იდეის, თემის თუ რაღაც სხვა მიმართულებით. ოსტატს რა საშუალებებიც აქვს, იმ საშუალებებით გამოხატავს სათქმელს. ორიგინალურობის სულიც ამ ჩარჩოებში თუ არ მოექცა, მაშინ მივიღებთ სუროგატის მწარმოებელ მანერას. ამიტომ იყავი ის, რაც ხარ, ჩადი საკუთარ სიღრმეებში და ნუ გამოიგონებ, ნუ ითვალთმაცქვებ, ნუ იმიტატორებ, ნუ შესცოდავ ქეშმარიტების სულს. ცრურწმენა და საცთური ლიტერატურაში ბევრია, ყოველ ნაბიჯზეა ჩასაფრებული პატივმოყვარეობის ხიბლი.

როგორც ითქვა, დათო მალრადის პოეტური იდეოლოგია თავისთავად გამორიცხავს ფორმალისტური თავმოთენობის ჯადოს, ვინაიდან მისთვის მთავარია არა ვერსიფიკაცია, არამედ ვერიფიკაცია – ჭეშმარიტების დადგენა, რაც, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე ყოფიერების არსის გარკვევას გულისხმობს. „საღამო წრეფელობას! კეკლუც სტროფს – უარი!“ ამ აზრს დათო ხშირად გამოთქვამს სხვადასხვა ფორმით, თითქმის ამონებებს თავის მდგრადობას, თავის პოეტურ ნებელობას.

ზემოთ მოყვანილი სიტყვები ბოლო დროს გამოქვეყნებული ლექსიდან არის. „თოლია“, ასე ჰქვია ამ ლექსს, რომელიც „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნდა (20.VI.2014). ჩემი აზრით, ეს არის საეტაპო ნაწარმოები, იმპრესიონისტული ფერებით დაწერილი მძაფრი სოციალური სურათი, სადაც სტრიქონი ძალუმად პულსირებს, სიტყვა კალმახვით ხტის და კინოკადრებად დაწყობილი აზრები ესკალატორით მოძრაობს ქვევიდან ზევით, მიზნად ზეცისკენ, ქვესკნელიდან ვარსკვლავებისკენ, დაცემიდან ამალღებისკენ. მეტაფორა, რიტმი, ალიტერაცია, ანჟანბმანი, ინტონაცია, ალუზია, რემინისცენცია, დიალოგი, პერსონალია, ტოპოსი – ყველაფერი ერთი, მთავარი მიმართულებით, ყველაფერი მთლიანობის სამსახურში. კონტრაპუნქტის წესით აგებული კონსტრუქცია იმეორებს ყველა იმ საუკეთესო თვისებას, რაც დათო მალრადის ლექსებს ახასიათებს, თავისებურება კი ის არის, რომ აქ სრული მასშტაბურობაა. აშკარაა, რომ დათო მალრადის პოეტური სამყარო მკვიდრ ნიადაგზე დგას და მას აქვს ვერტიკალური და ჰორიზონტალური კოორდინატები, რომელთა მახასიათებლებია ლოგიკა და შინაგანი საზრისი. მისი სიტყვათმეთანხმება და ამ შეთანხმებათა რეზონანსი ზოგჯერ იმაზე მაღალია, ვიდრე ამას ალქმის დინამიკა მოითხოვს, მაგრამ უბრალოების სული საიდანღაც კარნახობს თავის წესებს და არეგულირებს ემოციური ზამბარების მოქმედებას.

არსებობს ლექსი თავისთავად და არსებობს ლექსის ალქმა, ესეც თავისთავად. პოეტური ნაწარმოების შეცნობის პროცესში ყველაზე რეალურია კერპთაყვანისმცემლობა და სნობიზმი. წვდომა და გაგება, ცოტა არ იყოს, ამორფული სინამდვილისგან მარს მდგომი ცნებებია. მაშ, სად და რა არის შეფასების კრიტერიუმი? ის, ალბათ, არ არსებობს, მაგრამ რომც არსებობდეს, ბოლომდე მაინც ვერ ვენდობოდით, რადგან პოეზიას კი არ აფასებენ, არამედ კითხულობენ, აღიქვამენ, ისმენენ, განიცდიან და, ზოგჯერ ისეც ხდება, პოეტის სახლთან მიდიან, რათა სამახსოვრო სურათი გადაიღონ. ავტორთან ერთად. მოწონებული ლექსის ავტორთან. არის ამა-არის ეს ჰუმანური, განსხვავებული პოეტური მდგომარეობით.

ბაია კასმი

ბაია კასმი არაბული წარმოშობის მწერალი ქალია. ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს. კინოსცენარისტი და მსახიობია. 2012 წელს ფილმი „ადამიანების სახელები“, რომლის სცენარის ავტორიც ბაია კასმია, დაჯილდოვდა „სეზარიით“ საუკეთესო სცენარისათვის.

ქვირფასო ღმერთო!

ღმერთო,

მინდა, გელაპარაკო, თუმცა შენი არ მწამს. ჩემს თავს ამაოდ ვეუბნები, რომ შენ არსებობ, შენზე მუდმივად ვფიქრობ. თუ მართლა არსებობ, დარწმუნებული ვარ, არ გამიბრაზდები, შენი რომ არ მწამს. თუ მართლა არსებობ, ჩემი აზრით, ისინი უფრო უნდა გიყვარდეს, ვისაც შენი არ სწამთ, იქიდან გამომდინარე, თუ როგორ იქცევიან მორწმუნე ადამიანები შენს გამო. მათ მიაჩნიათ, რომ იციან, შენ რა გინდა. სინამდვილეში კი არავინ არაფერი იცის შენს გარდა, თუ, რა თქმა უნდა, შენ მართლა არსებობ.

ადამიანები, რომელთაც შენი არ სწამთ, ნაკლებად გატყუებენ. როცა ცუდად იქცევიან, ეს შენ ვერ დაგბრალდება, შენ ძალიან კმაყოფილი უნდა იყო, როცა კარგად იქცევიან, რადგან ამას შენთვის არ აკეთებენ. ამ შემთხვევაში ისინი მართლა გულწრფელები არიან.

მე ლუბნა მქვია. თორმეტი წლის ვარ. მინდა, ვილატას გული გადავუშალო, რადგან ჩუმიად ყოფნა არ შემიძლია. ღამეები არ მიძინავს — ოფლად ვიღვრები.

არ ვიცი, ეს როგორ მოხდა, საკუთარი თავი შემზიზნდა, ვერაფერს ვახერხებ, ამ შეგრძნებას ვერ ვიმორებ.

არაბები არ მიყვარს. მხოლოდ ჩემი ოჯახი მიყვარს: მშობლები, ჩემი ორი ძმა, და და ბებო. მარტო ესენი...

სხვები მძულს. ვერ ვიტან მათი ლაპარაკის, ჭამის მანერას, მათ აქცენტს, იმას, რაზეც ლაპარაკობენ, ვერაფერს... ყველაფერი მეზიზნება.

რასისტი ვარ.

თუმცა მათთვის ცუდის გაკეთება არ მინდა. არ მინდა საკუთარ ქვეყანაში მათი გაყრა. უბრალოდ, მათი დანახვა არ მინდა.

მე მოლაღატე ვარ, დედ-მამის მოლაღატე. კაცობრიობის სირცხვილი ვარ. სიკვდილს ვიმსახურებ... მაგრამ არ ვკვდები. ალბათ, ეს ფაქტიც დასტურია იმისა, რომ შენ არ არსებობ...

ხანდახან ვფიქრობ, რომ რაკი არაბებს ვერ ვიტან და თვითონ არაბი ვარ, ეს ნიშნავს იმას, რომ საკუთარი თავი მძულს. თუ რამე ჩემში არ მომწონს, ეს არის ის, რომ არაბი ვარ.

მძულს ჩემი სახელი. ალალ, ეს ხომ ვულგარულია. ლუბნაც უშნოა. კარგი იქნებოდა, მელისა მრქმეოდა, ოსეანი ან კაროლინა.

რასისტი წელს გავხდი, კოლეჯში.

ჩემ კლასში ოცდახუთი მოსწავლიდან თოთხმეტი არაბია. დაწყებითში ისინი მეტნი იყვნენ, მაგრამ მაშინ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი.

კოლეჯში ყველა თავის წარმოშობაზე ლაპარაკობს, განსაკუთრებით — ბიჭები...

ისინი საფრანგეთში დაიბადნენ, მაგრამ შეგნებულად ლაპარაკობენ აქცენტით და არაბული სიტყვებით, რადგან ხაზი გაუსვან საკუთარ წარმოშობას. ამით ამაყობენ. მე ისინი მეზიზნება. კლასში ყველა-ნი უვიცები არიან. არაფერს აკეთებენ და იმათაც აწუხებენ, ვინც კარგად სწავლობს. თითქოს, არაბობა მათთვის ნიშნავს იმას, რომ არ უნდა ისწავლონ. თუ რომელიმე მასწავლებელი მათ უხეშვანს მისცემს, მაშინვე რასისტად აღიხადებენ. მათ მიაჩნიათ, რომ სწავლაზე თავი არ უნდა შეინუხონ, რადგანაც სამუშაოს მაინც ვერ იმოვნებენ, ნეტავ, რა ესმით?!

რადგან კარგად ვსწავლობ, ამომიჩემეს, მუდმივად დამცინიან. როცა მასწავლებლის კითხვებს ვპასუხობ, ცდილობენ, შემარცხვიონონ, სულელად გამომაცხადონ...

ყველაზე ცუდი ისაა, რომ კოლეჯთან ახლოს ვცხოვრობ. თორმეტიდან ორ საათამდე ისინი ჩემი სახლის შესასვლელთან მელიოდებიან.

ჯერ მხოლოდ თორმეტი წლის ვარ, მაგრამ მკერდი უკვე მეტყობა. ჩემი პატარა ძუძუები უკვე სიცოცხლეს მიმწარებენ, ისინი ხომ ბიჭების ყურადღებას იქცევენ. როცა სახლში ვბრუნდები, ბიჭები ლიფტს აჩერებენ და ხელებს მკერდსა და თეძოებზე მიფათურებენ. ეს მხოლოდ რამდენიმე წამს გრძელდება, სანამ ლიფტის კარი დაიხურება, მაგრამ ამ დროს რომ იარაღი მქონდეს, ალბათ, ცოცხლები ვერ გამასწრებდნენ.

ლიფტის მოსვლამდე თავს, როგორც შემოდის, ვიცავ: ვილანდლები, ვიკანტები, ვიკანტები — ვცდილობ, სათესლეებში ვუთავაზო... ბუნებით პაციფისტი ვარ, მაგრამ არა ლაჩარი. ისინი ბოლომდე მეტრძვიან.

მათი ლანძღვა ლიფტშიც მესმის, ფეთხუმს და კახას მინოდებენ.

ჩემი მკერდი მეზიზღება, ნეტავ, რაში მჭირდება!

რას არ მივცემდი, მკერდი რომ არ მქონოდა და ისევე შემძლებოდა მათსურის გახდა ზაფხულის სიცხეში, როგორც ეს ბიჭებს შეუძლიათ...

სამართალი არ არსებობს! ვინ გადანყვიტა, რომ გოგოების მკერდი გამომწვევი ყოფილიყო, მაშინ, როცა ბიჭების მკერდი არავითარ პრობლემას არ ქმნის?!

ბიჭების საქციელზე თანაკლასელ არაბ გოგოებთან ბევრჯერ მილაპარაკია, მაგრამ მათ ჩემი არ ესმით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბიჭებივით ბრყვიები არ არიან. ისინი კარგადაც სწავლობენ და თავიანთ ძმებსა და მშობლებსაც ემორჩილებიან. როცა ბიჭები სახლიდან გადიან, სახლში რჩებიან და შრომობენ.

ჩემი მშობლები განსხვავებულად არ მექცევიან, იმიტომ, რომ ქალი ვარ, არც მკაცრად მეპყრობიან იმის გამო, რომ კარგად ვსწავლობ. მიმარჩიან, რომ სახლიდან გასვლის უფლება უნდა მქონდეს. თუმცა ამის სურვილი დიდად არ მაქვს. ვერ ვხვდები, რა უნდა ვაკეთო ღამე გართ? იმასაც ვფიქრობ, რომ იგივე უფლებები უნდა მქონდეს, რაც ბიჭებს აქვთ — მჯერა, რომ მამას ამაზე დავიყოლიებ.

მშობლები უნდა აღვზარდოთ, ამაზე გამუდმებით უნდა ვიმუშაოთ.

ხანდახან თანაკლასელ გოგონებს ვეუბნები, რომ თუ ყველანი ერთად დავდგებით, ამ ბრყვი ბიჭებს კისერს მოვუგრებთ, მაგრამ ვერაფერს ვაღწევ. უფროსი ძმები მათ აკონტროლებენ, უყურებენ, როგორ იცვამენ ისინი, ვის ხედებიან და სახლში როდის ბრუნდებიან. ჩემი ძმები პატარები არიან: ექვსის და რვის. თან ძალიან კარგები არიან, ამ მხრივ პრობლემა არა მაქვს.

როცა ჩემი თანაკლასელი გოგონების ძმებისადმი უსაზღვრო მორჩილებას ვხედავ, ჩემთვის ვფიქრობ, რომ მათთან საერთო არაფერი მაქვს.

მოგვიანებით ისინი არაბ ბიჭებზე დაქორწინდებიან, ბევრ არაბ ბავშვს გააჩენენ და ჩადრს ჩამოიფარებენ. ალბათ, უბნის არაბ დედებს დავემსგავსებებიან.

ჩადრიანები სულ უფრო და უფრო გამრავლდებიან.

საბედნიეროდ, დედაჩემი ჩადრს არ ატარებს, მაგრამ არავინ იცის, მერე რა იქნება.

ხანდახან მეშინია, ერთ დღესაც სხვებს არ დავმსგავსოს. ეს საშინელება იქნება, სახედაფარული დედაჩემი... ერთხელაც რომ მოუნდეს, მეც ჩადრით ვიარო... არა, ეს არასოდეს მოხდება, სადმე გავიქცევი და სახეს არასოდეს დავიფარავ. ჩემ გარეგნობაში ყველაზე მეტად თმები მიყვარს. გრძელი ხვეული თმა მაქვს, ნაბლისფერი, ცოტა ნითური ვიცი დაკრავს. ზოგი ფიქრობს, რომ ინი თვიღებავ, მაგრამ არა, ეს ჩემი ბუნებრივი ფერია.

ღმერთო, უნდა გამიგო. რასისტი იმიტომ ვარ, რომ არაბობა ყელში ამომივიდა.

იმათთვის, ვისაც ფრანგი მშობლები ჰყავთ და ფრანგული იმიჯი აქვთ, ყველაფერი უფრო ადვილია. მათ არ სჭირდებათ თავიანთ წარმომავლობაზე ლაპარაკი. ისინი კითხვებს არ სვამენ. ისინი წარმოადგენენ საფრანგეთს, საფრანგეთის რევოლუციას, ვიქტორ ჰიუგოს.

მეც მინდა, ფრანგი ვიყო. ამას ვიმსახურებ — თვალებს დავხუჭავ თუ არა, მესმის და ვგრძნობ ბასტილიის აღებას, „ჟედე პომის“ ფიცს, რობესპიერის დამსხვრეულ ყბებს. ეს ჩემი ისტორიაა. მე ვტირი, როცა ვიქტორ ჰიუგოს პოემიდან ან

თუნდაც, „სირანო დე ბერჟერაკიდან“ ციტატებს ვკითხულობ.

წარმოშობით ალჟირიდან ვარ. ალჟირელის დანახვაზე ხალხი ფიქრობს იმიგრანტების მიერ წართმეულ სამუშაოზე, გარეუბნის ცუდ ბიჭებზე, ტერორისტებზე, გაუპატიურებულ გოგოებზე, მკვლელებზე.

საუკეთესო შემთხვევაში, ფიქრობენ ზიდანზე და სპორტის საშუალებით ინტეგრაციაზე. მაგრამ მე არ მიყვარს ფეხბურთი. ღმერთო, მე არ ვარ მორწმუნე და ამიტომაც ჩადრს, იმამს და ბენ ლადენს ათასწლეულები მაშორებენ.

წლების განმავლობაში მონმე ვარ იმისა, თუ როგორ იმართლებენ ჩემი მშობლები თავს თავიანთი წარმოშობისა და რელიგიის გამო.

ღმერთო, პატარაობიდანვე მიყვარდა მშობლების ყურება, როცა ლოცულობდნენ. როგორ ჩურჩულებდნენ თვალდახუჭულნი, კონცენტრირებულნი, როგორ იხრებოდნენ, დგებოდნენ, როგორ იყრიდნენ მუხლს შენს წინაშე. ეს ღამაზი სანახავი იყო.

ოთხი წლის წინათ მამაჩემი შემთხვევით



გადაურჩა სიკვდილს. ვილაცამ საფულის წართმევის მიზნით, ქუჩაში დანაგაყარა. დანამ ფილტვსა და ღვიძლს შორის გაიარა. რამდენიმე მილიმეტრიც და მკვდარი იქნებოდა. ოპერაცია დასჭირდა. მთელი დღე შიშით ველოდი შედეგს. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. მამამ საჩივარი შეიტანა. პოლიციამ საქმეს ანგარიშის გასწორების სტატუსი მიანიჭა. მამაჩემი გაჩუმდა, მაგრამ მის თვალებში დამცირობამ, სასწრაფო კვებამ და აგრესიამ დაისადგურა. ის კაცი, ვინც დანაგაყარა, ადრე არასოდეს ენახა. ეს იყო მკვლელის მცდელობის ტიპური შემთხვევა! მამაჩემმა აღმოაჩინა ის სიმართლე, რომ თუ ერთი არაბი მეორეს სასიკვდილოდ განიგებებს, ეს არავის ადვილდება და ამას ანგარიშსწორების კვალფიკაცია ეძლევა!

ღმერთო, ჩემს მზარდ მკერდთან, ჩადრიან დედებთან და ბევრ სხვა რამესთან ერთად, წლიურს გავაცნობიერე, რომ უამრავი არაბი მძულს. ადრე გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ისინი ისეთივენი იყვნენ, როგორებიც ჩემი მშობლები, და ყოველ ჯერზე, როცა ჩემი მშობლები იტანჯებოდნენ თავისი წარმოშობის გამო, მეცოდებოდა ყველა არაბი.

მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ უამრავი რეგენი არაბი არსებობს და მათი სისულელეების გამო პასუხს ხშირად ჩვენ ვაგებთ. ყოველ ჯერზე, როცა არაბი იპარავს, ძალადობს ან ცუდად იქცევა, ჩემი მშობლები ზარალდებიან.

ყველაზე საშინელი იყო, როცა აღმოვაჩინე, რომ ჩემ კლასელ არაბებს ეზიზღებოდათ ებრაელები და ზანგები... ჩემი მხრიდან, მე ისინი შევიზიზღე და რასისტი გახვდი.

ვერ ვიტან იდეას ასიმილირების შესახებ იმ ხალხთან, ვინც არ მიყვარს. ფრანგებს

არ ესმით, რომ რეგენი არაბების არსებობა, უპირველესად, გვაზიანებს დანარჩენ არაბებს.

ჩემი სულელი თანაკლასელები არა მარტო გვიფუჭებენ იმიჯს, არამედ თავს იმ უბედური ისტორიების მსხვერპლადც წარმოაჩენენ, რაც სინამდვილეში არც ყოფილა. რასიზმის უბედურება ჩვენმა მშობლებმა იციან, ჩვენ — არა. ერთხელ თავი ვერ შევიკავე და მურადს გაკვეთილზე ვეჩხუბე. გაკვეთილის თემა იყო მეორე მსოფლიო ომი და ებრაელების გაჟლეტა. წყობიდან გამოვედი, წარმოვიდგინე დახოცილი ებრაელი ბავშვები და განადგურებული ოჯახები. მთელი გულით ვტიროდი, ვამბობდი, რომ იგივე მოხდებოდა, თუ საფრანგეთის პრეზიდენტი ლე პენი გახდებოდა. მაშინ მურადმა მითხრა: „რად ებრაელებზე ტირი, ჩვენც ხომ გადავიტანეთ კოლონიალიზაცია!“ მურადი ხომ ყველა სისულელეს იმეორებს, რასაც გაიგებს.

სიმართლე ისაა, რომ მე და მას კოლონიალიზაცია არ გვინახავს.

კოლონიალიზაცია მამაჩემმა ნახა, როცა პატარა იყო! მამამისი და მისი შვილი ბიძა ფრანგებმა განუკითხავად დახ-

მომიდგენია, მამამ მაიძულოს არაბზე დაქორწინება, ამაზე არასოდეს გვისაუბრია, იგი ისეთი კარგია, თანაც ძალიან ვუყვარვარ...

მიუხედავად ამისა, ეს საკითხი მანუხებს, ამას ნამდვილად ვერ გადავიტან. ეს საშინელება იქნება...

არავითარი სურვილი არა მაქვს, მუდმივად ვიცხოვრო იმ ხალხთან ერთად, რომელიც მე ასე მგავს, ხალხთან, რომელიც ჩემთან ერთად ზემოთს რამადანს და ზაფხულობით ალჟირში დადის...

ეს ნიშნავს იმას, რომ ჩემი დარჩენილი ცხოვრება ბავშვობას დავემსგავსებ...

ღმერთო, მე მიყვარს დედაჩემის მკლავებში ყოფნა, მიყვარს მამაჩემის სხეულის სითბო, მიყვარს მისი სიცილი, როცა ხელში ამიყვანს და დამაბზრიალებს, როცა მშენებლობიდან ქანცგანყვეტილი ბრუნდება.

ჩემი ბავშვობა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს უკან დამრჩა. გაზრდა მეჩქარება, მშვენიერი სიურპრიზების მოლოდინი მაქვს.

მინდა, მსოფლიო გავიცნო! სხვაგან მინდა, ვიცხოვრო. მინდა, ვიმოგზაურო, გავთხოვდე ებრაელზე ან იაპონელზე, ან

თუნდაც ფინელზე... როცა ვხატავ, ძალიან მიყვარს ფერების შერევა: ვიღებ მზისფერ ყვითელს და მუქ ლურჯს, ფუნჯით ერთმანეთში ვურევ და ვიღებ კამკამა მწვანეს. ეს მაგიური პროცესია.

მინდა, რომ ჩემი შვილებიც შერეულები იყვნენ.

ღმერთო, სიმართლე ისაა, რომ კათოლიკე რომ ვიყო, კათოლიკეებს აუცილებლად შევიძულედი, ებრაელი რომ ვიყო — ებრაელებს, ბუდისტი რომ ვიყო, ბუდისტები შემჯავრდებოდა, რადგან ბუდისტებშიც ბევრია რეგენი.

სიმართლე ისაა, რომ მე ფრანგი ვარ, ფრანგი ვარ და მორჩა. ვისურვებდი, რომ არაბები აღარ მელაპარაკონ არაბულად, რადგანაც მე ფრანგულად ვლაპარაკობ.

აგრეთვე, მინდა, რომ ფრანგებმა შენყვიტონ ჩემ წარმოშობაზე ლაპარაკი, აღარ მკითხონ, რას ვფიქრობ ისლამზე, რადგანაც მასზე არაფერს ვფიქრობ.

ღმერთო, თავს უკეთ ვგრძნობ, შენ რომ გელაპარაკე, თუმცა არ გამიბრაზებ, ისეთივე ურწმუნო დავრჩი, როგორიც ვიყავი.

შენი რომ მწამდეს, ღმერთო, ალბათ, ნაკლებ ვიდარდებდი იმაზე, რომ ცხოვრებას ერთსა და იმავე ადგილას ვატარებ, ერთი და იგივე ხალხის გარემოცვაში, ამიტომაც სიკვდილის შიში არ მექნებოდა.

მაგრამ რა ვქნა, შენს რწმენას ვერ ვახერხებ და მეშინია, ქვეყნიერების უნახავი არ მოვკვდე.

სურვილი არ მაქვს, გთხოვო, რომ სამყარო შეცვალო, რადგანაც ჩემმა მშობლებმა ეს უკვე გთხოვეს და შენ არაფერი გააკეთე. მე იმის უფრო მწამს, რომ უშენოდ გავიგნებ გზას. არ გამიბრაზდე!

კოედი

ლია ლიქოკელი

ლიტერატურას (კარგ ლექსს, ნოველას, მოთხრობას, რომანს...) ყოველთვის თან სდევს ემოციები. მანამდე უხილავ და შეუცნობ სამყაროში იძირები და სხვა გრძობებით ივსები. თითქოს იცვლები და გიკვირს — ასე რომ ვერ ხედავდი, არ გესმოდა, ვერ ამჩნევდი...

ვმლი წიგნს და სისადავე, სინამდვილე მხილავს. ვფურცლავ და არანაკლები შეგრძნებები მეუფლება. მონუსხული ვარ. ის მოქმედებს ჩემზე, ერთ რიგით მკითხველზე, და თავის პოეტურ ლაბირინთებში მითრევს.

ასე ლია ლიქოკელის კრებულმა აღმადგინოვანა. წიგნმა, რომელმაც ავტორს „საბა 2014“-ის ლაურეატის წოდება მოუტანა.

— თქვენი ლექსების მკითხველს მრჩება შთაბეჭდილება, რომ სავესე, მდიდარი შინაგანი ცხოვრება გაქვს. თქვენს ფიქრთან, წარმოსახვასთან უხილავ ცხოვრებაში დულს და გადმოდულს ყველაფერი. ამიტომაც გთხოვთ, თქვენს ფარულ ბიოგრაფიაზე, გამოცდილებაზე მელაპარაკოთ.

— ფარულ ბიოგრაფიაზე? საინტერესოა. მოსაწყენი და ჩვეულებრივი ცხოვრება მქონდა, ყოველგვარი ამბებისა და თავგადასავლების გარეშე. არ ვიცი რატომ, მაგრამ ბავშვობიდან მოყოლებული მსაყვედურობდნენ — ბევრს ფიქრობ, ზედმეტად განიცდი ყველაფერსო. განცდა და ბევრი ფიქრი, მერე აღმოჩნდა, არც ისე ცუდი ყოფილა, იმიტომ, რომ საინტერესოს ხდის ცხოვრებას. ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოვლენა თუ ამბავი, სინამდვილეში, უმნიშვნელო სულაც არ არის, ერთი ადამიანიც არ ჩაგვივლის გვერდზე, ისე, უბრალოდ. ყველაფერი მამახსოვრდება. დრო რომ გადის, ყველაფერი ეს გროვდება, გროვდება და მერე აუცილებლად ყვები. ასეც მოხდა. ერთ დღესაც ჩემი ცხოვრების მოყოლა დავიწყე.

— მიკვირს, „დევის ცოლის სიცილი“ თქვენი სადებიუტო წიგნი რომ არის და წერა გვიან დაიწყეთ, რადგან ლექსების გარეშე ვერ წარმოიდგენიხართ. იქამდე, იმ ტექსტებამდე, სანამ თქვენს ამბებს მოყვებოდით, რა ხდებოდა?

— ბავშვობაში ლექსებს ვწერდი. მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. ამბობდნენ, გამოგდის და შეიძლება, წეროო. მაგრამ ის სულ სხვანაირად მოყოლილი ამბები იყო, რომელთაც არც ვინახავ. სკოლის დამთავრების შემდეგ კი თითქმის აღარ დამინერია, თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ მცდელობას. არაფერი გამოვიდა, ვერ ვყვებოდი, ვერ ვამბობდი. ასე გაგრძელდა დიდხანს. აქედან გამომდინარე, ჩემს ცხოვრებას ვყოფ ორ ნაწილად — 25-26 წლამდე და მერე, როცა გამიჩნდა პირველი ნამდვილი ლექსი.

რეალურად, რა თქმა უნდა, ლექსებამდე რაც ვიყავი, იგივე ვარ. ლია ლიქოკელი, რომელიც არ წერდა და რომელიც წერს, ერთმანეთისგან არ განსხვავდება. რომც არაფერი დამენერა, არაფერი შეიცვლებოდა ჩემს შინაგან ცხოვრებაში. ისევე ვხედავ, ისევე განვიცდი ყველაფერს და წარმოსახვაში კარგად განვიმუხტები ხოლმე. რეალურ ცხოვრებაზე ბევრად მდიდარი წარმოსახვა მაქვს და ესეც მყოფნის. როცა ვივსები, ვიწყებ წერას. უამისოდ ცუდად ვხდები. შეიძლება, მართლა ავად გავხდე, თუ ჩემს თავზე აღარ მოვყვები. მინდოდა, მელაპარაკა, მეთქვა სხვებისთვის, როგორ ვიყავი, რა ხდებოდა. მერე აღმოჩნდა, რომ საკუთარ ენას მივაგენი. როცა მივხვდი, როგორ და რა ფორმით უნდა მომეთხრო, გაადვილდა წერა. ეს არის ჩვეულებრივი ლაპარაკი, ლაპარაკი დანარჩენ სამყაროზე. აღმოჩნდა, რომ პოეზია უნივერსალური ენაა და ხშირად, ის უკეთესით ადამიანებს. შენი ამბები, თუ მათ ლექსებად დანერ, უფრო გასაგები, ცხადი ხდება. უცნაურია, მაგრამ ასეა.

— არაერთი ავტორი ვიცი, ცხოვრებისა და ტექსტების გამიჯვნას რომ ემხრობა. ისიც უთქვამთ, მინდა, ჩემი ბიოგრაფია და ტექსტები დავაშორო ერთმანეთს, საკუთარ თავს ვავცდო. ვერ წარმოიდგენია, როგორ შეიძლება, შემოქმედება შინაგანი ცხოვრებიდან არ იკვებებოდეს. სხვანაირად, როგორ მოყვებოდით იმას, რაც არ გაგივლიათ. ასეა?

— ასეა. თუ პოეზიაზე ვსაუბრობთ, ავტორების უმეტესობა იგივეს გეტყვით — ლექსი შენს თავზე კი არა, შენი თავის მოყოლაა. ზოგჯერ მეც დამინერია ამბები — ძირითადად, სიუჟეტებიანი ლექსები მაქვს — სხვისგან აღებული, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან თითქოს მე ვიცხოვრე. სიღრმეში ყველა ადამიანი

ერთი ვართ, ერთი ძარღვი გვაქვს. ასე რომ, სხვების ცხოვრება ჩემიც ხდება და საკუთარივით მომიყოლია. იღებ, შენი გაათარებ და უკვე პირად გამოცდილებაზე დაფუძნებულს ჰყვები.

— ფორმასა და ენაზე მინდა, გკითხოთ. ის ძალიან თქვენია, მკითხველს არავისში აერევით. ძიების, ექსპერიმენტების შედეგად მიაგენით მას?

— სრულებით არა. ასე წერა არავის გამო დამინყია. ეს ინტუიციით მოდის ხოლმე. თვითონაც არ ვიცი, რომ ასე დავწერდი. სხვათა შორის, განსხვავდება ლექსების ენაც, ფორმაც იმის მიხედვით,



თუ რას ვყვები, ან როგორი განწყობა მაქვს. გარდა ამისა, ჩვენ ხომ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ძალიან განსხვავდებით საკუთარი თავებისგან, როცა რაღაც სრულდება და ახალი იწყება, ვატყობ ხოლმე, რომ გამოხატვის ენაც იცვლება. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხდება ჩემს თავს. რა ვიცი, მოსაყვლები თავად პოულობენ თავიანთ ენას.

— ჩემთვის თქვენი ლექსის ფორმაც საინტერესოა, უცხოა. ზოგჯერ ვერც ლექსებად აღვიქვამ და ვერც პროზაულ ნაწარმოებებად, თუმცა მათში იმდენი პოეზიაა...

— ვფიქრობ, რომ ჩემი ნაწერები მაინც პოეზიაა, თუმცა ზოგი მათ პროზად აღიქვამს. „დევის ცოლის სიცილზე“ ამბობენ, პოეტური პროზააო, მაგრამ მგონია, რომ სახელის დარქმევა მნიშვნელოვანი არ არის, პოეზია პოეზიაა. სხვათა შორის, ძალიან სასაცილო რამ მოხდა. „დევის ცოლის“ მაგვარი ტექსტები სხვაც მაქვს, მათზე ამბობდნენ, პოეზიას რატომ ეძახით, პროზა არისო. მერე რამდენიმე ლიტერატურულ კონკურსში მივიღე მონაწილეობა, სადაც პროზაული ნაწარმოები უნდა დაგვეწერა და ჩემს მოთხრობაზე თქვეს, ეს პროზაა კი არა, პოეზიააო. კონკურსის ვებგვერდზე, სადაც ფინალისტების ტექსტები იდება ხოლმე, კომენტარებს ვკითხულობდი, სადაც ეწერა, პროზად გასაღებული პოეზია არისო.

რამდენჯერაც მიცდია, დამენერა პროზა, იმდენჯერ გამქცევია. ალბათ იმიტომ, რომ პოეზიის ენით ვწერ, იქიდან ამოვიდვიარ.

— თქვენს ლექსებში ძალიან დიდი განცდაა ბუნებისა, სამყაროსი. იქადაშიანი, მცენარეები, ცხოველები, ბუნებრივი მოვლენები ერთმანეთის ნაწილებია, ერთმანეთთან ჰარმონიულ თანაარსებობაშია. ამგვარი აღქმა, მგონია, რომ ბავშვობიდან მოდის. მომიყვით თქვენს ბავშვობაზე.

— ბავშვობა ხევისურეთში გავატარე. იმ წლების განმავლობაში, შეიძლება ითქვას, ბუნებასთან მეტ დროს ვატარებდი, ვიდრე ადამიანებთან. იქ სახლში, პირდაპირ შენში შემოდის ბუნება, მასთან დისტანცირებას ვერ ახერხებ. აქ კი საგანგებოდ უნდა მიხვიდე, უნდა დაიძაბო, რომ დაინახო ხე,

რომელიც დგას ქუჩაში, ჩაკარგულია. მთაში ცხოველები ოჯახის წევრები არიან, ამინდიც კი ჩვეულებრივი თანამონაწილეა იქაური ცხოვრების. ამ ყველაფერზე ძალიან ხარ დამოკიდებული. ვფიქრობ ხოლმე, ვრჩები წარმართად, რომელსაც სჯერა, რომ ხეს, ჭექა-ქუხილს თუ სხვა დანარჩენს თავ-თავისი ღმერთი ჰყავთ-მეთქი და მომწონს, როცა ასე ვფიქრობ.

ეს მდგომარეობა შენში აღარ იცვლება, ბუნებრივად გრძელდება. მაგალითად, არასოდეს მითქვამს, რა ლამაზი ბუნებაა, რა ლამაზი პეიზაჟია-მეთქი. ამისთვის საჭიროა „გარეთ“ ვახვიდე და იქიდან შეხედო, მე ამას ვერ ვახერხებ, რადგან ბუნება ჩემში გადის, მისგან განცალკევებით თავს ვერ აღვიქვამ. ეს ტექსტებში აისახება ხოლმე. ჩვენ ერთი და იგივე ნაწილაკებისგან შევდებით, ხის სიცოცხლე და ჩემი სიცოცხლე იმაზე მეტად არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული, ვიდრე გვგონია.

— მთიდან რომ წამოხვედით და აქ აღმოჩნდით...

— თავიდან ძალიან მიჭირდა. მაშინ თექვსმეტის ვიყავი. ისე, სხვათა შორის,

„ მკითხველზე არ მიზრუნია “

ყველაფერს ორი მხარე აქვს. ალბათ, გქონიათ შეგრძნება — რაც უფრო მეტი ადამიანია გარშემო, თავს უფრო მარტო რომ გრძნობ. მეორე მხრივ, ბევრ ხალხში თავდაცვითი ინსტინქტი ირთვება, იწყებს მუშაობას და ცდილობ, შენ იყო შენ და შეინარჩუნო თავი. მე მომწონს აქ ცხოვრება. მომწონს სხვადასხვა მიზეზის გამო. თუმცა, მთას ვერასოდეს მოვწყდები და დროდადრო იქ ასვლა ყოველთვის დამჭირდება. იქ ბუნებაში იყლაპები, აქ კი საკუთარ თავს ძალიან გამოკვეთილად ხედავ. ეს მომწონს. რაც უფრო მეტი ადამიანია, მეტი ხმაური და ამბავია, მეტი თავისუფლება გრჩება, სხვანაირი თავისუფლება. ასე რომ, ხმაურს, ხალხმრავლობას და ადამიანებთან ურთიერთობას არ შეუშლია ხელი. ოჯახისგან შორს ყოფნა უფრო გამიჭირდა. ოჯახის წევრებს ძალიან აქტიური ადგილი უჭირავთ ჩემში, ჩემს ლექსებში. არა პიროვნული თვალსაზრისით, არამედ უფრო იმის გამო, რითიც ვებმით ადამიანები ერთმანეთს. დედაჩემისადმი სიყვარულსაც კი ვერ ვიღებ მარტივად, როგორც თავისთავად გრძნობას, თითქოს

რაა ამაში საძებნელი, პირდაპირ და უპირობოდ უნდა მივიღო, მაგრამ — არა, ამასაც ვუკირკიტებ.

— თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტი დაამთავრეთ, მაგრამ პროფესიას აღარ გაყევით?

— ისე მოხდა, რომ დავამთავრე კინოსარეჟისორო, მაგრამ ფილმების გადაღება ვერ მოვახერხე, მხოლოდ — ერთი-ორი საკურსო ნამუშევარი მაქვს, მეტი არაფერი. ჯერ ერთი, მივხვდი, რომ კინო ჩემი საქმე არ არის, ის სხვანაირად აქტიური პროფესიაა და მარტო არ კეთდება, მე კი სხვებთან ერთად მუშაობა ყოველთვის არ შემიძლია. ოთხი თუ ხუთი წელი ვმუშაობდი დუშეთის სახალხო თეატრში, სადაც ოთხი სპექტაკლი დავდგი. ესეც რთული, თუმცა საინტერესო იყო და კარგი გამოცდილებაც მივიღე. მერე ნამოყვები.

— და დაიწყეთ წერა?

— თეატრიდან წამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე დავიწყე, როცა ძალიან გამიჭირდა მუშაობა ცუდ პირობებში. ვგულისხმობ იმას, რომ რაღაცას აკეთებ, შრომობ და თითქოს წყალს მიაქვს ყველაფერი, არც მაყურებელია, არავინ არის, რომ შემოვიდეს შენს სამყაროში. ყვები, მაგრამ მსმენელი არ გყავს. მაშინ მივხვდი, რომ სხვა გზა უნდა მომეძებნა. და ასე მივადექი პოეზიას. შეიძლება, ის რუტინაც დამეხმარა ამაში. გადანყვეტილებამ ძალიან გამიმართლა, ხანდახან დიდ შვებას ვგრძნობ ამის გამო.

— ბევრს მუშაობთ?

— ბევრს — არა, მაგრამ პრინციპში, ვმუშაობ. სხვათა შორის, იშვიათია, რომ დავვდე და ლექსი უცებ დავწერო. ვრცელ ტექსტებზე დიდხანს მიმუშავია. თავიდან ჩნდება იდეა, მერე ამას ვატრიალებ, ვატრიალებ, ჩავინიშნავ, მასალას ვაგროვებ და მერე, ერთ დილას, ვჯდება და ვწერ. დიდწილად ასე ხდება. მაგრამ ძირითადი სამუშაოები თავში მიდის. ემოციურად მძიმე სამუშაოა, იმიტომ, რომ დიდი ენერჯის მობილიზება გჭირდება. უკვე აღვნიშნე, წარმოსახვაში კარგად განვიმუხტები-მეთქი, იქ რომ არ განვიმუხტო და ის ყველაფერი გარეთ ვადმოვართო, ამას სჭირდება მუშაობა, ჩემთვის შრომა ეს არის.

— „დევის ცოლის სიცილი“ თქვენი პირველი წიგნია, თუმცა მკითხველმა მანამდე გაგიცნოთ.


— პერიოდულ გამოცემებში რამდენჯერმე დაიბეჭდა ლექსები. ეს უცებ მოხდა. როგორც კი დავიწყე წერა, რამდენიმე ლექსი დავდე ჩემს ფისბუქგვერდზე, მერე ჩემმა მეგობრებმა მათ გამოქვეყნებაზე იზრუნეს. არ მიფიქრია, რომ ჩემს ლექსებს ვინმე დაბეჭდავდა, რომ მათ ნაიკითხავდნენ. თავად არც ვცდიდი ამას, აზრად არ მომივიდოდა სადმე მიტანა დასაბეჭდად. უჩემოდ გააკეთეს. მოვიდნენ და არიქა, ლექსებიო. ანუ ის პერიოდი არ გამივლია, რასაც გადის ბევრი ავტორი, რომელსაც თავისი ტექსტების დაბეჭდვა უნდა. ყველაფერი ჩემგან დამოუკიდებლად მოხდა და თან ძალიან უცებ. მაშინ ბევრი ლექსი არც მქონდა, ცოტას ვწერდი. მკითხველზე არ მიზრუნია, ამისთვის მადლობა სოციალურ ქსელს.



დასასრული

ინა არჩუაშვილი

ორ პატარა ოთახში



უფრო მეტად დაბეჭავდი და დაავადდი; იმასაც კი მე უნდა მიეხვედი, რომ რაღაცა გტივივ, წამლის დაღვევაც მე უნდა შეგახსენოდა ისიც, ცოცხალი რომ ხარ!

რატომ ხარ ასეთი ეგოისტი, სხვა რატომ არ გეცოდება? იცი, როგორი დამლელია ეს შენი ჩუმი სიჯიუტე? მამაჩემიც მაგან დალაღა. გვიან დაფიქრდი იმაზე, რომ იმ საწყალი ბავშვის სიკვდილის შემდეგ შენ მასთან, ალბათ, აღარც წვებოდი და თქვენი კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იქნებოდა. არადა, ჯერ როგორი ახალგაზრდები იყავით! თითქმის ჩემხელები. ხო ასეა? თქვი, ნუ გრცხვენია, მე უკვე „დიდი გოგო“ (მკვეთრად) ვარ და შეიძლება ასეთ რამეებზე ჩემთან ლაპარაკი. ხო მორჩილი ცოლი იყავი, რატომ არ წვებოდი? მამაჩემი დიდი მორწმუნე არასოდეს ყოფილა, მაგრამ სიცოცხლე უყვარდა და ცხოვრების გაგრძელება უნდოდა, შენ კიდევ ამის საშუალებას არ აძლევდი. ჩვენც ისე გვექცეოდა, როგორც მიზარებულ სხვის შვილებს ექცევიან — უსიყვარულო „კეთილსინდისიერებით“ (მკვეთრად) გვივლიდი — გვაჭმევდი, გვასმევდი, გვირეცხავდი, გვიუთობდი, გვასწავლიდი... თითქოს დედა კი არა, მოახლე იყავი. მე შენი ერთი მოფერება და გულზე მიხუტებაც კი არ მახსოვს! არც ერთი! (ყველამ ტირილი მოეხვეინება)

(შვილი ისევ ფანჯარაში იყურება. დედას ლოყებზე აქვს შემონწყობილი ხელები, თითქოს სახეს იხოკავსო და დატანჯული სახით უაზროდ იყურება)

ან საერთოდაც, თუ მართლა ასეთი აუტანელი იყო მასთან ცხოვრება, რატომ არ გაშორდი? როგორ აძლევდი იმის უფლებას, რომ ხელი შეგხებოდა? ვის ეწირებოდი, შვილებს? ოჯახს? და შენ თვითონ სად იყავი ამ დროს, შენ ადამიანი არ იყავი? შენი თავი არ გეცოდებოდა? რატომ, რისთვის? (პაუზა) როგორ მახსოვს თქვენი ჩხუბების დროს შუაღამისას ლოგინში ჩვენი გასუსული წოლა და კანკალი! რამდენჯერ მთელი ღამის უძილოები და ნამტირალევეები, თვალბდასიებულიები წავსულვართ დილით სკოლაში! (პაუზა)

დედა — (მაგიდაზე დაყრდნობილი იდაყვებით და თავი ხელებში აქვს ჩარგული იქიდან იტყვის) ეხლა ის აღარ არის ცოცხალი და ყველაფერში მართალია! მასე გჯეროდეთ, მე გამიხარდება, არ მენყინება. (ბოლო სიტყვებს უკვე ჩუმი ტირილით იტყვის, ძლივს გასაგონად)

შვილი — მე არ ვამბობ, რომ მართალია, მე იმას ვამბობ, რომ მამაჩემსაც ჰქონდა თავისი სიმართლე, ის ცუდი ადამიანი არ ყოფილა და ეს შენ ჩემზე კარგად იცი! უბრალოდ, უკეთესად შეიძლება, გეცხოვრათ — თქვენც, ჩვენც, ყველას! ხელი დამიდე ერთი, სიკვდილი და უბედურება რომელ ოჯახში არ არის, მაგრამ ადამი-

ანები ცხოვრებას აგრძელებენ, იმიტომ რომ...

(ამ დროს სიჩუმეში უსიამოვნოდ გაისმის ქალიშვილის მობილურის რეკვის ხმა. ძმა ურევავს)

შვილი — ამან კიდევ, შეარჩია დარეკვის დრო! (პაუზა) ხო, როგორა ხარ? (ცდილობს, ხმაში გალიზიანება არ შეეცყოს) ჩვენც არა გვიშავს, ვართ რა! არა, არაფერი არ გვინდა. წამოსვლას ვაპირებ იმ კვირაში. დახმარება თუ გინდა, დედას დაეხმარე, მე არაფერი არ მინდა. როგორ უნდა იყოს, (ხმას აუნევეს უცებ და გალიზიანებას ვეღარ ფარავს) როგორც ყოველთვის, სულ რაღაცა სტიკია და სულ მალავს. (თან დედისკენ იხედება) ან მე რატომ მირეკავ, დაურეკე თავის ტელეფონზე, იქ მოიკითხე და გეტყვის როგორც არის. პა-პა, (ირონიულად იცინის, ნაძალადევა) ესე იგი, მე ვარ ოჯახის უფროსი, როგორ გამაიცინე, მაგარი „უფროსი“ ვარ, ხო! არა, არა, მართლა არაფერი გვინდა. რას ვჭამთ და, რასაც ყველა საშუალო ოჯახი — ჩაი, კარაქი, მაკარონი, ნიწიბურა, კარტოფილი, კვერცხი, ხანდახან ქათამი და თევზი. არ დავიხოცებო, ნუ გეშინია. ესე იგი, არ დაელაპარაკები დედას? კარგი, როგორც გინდა. შენც მომიკითხე ბავშვები. კარგად.

დედა — რაო, როგორ არიან? (გამოცოცხლებული ხმით)

შვილი — (დედისკენ შებრუნდება, ისევ წამიერად) რა ვიცი, კარგად ვართო. ყველა კარგად არის, მარტო მე ვარ დანევროზებული. ალბათ, უკვე გიჟი გგონივართ. (დედა ამ დროს მაგიდაზე

მდგარი პატარა თევზიდან ორცხობილას ნაჭერს იღებს, ხელში ამტვრევს და ნატყხს პირში იღებს. ხრამუნის ხმა მთელ ოთახში გაისმება)

შვილი — (იმ წამის მობრუნებული, ისევ უცებ, ხისტად შეტრიალდება დედისკენ, თითქოს საცა უნდა წამოხტესო) აი, ეგ მაღიზიანებს კიდევ, მე რომ აქვე ვზივარ და შენ კიდევ ყურის ძირში მიხრამუნუნებ.

დედა — (მორჩილად, ორცხობილათი სახე პირით) ისე, მექანიკურად ავიღე, რა მეორცხობილება, კარგი, აღარ შეეჭამ. (და ყებებს აღარ ამოძრავებს, რომ ხმა აღარ გამოცხვს)

შვილი — (თვალს დამნაშავესავით დახრის და ფანჯრისკენ ბრუნდება. უკვე დაღლილი, მოშვებული, შერბილებული ტონით) ჭამე, მაგრამ ნუ ახრამუნებ. ან სად გაქვს ნეტავ მაგის კბილები. (პაუზა) ...და საერთოდაც, აქამდე როგორ ვერ მივხვ-



ნიგნი კი „საუნჯემ“ გამოსცა. მარიამ ნიკლაურმა მიპოვა, აღმომაჩინა, ასე ვთქვათ, და ლიტერატურული დედის როლი შეასრულა. მაშინ ის „საუნჯემი“ მუშაობდა, ნიგნის რედაქტორიც თავად იყო.

— რომელიაღც პერიოდულ გამოცემაში წავიკითხე თქვენი ინტერვიუ, სადაც ისე ლაპარაკობდით ერთი უცხოური რომანის პერსონაჟზე, თითქოს ცოცხალი, რეალური ადამიანი ყოფილიყო. როგორი მკითხველი ხართ?

— ახლა უკვე ისეთი მკითხველი ვარ, რომელსაც არ უყვარს შეცდომები ნიგნებში.

— როგორი შეცდომები?

— თუ ნიგნი საინტერესო არ არის, მას უბრალოდ აღარ ვკითხულობ. ბევრი ნიგნი გადამიდია ამის გამო. არ მიყვარს, როცა იტყუებები, თუნდაც ნაწერი მხატვრული ოსტატობის ნიშნად იყოს. გულწრფელობასა და მწერლურ ოსტატობას შორის, ჩემთვის, განმსაზღვრელი მაინც გულწრფელობაა ნაწარმოების შეფასებისას. ლიტერატურის თეორეტიკოსები, ალბათ, ამგვარ დამოკიდებულებას არ იზიარებენ, მაგრამ ჩემი, როგორც მკითხველის, საზომი ეს არის. ბავშვობაში ინტენსიურად ვკითხულობდი. დანებებული საბჭოთა საბავშვო რომანებიდან, ყველაფერი მაინტერესებდა. მყავს მუდმივი ავტორები, თუმცა, ზოგადად, არასოდეს მქონია განსაკუთრებული მიჯაჭვულობა და ფანტიკური სიყვარული ვინმეს მიმართ. მა-

რადიული ავტორი ჩემთვის არის ფოლკნერი, რომელიც, მგონია, რომ ისე ყვება, როგორც მე ვყვები, ანუ იქიდან იწყებს მოყოლას, საიდანაც მე. მასში არის პოეზიის მომენტი და მის მიმართ ემოციური დამოკიდებულების მიზეზი, ალბათ, ეს არის. თომას მანზე სხვა განწყობა მაქვს, ნაკლებად ემოციური, უფრო — სიმპათია და სიყვარული.

— ახალგაზრდა ქართველ ავტორებს კითხულობთ?

— მგონია, რომ პოეზიაში ძალიან საინტერესო ავტორები არიან, მათ შორის, ეკა ქვენიშვილი, თეა თოფურია. საერთოდ, ქალი ავტორები სხვანაირად მიყვარს.

— რა განსხვავებაა ქალ და მამაკაც ავტორებს, ან მათ ტექსტებს შორის?

— ქალი ავტორები ამბების გამო მიყვარს. ქალი და კაცი განსხვავებულად კი არ ვნერთ, უბრალოდ, ჩვენ სხვადასხვა მხრიდან ვყვებით სამყაროს. მაგალითად, მომწონს, რომ პოეზია ცხოვრებასთან ძალიან ახლოს მივიდა, მომწონს, რომ შემოიძლია, მოვყვე გოგოურ ამბებზე. შეიძლება, ვილაცამ იკითხოს, რა არის ეს გოგოური ამბებიო, მაგრამ სინამდვილეში არის, ეს უსუსტადაც ჩემი ამბებია და სწორედ ასე უნდა მოვეყვ. ისინი არაფრით ჩამოუვარდებიან ზოგადსაკაცობრიო ამბებს, იმიტომ, რომ ჩვენც კაცობრიობის ნაწილი ვართ, თითოეული მთელ სამყაროს ვიტევთ და მას ჩვენი თავიდან ვყვებით; რომც არ გინდოდეს და არ ცდილობდე,

მაინც იმას მოყვები, რაც არსებობს, რაც შენ დაბადებამდე არსებობდა და მერეც იარსებებს.

— „საბას“ დაჯილდოვებაზე სიმბოლური იყო თქვენი კაბა ლიტერატურული პერსონაჟის გამოსახულებით. პეპის რაღაცით ჰგავხართ ჩემთვის — ის განწყობა მოგაქვთ — სახლის და საინტერესოს მოლოდინის.

— შემთხვევით მოხდა ასე. ეს კაბა მქონდა და მაშინვე ვიფიქრე, ამას ჩავიცვამ მეთქი. ლიტერატურულ ღონისძიებაზე მივიდიოდი, პეპი კი ლიტერატურული პერსონაჟია და თანაც, რა ვიცი, თავისუფლების სიმბოლოა ჩემთვის. ლიტერატურაც თავისუფალი უნდა იყოს. არ მიყვარს ლიტერატურის დაყოფა მიმართულებებად, ფანრებად, უფრო სწორედ — მნიშვნელობის მინიჭება ამისთვის. ზოგადად, თეორიები არ მიყვარს და ის წესები, რომელსაც გიდგენენ, — აი, შენ ისე კი არა, ასე უნდა დაწერო. თავად თუ მომწონს, გარედან რა როგორ ჩანს, არ მაინტერესებს და არც მეხება.

— „საბას“ გამარჯვებულად რომ დაგასახელეს და სცენაზე ახვედით ჯილდოს მისაღებად, თქვენს მშობლებს მიესალმეთ. ჩამრჩა ის მისაღება. როგორები არიან თქვენი მშობლები?

— ძალიან თავისუფალი მშობლები მყავს. ყოველთვის ჩემ გვერდით არიან, რაც უნდა მოხდეს. რომ მეთქვა კოსმონავტი უნდა გავხდეთ-მეთქი, კი, შენ ეს შეგი-

დი, რომ ზამთარში აქ ჩემი ორ კვირაზე მეტხანს ჩამოსვლა არ შეიძლება. ორი კვირაზე ბევრია.

დედა — (ახლალა გადაყლაპავს პირში ჩამბალ ორცხობილას) შეიძლება, როგორ არ შეძლება, უბრალოდ, მე უნდა გავიდე ხოლმე სახლიდან სადმე, მე-ზობლებში, მალაზიაში, რომ ცოტა ხნით მაინც მარტო დარჩე. შენ მარტოობას ხარ მიჩვეული. მე მაგდენს ველარა ვსაზღვრავ, რა ვქნა, ველარ ვაზროვნებ, გეთქვა აქამდე.

შვილი — ხო, შენ რომ ახლა ფეხს აიდგამ და სიარულს დაიწყებ!

დედა — გავალ ხოლმე, რატომაც არა, აი, როგორც დღეს გავედი ელიკოსთან, როგორც სხვები დადიან ერთმანეთთან, ყავის დასალევად, სალაპარაკოდ, მეც ისე გავალ ხოლმე... მამაშენს რომ არ უყვარდა ჩემი გარეთ გასვლა, ამიტომ ვარ ასე. მივეჩვევი ნელ-ნელა.

შვილი — არა, (მტკიცედ) კვირის ბოლოს კი არა, შუაკვირაშივე წავალ, ოთხშაბათს ან ხუთშაბათს. იქნებ სამშაბათსაც. ორშაბათობით არ მიყვარს მე ზაფრობა.

(პაუზა)
მაპატიე. (უჭირს თქმა, ძლივს ამოღერლავს) ეს ყველაფერი ჩემი ნერვების ბრალია. წავალ და დაისვენებ.

(ხანგრძლივი პაუზა)
შვილი — (მობრუნდება. ცოტა ხანს ასე ზის. მერე ტახტიდან ფეხებს ნელ-ნელა გადმოაწყობს და დგება. დედას გახედავს) ხო მაპატიებ?

დედა — (ღრმად ამოიხრავს, თვალს მოისრეს და გამოხედავს. შვილი თვალს აარიდებს, დგას) მორჩი ერთი, რა გაქვს ჩემი საპატიებელი? კიდევ კარგად მიძლებთ. (პაუზა) ნადი, მართლა მალე ნადი, თუ გინდა, ხვალვე ნადი.

(შვილი მარცხნივ შებრუნდება და კარამდე თავდახრილი მიდის. ისე ალბს და გარეთაც ისე გადის, დედისკენ აღარ გაიხედავს)

(ხანგრძლივი პაუზა)
დედა — (ისევ ზის. ორივე ხელი სახეზე აქვს აფარებული. იქიდან, მოგუდული ხმით ამბობს) როგორ დაგტანჯვე სუყველა ჩემი ძალმომადური ცხოვრებით, რა წყალში გადავარდე, რა ვქნა?!

ძლიაო, მიპასუხებდნენ. მითხრეს კიდევ: „კი, ამას შეძლებ, რეჟისორი გახდები, ნადი და ისწავლე“ და გამომიშვეს. ასე ვცხოვრობ მარტო უკვე 11 წელია.

— ლექსებში ხშირად ახსენებთ მათ...

— მართლაც ასეა. მათ არასოდეს უცდიათ, ჩემგან რაღაც გამოეყვანათ. „შენ თავისუფალი ხარ“ — სულ ამას მეუბნებოდნენ. კარგად მახსოვს, პატარა ვიყავი, ათი წლისა, და დედაჩემმა მითხრა: „აი, კარადა. რაც გინდა, ჩაიცვი“. სხვათა შორის, ამგვარი დამოკიდებულება ადვილი არ არის. არ გინდა, იმედი გაუცრუო, რაღაც არასწორად გააკეთო, თუმცა მათ არასოდეს არაფერი მოუთხოვიათ და არც საყვედური უთქვამთ.

— ახალი ნიგნის გამოცემას როდის აპირებთ?

— ვფიქრობ, შემდეგ წელს. იმ დროისთვის, ალბათ, უკვე მექნება ლექსები. ნიგნს ერთი კარგი თვისება აქვს, მისი გამოცემით რაღაც ეტაპი მთავრდება, ჯამდება, იმ პერიოდისგან თავისუფლები და აგრძელებ ცხოვრებას. თანაც დისცინციონების საშუალება გაქვს, გარედან უყურებ, რა გააკეთე წინა პერიოდში. ამიტომ საჭიროა, ნიგნი გამოიცეს. ახლა ლექსები კი მოგროვდა, მაგრამ ვფიქრობ, ეს ეტაპი ჯერ არ დასრულებულა, წრე არ შეკრულა. შეიკრება და გაეშუშება.

გვანცა ჯობავა. ნინო ნადირაძე. თორნიკე ჭელიძე.


მე სამივე პოეტი მიყვარს. ვიცი, რომ არაპოპულარული დასაწყისია, არაპროფესიონალურიც (ვინმესთვის გამაღიზიანებელიც), მაგრამ მაინც ასე და სწორედ ასე მინდა, დავინყო ფიქრი მათზე, რადგან ის, რაც სამივე მათგანის პოეზიას ყველაზე მეტად ანათესავებს, სიყვარულია.

სიყვარულის ზოგადი, აბსტრაქტული, კაცობრიული და არა ლოკალურ-კონკრეტული განცდა (თუმცა, აქედანაც იშვება ხოლმე დიდი პოეზია – ეს ცხადია).

რადგან სამივეს ერთი დიდი რამ აქვს საერთო, მათ მიერ ნაცხოვრებ ყველა სხვა შეგრძნებაზე აღმატებული – ისინი უმამო შვილები არიან. მათი მამები სამყაროს მეორე, შეუცნობ მხარეს გადასახლდნენ და შვილებმაც, როგორც ნამდვილმა პოეტებმა, ეს სინამდვილეც სიყვარულად მიიღეს.

მათ პოეზიაში მამების მხოლოდ ფიზიკური არარსებობა კი არაა აქცენტირებული, არამედ თვალახელილია სამყარო – რაღაც დიდი კატასტროფის შემდეგ, შესაძლოა, პირადი წარღვნის შემდეგაც...

თუმცა, სანამ კონკრეტულად რომელიმეს ლექსს დავიმოწმებდი, ზოგადად, მამებზე მეც მინდა ვთქვა...



ჩვენ იმ დროში გავიზარდეთ, როცა „მამების“ ლანძღვა და დამუნათება წარსულის ყველა ცოდვა-ბრალის გამო დიდად პოპულარული რამე იყო; როცა ჩვენს მამებს (რა მათი ბრალი იყო, რომ საბჭოთა ეპოქაში იშვინენ!) ათასი ბრალდება ავკიდეთ, ბავშვობაგალახულებმა მოვიმწყვდიეთ კუთხეში და ყველა ომის, შიმშილის, სიცივის, სიკვდილის, შურისა და მტრობის მიზეზად მათი ლაღად გატარებული საბჭოთა წარსული დავასახელეთ, მათი გულგრილობა და კონფორმიზმი, მათი სიჩუმე მაშინ, როცა ტაძარში შესულებს მინიმუმ სამი დამბეზღებელი უკან მიჰყვებოდა და ან როცა თვითმფრინავის ბიჭების სასტიკად დასჯის მოთხოვნით ყველა საბუთს უყოყმანოდ აწერ(ინებ)დნენ ხელს...

ამ მამებმა თავიანთი შეცდომების წილ, „ნელთბილობის“ წილ, უკვე იწვინეს. თუმცა დამუნათების ამ ისტერიკამ იმაზე ცუდი საქმე გააკეთა შვილების მხრიდან, ვიდრე წარმოედგინათ.

მამები საერთოდ წავიდნენ. ვერ გაუძლეს და დახეთქილი გულებით, ვერნათქვამი და ვერგამოსწორებული ცხოვრებით გადაბარდნენ სხვა სინამდვილეში.

გვანცას, თორნიკეს და ნინოს თაობა (ამ სიტყვის პირობითობის მიუხედავად) სწორედ ასეთი მამების მემკვიდრეა. და, მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრებისაც და შეცდომებისაც, ეპოქისაც, სიყვარულისაც – ჩემთვის მაინც, მათი

ნინო სადღობელაშვილი

პოეზია – სიცოცხლის გაგრძელება

სიკვდილი ყველაზე ფაქიზი განმმენდაა, ყველაზე მგრძობიარე აქტი, რომელიც, შესაძლოა, ოდესმე წარსულის საპირწონედ ჩაედინათ...

სამყარო ხომ ერთი ადამიანია და ამ ერთიგანაა ურიცხვი. ჰოდა, ესეც ის შემთხვევა იყო – ერთის (თუნდაც სამის) სიკვდილით სამყარომ რაღაც ურიცხვი ენერგია ამოისუნთქა, ეს ენერგია, სამწუხაროდ, აი, ასე – მრავალთაგან შეკრება...

ეს ახალგაზრდა პოეტები თავიანთი წრფელი გულით ამგვარი გარდაცვალების მისტიკას სიღრმეში ჩანვდნენ და ამიტომაცაა, მათ ლექსებში მამების სრულიად სხვა, ბუნებრივი, კანონზომიერი ხატი რომ ბრუნდება ისევ.


მამა სალანძღავი სიტყვა კი აღარაა, არამედ დიდი კედელი, რომელსაც მათი ბავშვობა ეყრდნობოდა და ეს კედელი მოირღვა.

„მე დამეჯახა შენი სიკვდილი, მე შენს სიცოცხლეს შევყვარე და ძვლები ამტკივდა“... (თორნიკე ჭელიძე).

„მამაჩემი 2007 წლის 7 ივლისს გარდაიცვალა. 7 საათზე. შეუძლებელია, არ მჯეროდეს, რომ მან მიუსწრო თავის მომავალს ბილბორდებიან გაჩერებაზე...“ (ნინო ნადირაძე).

საგულისხმოა, რომ ეს პირველი ყველაზე შთამბეჭდავი აქტი – მამის (წინაპრის) გარდაცვალება ერთი სამყაროდან მეორეში – სხვადასხვაგვარი ტემპორიტით და ემოციური დინამიკით წარმართავს სათიუელი ამ პოეტის დანარჩენ ცხოვრებას. მარტივად რომ ვთქვათ, სხვადასხვაგვარად გრძელდება მათი სიცოცხლე...

ნინო ნადირაძისა და გვანცა ჯობავას ლექსებში დაძაბული, ექსპრესიული ფონია, შესაძლოა, ცოტათი ქალური „გაფიცვებაც“ სამყაროს კანონზომიერებებისგან. თორნიკე ჭელიძის ლექსებში კი გაცვილებით მეტი სიმშვიდეა. გარინდება, თითქოს იმ დროის მოსახელთადად, სადაც საზღვრები არაა და სიხარულით თანაცხოვრობენ არსებული და არარსებული, წარმავალი და უსასრულო.



თორნიკეს ლექსებს ეს იდუმალი განცდა, მიღმიერი, გამჭვირვალე სივრცის შესაძლებლობა განაპირობებს. „როგორც კოსმოსი ვერ ივინყებს თავის პლანეტებს, რაც არ იყო, ის ისევე მახსოვს“... ეს იდუმალება კი შეუძლია, ისეთი ბუნებრივობით გადმოსცეს, როგორც, მაგალითად, ეს სტრიქონები: „და ამ ყოფაში შენ ხარ სიბნელე ყველა მუქზე თავისთავადი“...

ეს სიღინჯე, მკაფიო პოეტური ხმა და უზუსტესი მეტაფორები თორნიკე ჭელიძის ნიგნში თითქოს „ასაკს“ სძენს. განვმარტავ – ისინი წუთისოფელში გვარიანად ნაცხოვრები კაცის ნაწერებს გვანან, მათ ატყვია ცხოვრების რაღაცნაირი იერი, როგორც ძველ ძვირფას ნივთებს, რომლებსაც ველარაფრით ჩაანაცვლებ.

ასაკზე მეტი ცხოვრებისეული ცოდნა იგრძნობა გვანცა ჯობავას და ნინო ნადირაძის ლექსებშიც. გვანცას შემთხვევაში, თხრობის დინამიკური, მძაფრი ტემპის და ლამის მინიმუმამდე დაყვანილი პოეტური სახე-ტროპების მიუხედავად, ეს გამოცდილება მის დამოკიდებულებებშიც იკითხება, მის პოეტურ (ადამიანურ) პოზიციაში ყველაფრის მიმართ – სამშობლოს, ღვთის, მოყვასის თუ მტრის... „ვისწავლე, როგორი არასიტყვაა „მინდა“, როდესაც ვერაფრით მოიყვან ზამთარში გაზაფხულს“... ეს ადამიანური პოზიცია ხშირად პროტესტით. გვანცა ჯობავას ლექსებში ეს პროტესტი მის პოეტურ რეჩიტატივს ემთხვევა – „ჩვენ ვართ ერთჯერადი ადამიანები, მრავალჯერადი ცოლებით, ქმრებით, საყვარლებით, შეყვარებულებით, სახლებით, მანქანებით, მრავალჯერადი გრძნობებით, მრავალჯერადი რწმენით და ურწმუნობით“... მისთვის ჭეშმარიტება ის ფასეულობაა, რომლითაც კი არ იამპარტავნებ, არამედ ადამიანად შედგები. სამწუხაროდ, ფასეულობათა სულ სხვანაირი კატეგორიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ და, იქნებ ამიტომაც „დგანან სახლები ზურგიით და რომ შეედლოთ, დამსჯიდნენ კიდევ, ახლა კი მხოლოდ გაბრაზებით დამგუფუნებენ, მსაყვედურობენ, მახსენებენ, რომ შენ იყავი ამ ქალაქში უკანასკნელი, და შენც დაგვტოვე“...


„იმ ადგილას ღმერთი ცხოვრობდა და გადავიდა“... – ეს კი ნინო ნადირაძის პოეტური სივრცეა. ადგილი, სადაც მისი წილი პროტესტი უნდა ამოითქვას. ნაღმერთალი ადგილი. ნინომ ეს ოპოზიციური განწყობა კიდევ უფრო დააკონკრეტა და ეროვნულ თემებს დაუკავშირა. ილიას ძალიან პოპულარული ლექსის – „ჩემო კარგო ქვეყანავ“ – ანტი-ალუზიაა ლექსი, რომელიც ნინო ნადირაძის ნიგნში ერთ-ერთი გამორჩეულია. ხოლო ამ განწყობისა და თემატიკის მნიშვნელოვანების ხაზგასასმელად, კრებულის სათაურადაც ლექსის სახელწოდებაა გატანილი – „ჩემო ცვილის ქვეყანავ“. ლექსში არაერთი ძველი და ცნობილი ქართული ლექსის ანტი-პასაჟები შეგხვდებათ – ეს პროტესტის გასამძაფრებლად, ხელეში ჩაფშვნილი პატრიოტული „სიკეთების“ გამოსამჟღავნებლად, ყალბი ქართველობის დასაცინად – „ჩვენ პატარა ქართველები ვართ და გაცხრომით სხვაგან ყოფნას აქ სიკვდილი არ გვირჩევნია. ოსანა! სახელითა უფლისათა მოგვეზღო ჩვენ“.

როცა ცხოვრების ცოდნაზე ვამბობდით, ეს რაღაცნაირი „არასაკობრივი“ გამოცდილება ნინოსთანაც მკაფიოა და მას მომწარო გემო აქვს – „ზღვაში ის შეუშვი, ვინც ცურვა არ იცის, არასოდეს არ დაიხრჩობა“... ან, „სამყაროს ხმა ალბათ ისაა, დიდი ნვიშების შემდეგ რომ სიჩუმეა და გეცოტავება“.

თუმცა ამ ყველაფერს – პროტესტსაც, ამბოხის სულისკვეთებასაც, მაინც ჯაბნის სიყვარულის, როგორც ღვთაებრივი ადამიანური საწყისის განცდა, როგორც დი-ალოგი საკუთარ თავთანაც და სამყაროსთანაც.

გვანცა ჯობავას პოეზიაში სიყვარულს

ლაზარე ჰქვია და ამ წარმართული და ბიბლიური შინაარსის მქონე პერსონაჟს ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს მის ლექსებში. აქ მუდმივად ელიან წვიმას – ლაზარეს, როგორც გვალვისგან გადარჩენას, ცხონებას... ლაზარეს შობა არის პოეტის სულიერი ტრანსფორმაცია – გადასვლა უმოძრაობიდან მოძრაობაში, უნაყოფობიდან ნაყოფიერებაში... საერთოდაც, ჩნდება განცდა, რომ გვანცას შემოქმედების მთავარი მდგომარეობა – შობის მდგომარეობაა, ნაყოფის გამოსვლის მუდმივი, დაძაბული მოლოდინი, მერე დაბადება და მერე კი ცხოვრება მასთან ერთად – როგორც პოეზიასთან. „ჩემი შვილი ხარ, როგორც პოეზიასთან“.



სახელად ლაზარე. გაჩნდი სწორედ მაშინ, როდესაც ცამ და მინამ ერთ დღეს გაცვალეს როლები, ამოყირავდა დედამინა და შენც უხმოდ, უცრემლოდ გამოგორდი“...

ნინო ნადირაძისთვის სიყვარული, აი, ეს სტრიქონებია – „როცა სუნთქვა შემინცდება და თვლებიდან ჰაერს აუშვებ, ჩემი ჩრდილისგან ფოთლოლი თუ მოიზილება“.

ეს ფაქიზი და წმინდა ადამიანური სული, პოზიცია თორნიკე ჭელიძის ერთ კარგ ლექსშიცაა გაცხადებული. ლექსს „ცდისპირი“ ჰქვია და იმაზეა, თუ როგორ უნდა ემადლიერო ყველა მათ, ვინც ოდესმე შენთან ერთად თუნდაც ნახევარი გზა განვლო...

ხოლო სიყვარულს!.. – „მაღლობა სიყვარულს, რომელიც უფრო დიდი დროის განმავლობაში რჩებოდა ჩემთან, ვიდრე ისინი, ვინც მიყვარდნენ და მაინც დამტოვეს“... – ესეც თორნიკეს ლექსიდანაა.

ვგრძნობ, რომ წერილი არასრულყოფილია, კიდევ ბევრ რამეზე შეიძლება დაფიქრება, ჩაღრმავება და საუბარი, რადგან, ბოლოს და ბოლოს, საქმე არა ერთ, არამედ სამ დამოუკიდებელ ავტორს ეხება, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით გზას, ცხოვრების ავ-კარგინაობით, მშვიდად მიუყვებიან და მათ ლექსებსაც სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში თუ სოციალურ ქსელში დროდადრო ეცნობა მკითხველი. მაგრამ მინდოდა, ცოტათი მაინც შევხებოდი თაობების არაპირობით, მეტაფიზიკურ დინამიკას ჩვენს სინამდვილეში და იმ შვილების კარდიოგრამის ტეხილები მეჩვენებინა, რომელთა მამებზეც ცუდს ველარაფერს იტყვი, რადგან წარსული მათ თავიანთი სიკვდილით გამოსიყიდეს...

მინდოდა, მეც განვმტკიცებულიყავი და სხვისთვისაც გადამეღო რწმენა, რომ სიცოცხლე გრძელდება და ეს ღირსეული შვილები კიდევ ბევრჯერ იტყვიან არამხოლოდ თავიანთი თაობის, არამედ სამყაროს სათქმელს.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com